

საქართველო
1852
N4 2023


პოეზია
სალომეა ლომინაძე
ნატალი ფარასელია

პროზა
ბესო ხვედელიძე

რეალისტობის გვერდი
„საბას“ მოლოდინი, მეგუნიას ცოქი
და ეკას ლევანა

ლევანის ცოქი





№ 4 // 2023

ლიცენზიანული – სამსახურის
ქუთხის აღმართები

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მარინე სიყმაშვილი

დიზაინი
ირაკლი უშვერიძე

ქუთხის გამოდის
საჭართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტროს ხელშეწყობით



საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

სარჩევი

რედაქტორის გვარი		გურამ ბენაშვილი	53
ამირან გომართელი	3	ანალიტიკური აქცენტები	
„საბას“ მოლოდინი, მეგუნიას დოქტორი და ეკას ლევანა		საყმანვილო ლიტერატურა	
პოვია		აკაკი დაუშვილი	61
სალომეა ლომინაძე	18	ახალი თარგმანები	
ნესტან ლამპაშიძე	23	ბრეტ ჰარტი	66
პოვია		პოკერ ფლეტელი დევნილები	
ბესო ხვედელიძე	27	ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ სონღულაშვილმა	
GOA მშვიდობისა!		როალდ დალი	74
პოვია		გატკანი ვახშმად	
ნატალი დარასელია	40	ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ სონღულაშვილმა	
პოვია-ესეისტია			
ნინო დარბაისელი სტრონი	47		
„სამყერ ვარ დაბადებული“			

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
უურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვ-
ლისთანავე განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ-
ლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

ამირან გომართელი



„საბას“ მოლოდინი, მაგინის დოქტორი და ენას ლევანი

1. „საბას“ მოლოდინში

2023 წლის პრემია „საბას“ ფინალისტთა ოთხეულში ლევან ბერძენიშვილის წიგნი – „1921-1990; ერთი კაცისა და ქვეყნის ამბავი“ – დასახელდა, რომელსაც „ცისფერი მთები ანუ ტიანშანისა“ არ იყოს, ორი სათაური აქვს. როგორც ჩანს, ავტორისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მეორე სათაურია – „ერთი კაცისა და ქვეყნის ამბავი“. „ერთ კაცში“ ბერძენიშვილი, რაღა თქმა უნდა, საკუთარ პერსონას გულისხმობს, „ქვეყანაში“ – საქართველოს. ასეთ ამბიციურობასთან პროლეტკულტელი ალიო მაშაშვილის ბოლშევიკურად თამამი სათაურიც კი – „მე და ბარათაშვილი“ – ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება.

ამთავითვე უნდა ვთქვა, ბერძენიშვილის წიგნში ახალს და მნიშვნელოვანს ვერაფერს იპოვის მკითხველი. მაგალითისათვის ჯერ შესავალი და პირველი თავი ვნახოთ, სადაც ზერელე საუბარია 1921 წლის 25 თებერვლის ოკუპაციაზე; დასახელებული არიან „შულავერის კომიტეტის“ წევრები, რაც დიდი ვერაფერი სიახლეა,

ისევე როგორც მოხმობა კოლაუნდირაძის ორი სტროფისა ლექსიდან – „1921 წლის 25 თებერვალი“, რომელზეც ბერძენიშვილამდეც ბევრი თქმულა და დაწერილა. მეტიც, სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი არის შეტანილი (მერე ამ ლექსს ბერძენიშვილის წიგნის სხვა მონაკვეთში უფრო ვრცელი ადგილი ეთმობა, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებ); შედარებით კონკრეტულია მსჯელობა მურმან ლებანიძის ლექსზე, რომელშიც პოეტი, სამწუხაროდ, თებერვლის ოკუპაციას გაზაფხულის დადგომას ადარებს, ოღონდ წიგნის ეს პასაუი სხვა ავტორს ეკუთვნის, ბერძენიშვილი კი მისგან იწერს. ამჯერადაც, როგორც საჯარო ლექციებისას სჩვევია, გუგლით საზრდოობს და ინტერნეტში გამოქვეყნებულ ტექსტს, მცირეოდენი ცვლილებით, საკუთარ ნააზრევად გვთავაზობს.

ჯერ ბერძენიშვილის წიგნის გამოცემამდე ორი წლით ადრე, 2020 წლის 25 თებერვალს, ინტერნეტსაიტზე – artinfo.ge – გამოქვეყნებულ ტექსტს გავეცნოთ:

„მურმან ლებანიძის პოეზიაში ნამდვილად ბევრია პატრიოტული ლექსი, თუმცა მის შემოქმედებაში არის

4 „საბას“ მოლოდინი, მეგუნის დოქტორა ეკას ლევანა

ლექსი, რომელიც ლიტერატურის მოყვარულებში საკამათოა. მკითხველთა ნაწილს მიაჩნია, რომ პოეტი აიძულეს ასეთი ლექსი დაეწერა და ის ერთადერთი არ იყო, ნაწილს კი სჯერა, რომ პოეტს პირადი გამორჩენის სურვილი ამოძრავებდა.“

ახლა ბერძენიშვილის ტექსტიც ვნახოთ:

„აი, მაგალითად, მურმან ლებანიძის პოეზია სავსეა პატრიოტული ლექსებით, თუმცა მის შემოქმედებაში გვხვდება ერთი „განსაკუთრებული“ ტექსტი. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ პოეტმა ეს ლექსი პირადი გამორჩენის სურვილით დაწერა, თუმცა, მე მაინც მგონია, რომ მნერლობა მოათვინიერეს და სწორედ ამიტომ დაიწერა ასეთი ლექსი“ (ბერძენიშვილი, 2022, გვ. 19). ამ აბზაცს მერე მურმან ლებანიძის ლექსი მოსდევს.

როგორც ხედავთ, ბერძენიშვილი არც თუ დიდად გაისარჯა, ორიოდე სიტყვა შეცვალა, აკაკი ბაქრაძის ტერმინი – „მნერლობის მოთვინიერება“ მოიშველია და საქმეც მოამთავრა. მურმან ლებანიძის ძველი კრებულის მოძიებაც კი არ დასჭირვებია, ლექსაც არტინფო აქვეყნებს, ბერძენიშვილი კი მხოლოდ აკოპირებს. ასე არ ჯობია?! არ გაირთულა კაცმა ცხოვრება!

ახლა ბერძენიშვილის ქურდობა-პლაგიატორობის კიდევ უკეთეს მაგალითს გაგაცნობთ, სადაც, პლაგიატის შენილბევის მიზნით, დროდადრო მცირეოდენ თაღლითობებსაც მიმართავს.

წიგნის მე-40 გვერდიდან ბერძენიშვილი კოლაუნადი ნადირაძის ლექსთან დაკავშირებულ ამბებს, როგორც მოგახსენეთ, უფრო ვრცლად გვიყვება. დასასარულს კი გვირჩევს: „ვისაც მწერალთა კავშირში კოლაუნადი ნადირაძის საქმეზე გამართული განხილვის დეტალები აინტერესებს, შეუძლია იხი-

ლოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების ფონდი, საქმე №3248.“ ეს იმისათვის სჭირდება, დაგვარწმუნოს, მასალა მე თავად მოვიძიე, თუმც სწორედ ამ „განხილვის დეტალებთან“ დაკავშირებით გამუღავნდება მისი, რბილად რომ ვთქვა, არც თუ მთლად ეთიკური საქციელი, რასაც ქვემოთ თვალნათლივ ვნახავთ. რაც შეეხება ბერძენიშვილის „მონადინებას“ მკითხველთა დახმარებისა, უნდა შევნიშნო: მართალია, საქმის ნომერი კი მიგვითითა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ არქივში დოკუმენტის ამგვარად მოძებნა იოლი საქმე არ არის, საჭიროა კონკრეტული ფონდისა და ანანერის მითითებაც. ზუსტად ისე, როგორც ამ საკითხთან დაკავშირებულ, ინტერნეტში განთავსებულ ნინო ჩხიკვაშვილის პუბლიკაციაში: ფონდი – № 8, ანანერი – № 1, საქმე № 3248, ფურცელი 20-33.

ერთი სიტყვით, ბერძენიშვილს ბევრი არ უწვალია. ინტერნეტის მემკვეობით იოლად მოუპოვებია კოლაუნადირაძის ლექსის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მასალები, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს – „განხილვის დეტალები“, სინამდვილეში კი მწერალთა კავშირის 1985 წლის 3 სექტემბრის სხდომის ოქმი. სიტყვა ოქმა და ამ ოქმის თარიღის ხსენებას შეგნებულად გაურბის. ეშინია, სხვამაც რომ დაგუგლოს „მწერალთა კავშირის 1985 წლის 3 სექტემბრის ოქმი“, ხომ „გაიყიდება“ მაშინ, ხომ აღმოჩნდება, რომ „ვისაც... განხილვის დეტალები აინტერესებს“, სულაც არ დასჭირდება არქივში წასვლა, საითკენაც, კვალის დაფარვის მიზნით, გადაგვამისამართა ბერძენიშვილმა. იქ იპოვის, საიდანაც ჩვენმა ინტერნეტგანმანათლებელმა გადმოიწერა. ინტერნეტი აუცილებლად ამოუგდებს ნინო ჩხიკვაშვილის სტატიას – „აქა

ამბავი კოლაუ ნადირაძის ლექსისა „25 თებერვალი“, რომელიც წარმოადგენს ვრცელ ამონარიდს ხსენებული ავტორის წიგნიდან „უკანასკნელი ცისფერყანწელი“ (გამომცემლობა „არტანუჯი“, 2015 წელი). ეს სტატია 2016 წლის 25 თებერვალს განუთავსებია ინტერნეტში ნინო ჩხიკვიშვილს, ასევე იძებნება „არტინფოს“ საიტზეც – ავტორის, ნინო ჩხიკვიშვილის, სახელისა და გვარის მითითებით. ბერძენიშვილმა საპრემიოდ გამიზნულ წიგნში, 41-დან 44-ე გვერდის ჩათვლით, არსებითად გადმოწერა ნინო ჩხიკვიშვილის ინტერნეტპუბლიკაცია. მეექვება, მისი უნარ-ჩვევების კაცს ასეთი საქციელი დიდად ანალვლებდეს. ძირითადად ხომ ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალითაა ნასაზრდოები მისი საჯარო ლექციებიც.

ახლა ისევ ბერძენიშვილის პლაგიატს დავუბრუნდეთ. ბუნებრივია, მას არ უნდა ნინო ჩხიკვიშვილის ხსენება, ამიტომაც საკმაოდ იოლად „იყიდება“. მაგალითად, ნინო ჩხიკვიშვილი წერს: „რაც შეეხება ლექსის დაწერის ნამდვილ ისტორიას, პოეტმა მიამბო, როდის და როგორ დაიწერა „25 თებერვალი“:

„1969 წლის 25 თებერვალი გათენდა და მე და ჩემი მეგობრები: შალვა დემეტრაძე, ლელი ხოტივარი, შალვა კაშმაძე, ლადო გველესიანი (ახლა არცერთი ცოცხალი აღარაა) ქაშვეთში წავედით, სანთლები დავუნთეთ საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლ თავდადებულთა სულებს, მოვინახულეთ გრიგოლ ორბელიანის საფლავი; კაეშანი შემომაწვა გულზე, შინ რომ დავპრუნდი, დავწერე ეს ლექსი და შალვა დემეტრაძეს გადავეცი – შენ ჩემზე გაცილებით ახალგაზრდა ხარ, იქნებ ჩემ შემდეგ მაინც დადგეს ლექსის დაბეჭდვის დრომეთქი! არადა, შალვა გარდაიცვალა, მე კი ცოცხალი დავრჩი (არ არის ეს

სასწაული? – სულ უკვირდა ბატონ კოლაუს!). მისი არქივი ლიტერატურის მუზეუმმა წაიღო, მათ შორის, ჩემი ლექსიც... და, ეტყობა, არ ენება განგებას ამ ლექსის დაკარგვა! – ასე მოხდა ეს ამბავი, ეტყობა, ლექსისაც, ადამიანისა არ იყოს, თავისი ბედი აქვს!“

ბერძენიშვილს საკუთარი წიგნის 41-ე გვერდზე ნინო ჩხიკვიშვილის-გან სიტყვასიტყვით აქვს გადმოწერილი ეს ვრცელი აბზაცი, რომელსაც წინ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა წარუმდლვარა: „....ორი სიტყვა ვთქვათ კოლაუ ნადირაძის მოგონებაზე იმის შესახებ, თუ როგორ დაიწერა „25 თებერვალი“. რა თქმა უნდა, პატიოსნება მოითხოვდა ნინო ჩხიკვიშვილის წიგნის ან ინტერნეტპუბლიკაციის მითითებას. ისე, სადაც სამართალია, ეს ნინო ჩხიკვიშვილის მოგონებაა: („პოეტმა მიამბო, როდის და როგორ დაიწერა „25 თებერვალი“). ამიტომ ბერძენიშვილი ვალდებული იყო დაეწერა: „ნინო ჩხიკვიშვილი იხსენებს პოეტის ნაამბობს“, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ნინო ჩხიკვიშვილს საერთოდ არ ახსენებს, ეშინია, ვინმე არ დაიწერესდეს მისი წიგნით ან პუბლიკაციით, მაშინ ხომ აღარ დაიმალება ამ „სახელგავარდნილი“ (გურამ დოჩანაშვილისეული კომპოზიტია. უნესო ყოფაქცევის ქალზე აქვს ნათქვამი „ვატერ(პო)ლოო-ში“..) ინტერნეტგანმანათლებლის ქურდობა. ამ „მოგონება/გახსენებამ“ მთლად აურია საცოდავს თავგზა. კიდევ ერთი მაგალითი: ციტატი ბერძენიშვილის წიგნიდან (გვ. 42): „აი, რას იხსენებს მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე შოთა ნიშნიანიძე“. ამას მოსდევს ნინო ჩხიკვიშვილისაგან გადმოწერილი, მწერალთა კავშირის სხდომის ოქმში დაფიქსირებული შოთა ნიშნიანიძის ვრცელი სიტყვა, რომელიც ასე იწყება: „გუშინ ჩემთან მოვიდა, როგორც

6 „საბას“ მოლოდინი, მეგუნიას დოქტორი და ეკას ლევანა

მწერალთა კავშირის გამგეობის თავ-მჯდომარესთან, პოეტი კოლაუ, ანუ ნიკოლოზ ნადირაძე და როგორც აღ-სარება ისე გამანდო შემდეგი.“ აქ მხოლოდ ერთი სიტყვა, სახელი – კოლაუ – ჩაამატა და ასეთი მარტივი გზით ცდილობს პლაგიატის შენიღ-ბვას.

ბერძენიშვილმა კარგად იცის, რომ მის მიერ გადმოწერილი ტექსტი მწე-რალთა კავშირის იმჟამინდელი თავ-მჯდომარის გახსენება თუ მოგონება კი არ არის, არამედ სტენოგრაფიული ჩანაწერია, დაფიქსირებული სხდომის ოქმი, რომელიც ნინო ჩხილენიშვილის-გან გადმოიწერა, ბერძენიშვილი კი, ქურდობის შენიღბვის მიზნით, მოგო-ნებად ასაღებს. მთავარია, ნინო ჩხილენიშვილი არ ახსენოს! საინტერესოა, რომ გვეკითხა, სად წაიკითხა შოთა ნიშნიანიძის, როგორც ის ამბობს, მოგონება, თანაც „გუშინდელი“, რას გვიპასუხებდა?!?

პლაგიატის ამდენი შენიღბვა-შე-ფუთვის მიზნით, ბერძენიშვილმა შუ-აში გაწყვიტა შოთა ნიშნიანიძის სიტ-ყვა და მოგონების სახე რომ მიეცა, 43-ე გვერდზე ფრჩილებში ჩაწერა – „(ეს ამბები ხდება 1984 წელს)“.

რაში სჭირდება ეს ჩანართი ბერძე-ნიშვილს, რატომ უთითებს არასწორ თარიღს?! ნინო ჩხილენიშვილს ხომ გარკვევით უწერია, მწერალთა კავში-რის სხდომა 1985 წლის 3 სექტემბერს გაიმართაო. ოთხი გვერდი სრულად „გადმოაკატავა“ და ეს ველარ გადმო-ინწერა?! აქაც მიზანი კვალის არევაა. ნინო ჩხილენიშვილისგან რომ გადმომე-ნერა, სხდომის თარიღსაც ხომ გად-მოვწერდი, აღარ შემეშლებოდაო. მა-ინც შეეძლა, მცდელობამ ამაოდ ჩა-იარა – კვალი ვერ წაშალა.

ბერძენიშვილმა მერე კიდევ ერ-თხელ გაწყვიტა შოთა ნიშნიანიძის სიტყვა იმის თაობაზე, თუ რატომ არ ესწრებოდა სხდომას კოლაუ ნადირა-

ძე და ფრჩილებში ჩაწერა – „(სინამ-დვილები თავად გააფრთხილეს კო-ლაუ ნადირაძე – არ მოხვიდეო)“, ეს ფაქტი ნაღდად მოგონებაა, ოღონდ კოლაუს ვაჟის, ნუგზარ ნადირაძისაა და ესეც ნინო ჩხილენიშვილისგან შე-იტყო ბერძენიშვილმა, რომელიც იმ ამბავს, თუ როგორ გააფრთხილეს კოლაუ ნადირაძე – სხდომაზე არ მოხვიდეო, ასე იწყებს: „როგორც კო-ლაუს ვაჟი, ნუგზარი, იგონებს...“

ათას რამეს იგონებს საპრემიოდ გამიზნული წიგნის ავტორიც, მისი ქურდობა-პლაგიატორობა რომ არ გამომუდავნდეს. თვალსაჩინოებისათ-ვის, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნე-ბოდა ბერძენიშვილის ოთხვერდიანი პლაგიატისა და ნინო ჩხილენიშვილის ტექსტის სრულად გამოქვეყნება, მაგ-რამ საკმაოდ დიდ ადგილს დაიკავებ-და და ამას მოვერიდე.

უნდა ვთქვა, რომ ბერძენიშვილი დიდად არ იწუხებს თავს შეცვალოს ნინო ჩხილენიშვილის ტექსტი. სხვაო-ბა ძალზე მცირეა, მაგალითად: ნინო ჩხილენიშვილი წერს: „ამ ლექსის დაბეჭ-დვას გადაჰყვნენ...“ და ჩამოთვლის გამომცემლობის იმ თანამშრომელთა თანამდებობებსა და გვარ-სახელებს, ვინც სამსახურიდან დაითხოვეს.

42-ე გვერდზე ბერძენიშვილიც იმავე ლექსიკით – „ამ ლექსის გადაყ-ვნენ“ – იწყებს სამსახურიდან გა-თავისუფლებულთა ჩამოთვლას თა-ნამდებობების მითითებით, ოღონდ გვარ-სახელების გარეშე. განსხვავება უმნიშვნელოა, თუ ნინო ჩხილენიშვილი წერს – „გადაჰყვნენ“, ბერძენიშვილ-მა მხოლოდ ირიბი თბიერებული პირის ნიშანი – „ჴ“ დაკლო ზმნას.

გასაოცარია პირდაპირ, ამ სახელ-განთქმულ ინტელექტუალს, სხვისგან გადმოწერის გარეშე, ხშირად, ელე-მენტარული კომენტარის დაწერაც კი უჭირს. ნინო ჩხილენიშვილს უწე-რია: „ისე კი იყო ირონია ბედისა, რომ

ლექსი მაინცდამაინც იმ წიგნში და-იბეჭდა, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს მიეძღვნა“. ბერძენიშვილს ისე „მოსწონებია“ გამოთქმა „ბედის ირონია“, რომ 41-ე გვერდზე ერთ აბზაცში ორჯერ იმეორებს. დასაწყისში – „ისე კი ნამდვილად ბედის ირონია“ და დასასრულს ისევ აღმოხდება: „შეგიძლიათ ამისთანა ირონიის წარმოდგენა?!“

ჩვენც ამ ირონიაზე შევჩერდეთ, დროებით შევწყვიტოთ ბერძენიშვილის წიგნზე მსჯელობა და ერთ ფრაგმენტს გავეცნოთ მისი ინტერვიუდან (kvirispalitra.ge 6 აგვისტო. 2023), რომელსაც ორიოდე სიტყვას წავუმძღვარებ.

პირველ აგვისტოს გამოქვეყნებულ ჩემს ფეისბუქბოსტში დავაანონსე, რომ ბერძენიშვილის წიგნზე ვისაუბრებდი. იქვე ისიც აღვნიშნე, ბერძენიშვილის ოპუსი ქურდობა-პლაგიატობით და მისი შენილდვის მცდელობითაც გამოირჩევა-მეთქი. ქურდს ქუდი ასწვია, სასწრაფო ზომები მიუღია, ინტერვიუ გაუშანალებია, უმადურობით გულნატკენი კაცის პოზა მიუღია და სიამაყენარევი ტონით გვამუნათებს:

„ჩემი ავტორობით შვიდი წიგნი გამოვიდა, შვიდი კიდევ უნდა გამოვიდეს, თავი მოვიკალი არქივებში ჯდომით და პასუხად მივიღე, რომ მე თურმე დავით ალმაშენებელი არ მყვარებია... პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ ასეთი უსინდისობა არ მეკუთვნოდა!“ ამის წამკითხავს შეუძლებელია არ გაგახსენდეს ყვარყვარე თუთაბერი და მისი ნაწყენი კილო: „მერე, ჩემი დამსახურება?!“ რაღა „არქივებში ჯდომით“ თავგადაკლული ბერძენიშვილი და რაღა პოლიკარპე კაკაბაძის პერსონაჟი, დაუმსახურებელი დიდების კაცი – ნაცარქექია ყვარყვარე.

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ ეგებ ვინმემ სერიოზულად

განუმარტოს ბერძენიშვილს, სხვისი პუბლიკაციის პირწმინდად გადაწერას არ სჭირდება „არქივში ჯდომა“ და „თავის მოკვლა“. ამისათვის გაცილებით მარტივი გზა არსებობს, გზა, რომლითაც თავად ბერძენიშვილი სარგებლობს – გუგლის საძიებო სისტემა. დაგუგლავს მურმან ლებანიძის ლექსს და ინტერნეტიც წამში ამოუგდებს მისთვის საჭირო მასალას „არტინფოს“ საიტზე; დაგუგლავს კოლაუნადირაძის ლექსს და იოლად იპოვის ნინო ჩხივიშვილის პუბლიკაციას. მერე მიადგება ეს ჩვენი ინტერნეტდამოკიდებული ლიტერატორი და იოლად გადმოიწერს ორივეს. ეს არის და ეს.

ახლა ორიოდე სიტყვას კიდევ ვიტყვი კოლაუნადირაძის ლექსთან დაკავშირებით და კომპილაციაზე მერე მოგახსენებთ. ბერძენიშვილისეულმა მსჯელობამ ამ ლექსის თაობაზე კიდევ ერთხელ გამოაშკარავა ქართული ლიტერატურის მისეული მწირი ცოდნა. ჩემი ნათქვამი რომ ლიტონ განცხადებად არ დარჩეს, კვლავ მივუბრუნდები ბერძენიშვილის მიერ საგანგებოდ არჩეულ საბჭოთა ოკუპაციის თემას. ამასთან დაკავშირებით ერთადერთზე, მხოლოდ კოლაუნადირაძის ლექსზე ლაპარაკობს. დარწმუნებული ვარ და თქვენც დარწმუნდებით, რომ, სამწუხაროდ, სხვა არ წაუკითხავს და იმიტომ. ბერძენიშვილი დიდი რიხით გვაუწყებს: „კოლაუნადირაძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ გარკვეული გაგებით მან ისტორიულ მოვლენებს დაასწრო და, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, საბჭოთა კავშირში მცხოვრებმა კაცმა საბჭოთა დროშივე მოგვცა უზუსტესი შეფასება იმ ტრაგიკული მოვლენისა, რასაც საქართველოს გასაბჭოება ჰქვია“.

კოლაუნადირაძის, შესანიშნავი პოეტისა და პიროვნების პატივისცე-

8 „საბას“ მოლოდინი, მეგუნიას დოქტორი და ეკას ლევანა

მის მიუხედავად, (მეგობრებიდან ერთადერთმა რომ გაპედა და მიაცილა პაოლო იაშვილი სამარის კარამდე), გადამეტებული მგონია ასეთი შეფასება, „რომ გარკვეული გაგებით მან ისტორიულ მოვლენებს დაასწრო და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე... მოგვცა უზუსტესი შეფასება იმ ტრაგიკული მოვლენისა, რასაც საქართველოს გასაბჭოება ჰქვია“. ეს სიტყვები უფრო ბერძენიშვილის არაპროფესიონალიზმსა და არაკომპეტენტურობაზე მეტყველებს. ჯერ ერთი, კოლაუნადირადეს ამ ლექსის გამოქვეყნებაც კი არ უცდია, შალვა დემეტრაძეს გადასცა, ჩემზე უმცროსი ხარ და ეგებ მოესწრო, როცა მოვა ამისი გამოქვეყნების დროო. მერე ლექსი, როგორც მოგეხსენებათ, გარდაცვლილი შალვა დემეტრეძის არქივიდან, ფოტოპირის სახით მიიტანეს „მერანში“ და ისე დაიბეჭდა, არავინ წაიკითხა. სათაურმა – „1921 წლის 25 თებერვალი“ შეაცდინა ყველა. საბჭოთა ხელისუფლების პანეგირიკი ეგონათ (ამის შესახებ ადრე დავწერე კიდევ). რაც მთავარია, ბერძენიშვილის ახლახან მოხმობილი ციფრატი იმაზეც მეტყველებს, რომ მან არ იცის, ოკუპაციის თემაზე ისეთი ავტორებიც არსებობენ, რომელთა ლექსები უჯრაში კი არ იყო გამომწყვდეული, არამედ დღის სინათლე საბჭოთა ეპოქაშივე იხილეს და უურნალ-გაზიერებშია გამოქვეყნებული, თანაც გაცილებით ადრე, ვიდრე 1969 წელს დაწერილი კოლაუნადირადის ლექსია. ამ ლექსებს მთლიანად, რათემა უნდა, ვერ მოვიხმოს, მხოლოდ რამდენიმე ბწყარს გავაცნობ ბერძენიშვილს – „იზრდება გულში ორი ნაღველი – კრნანისის ველი და თებერვალი“ (ალექსანდრე აბაშელი), „არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი, თებერვალმა სამუდამოდ დამინისლა მაისი“ (კოტე მაყაშ-

ვილი). გიორგი ლეონიძემ კი დაპყრობილ-დამონებულ ქვეყანას 1922 წელს გაზიეთ „ბარრიკადში“ გამოქვეყნებულ ლექსში – „საქართველო“ – ასე მიმართა: „სისხლის საპალნით დატვირთულო, ვინ დაგიხვეტა// ბრვე თემიები ბელტებივით დასაფარცხავი... ვინ დაჩექმული ჩემი სული შხამებს დარია... ვიღამ დაიდგნოს, ვინ შაებას კარად დარიალს.“ ამ ლექსში კონდოტიერი სერგო ორჯონიკიძის სახეც მკაფიოდ მოჩანს – „ზურნით ფალანგებს მოუძღვება კონდოტიერი“.

ცალკე თემაა გალაკტიონის პოემა „მოგონებები იმ დღების, როცა იელვა“, სადაც უმძიმესი სურათი იხატება 1921 წლის ოკუპაციიდან მოყოლებული 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სისხლში ჩაბმობის ჩათვლით. პოემაც 1921-1924 წლებითაა დათარიღებული. ის 1924 წლის შემოდგომაზე დაიბეჭდა უურნალ „მნათობში, მერე „მნათობის“ ყველა ნომერი, სერგო ორჯონიკიძის ბრძანებით, სათითაოდ ამოილეს და დაჭრეს, გალაკტიონი კი, მცირე ხნით, ციხეში გამოამწყვდიეს.

რამდენიმე სტრიქონი გალაკტიონის პოემიდანაც გავიხსენოთ: „ტფილისი ჩვენი – თმაგანენილი და მწუხარება ჩვენი – ქართული“; „ქალაქს მოავლეს გარშემო ალყა... მთელი სამი დღე გაგრძელდა სროლა, სისხლიც ათავდა“; „მხეცი, არც მეტი არც ნაკლები, უგულო მხეცი. დგას მუხლებამდე სისხლის მორევი. მათში შობილი უიარაღო ხალხზე მორევით დგას კმაყოფილი“ (აქ უკვე 24 წლის აჯანყებას და სერგო ორჯონიკიძეს გულისხმობს გალაკტიონი). ამ პოემიდან კიდევ არაერთი სტრიქონისა თუ სტროფის მოხმობა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია.

ახლა ბერძენიშვილს მივმართავ, ისე როგორ აგიტანა წიგნის თუ ბედის წერამ, რომ ოკუპაციის თემაზე, ერთი გახმაურებული ლექსის გარდა,

სხვა არაფერი წაიკითხე, იმის შესახებ კომენტარიც კი ნინო ჩხილებიშვილის ინტერნეტპუბლიკაციიდან გადმოიწერე. ასე რომ, როცა ოკუპაციის თემაზე წერ, უნდა იცოდე, კოლაუნადირაძის ლექსი ერთადერთი არაა, სხვაც არსებობს, არანაკლებ მნიშვნელოვანი, თანაც გამოქვეყნებული და გასავაროებული.

ახლა კი კომპილაციასა და კომპილატორზე.

ბერძენიშვილის კომპილატორბაში დასარწმუნებლად მისი წიგნის სარჩევისათვის თვალის გადავლებაც საკმარისია. „სტალინი – მთავარი ქართველი“. ასეა დასათაურებული ამ ორსათაურიანი წიგნის მართლაც მთავარი თავი, რომლის ქვეთავებია: „ნადეუდა ალილუევა“ (5 გვერდი); „სუფრა და კინო“ (6 გვერდი); „სტალინი – მკითხველი კაცი“ (4 გვერდი) და „დასახვრეტთა სიები“ (2 გვერდი). აღარაფერს ვიტყვი, ვფიქრობ, ეს ქვესათაურები უჩემოდაც ამბობენ სათქმელს. ნებისმიერი მკითხველი მიხვდება, რომ ათასგზის გაცვეთილი და გადალეჭილი თემებია. ათეულობით წიგნსა თუ პუბლიკაციას თავი რომ დავანებოთ, ინტერნეტშიც უამრავი მასალა იძებნება აღნიშნულ საკითხზე, გაცილებით სრულყოფილი და ამომწურავი. აქაც იოლი გზა მოუნახავს ბერძენიშვილს, ინტერნეტში არსებული მასალების მცირე მიმოხილვას თუ დაიჯესტს, რაც გინდა ის დაარქვით, დაგვაჯერა.

წიგნის შემდეგი თავია „ჯალათი – სისტემის პირმშო და სისტემის მსხვერპლი“. ამ ექვსგვერდიან მონაკვეთში (სინამდვილეში 3,5 გვერდია, ცარიელ ფურცლებს თუ გამოვაკლებთ) ბერძენიშვილი „ენკავედეს“ ორ ავადსახსენებელ მმართველზე – იაგოდასა და ექოვზე გვიყვება, ოლონდ ისე რომ, არც მნიშვნელოვანსა და საინტერესოს ამბობს რამეს და

არც, რაღა თქმა უნდა, ახალს. ისე, მგონი, მეც მეტისმეტს ვითხოვ, რა უნდა ექნა ამ საწყალს, ვინ მისცემდა ქართველს რუსეთის „ჩეკას“ არქივებში მუშაობის უფლებას?! ჰოდა, ნუ მოვთხოვთ ზედმეტს, ვიკმაროთ საქართველოს არქივებში „ჯდომისა“ და „თავისმოკვლის“ შედეგი – სამგვერდ-ნახევრიანი ქვეთავი.

იაგოდასა და ეუოვს მოსდევს წიგნის კომპილაციური სტრუქტურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი ასევე მნიშვნელოვან მეორე ქართველზე – ლავრენტი ბერიაზე. ეს თავი ასეცაა დასათაურებული: „მეორე ქართველი“.

აღარ მინდა შეგანუხოთ ქვესათაურების ჩამოთვლით. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ ოცდაცხრაგვერდიან მონაკვეთში (აქაც სამი გვერდი ცარიელია) ექვსი ქვეთავია. იწყება ბერიას საქართველოში საქმიანობით და მთავრდება „ბერიას აღსასრულით“. თუ ვინმეს არ დაეზარება და ბერძენიშვილივით დაგუგლავს ნებისიერ თემას, ვთქვათ, „ბერიას აღსასრული“, ამავე სათაურით ქართულ ენაზე უფასოდ წაიკითხავს იმაზე მეტს, ვიდრე ბერძენიშვილის წიგნიდან შეიტყობს. რუსულად კი გაცილებით მეტი წიგნი, პუბლიკაცია, ვიდეო თუ აუდიო მასალა არსებობს. ველიკოდერულავული იდეით შეპყრობილი რუსები დღეს ხელახლა განადიდებენ სტალინს და აღარც ბერიას ემდურიან მაინცადა-მაინც. ისე, ბერძენიშვილის სიზარმაცესა და მკითხველის უპატივცემულობას რა ვუთხრა, თორემ წერა-კითხვის მცოდნე ნებისმიერი კაცი უფრო ვრცელსა და საინტერესო კომპილაციურ დაიჯესტს შემოგვთავაზებდა.

ერთი სიტყვით, ბერძენიშვილის წიგნის ნახევარზე მეტი წაკითხულის მოკლე შინაარსია, ინტერნეტში ამოკითხული და პრომიტიულად მოთხოვილი. რაც მთავარია, ამ კომ-

10 „საბას“ მოლოდინი, მეგუნის დოქტორი და ეკას ლევანა

პილაციურ ოპუსში ათასგზის გადაღეჭილი ამბებია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გვერდს, რომელიც ბერძენიშვილის არაფრით გამორჩეულ ბათუმურ ბავშვობასა და მოსამართლე მამას ეხება, ასევე ერთ მონაკვეთს, რომელშიც გულაგის ამბებს აღნერს. ჩვეულება არც აქ შეუცვლია ბერძენიშვილს. ამჯერად საკუთარი წიგნიდან – „წმინდა წყვდიადი“ – გადმოუწერია რამდენიმე ქვეთავი. ალბათ, იმიტომ რომ, კომპილაციური ნაზავისათვის დოკუმენტური პროზის იერი მიეცა და „საბას“ უიურისაც ამ ნომინაციის ფავორიტთა შორის დაესახელებინა.

თავს ვერ დავდებ, მაგრამ, ალბათ, წიგნის კიდევ ორი ქვეთავი – „ზვიადი“ და „მერაბი“ თუ მიიჩნიეს „საბას“ მესვეურებმა დოკუმენტური პროზის კუთვნილებად, როცა ბერძენიშვილის წიგნი ფინალისტთა შორის დასახელეს, ოღონდ სამწუხარო ის არის, რომ ავტორი დიდად ვერც დოკუმენტურ სიმართლეს იცავს და აქაიქ ტყუილსაც გამოურევს ხოლმე. რა თქმა უნდა, უპატიებელ ცოდვად არ მიმაჩნია ბერძენიშვილის ის შეცდომა, რომ „ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავასთან, მომავალში ჩვენს დიდ მწერალთან – გურამ დოჩანაშვილთან და სხვა მეგობრებთან ერთად, 16 წლისა პირველად დააპატიმრეს“. გურამ დოჩანაშვილი არ დაუპატიმრებიათ, რადგან მისი მეგობრების დაჭერის წინა დღით, ის დაჭრეს და საავადმყოფოში აღმოჩნდა. ბერძენიშვილის ის განცხადება კი ნაღდად საეჭვოა, ზვიად გამსახურდიას დისერტაციის დაცვას ვესწრებოდი, „შედარებით პატარა აუდიტორია... სპეციალურად იყო შერჩეული“ და ზვიად გამსახურდიას „არასაბჭოურად ეცვა“-ო. ახლავე აგიხსნით რატომ. ზვიად გამსახურდიას დისერტაციის დაცვა დანიშნული იყო უნივერსი-

ტეტის პირველი კორპუსის ყველაზე დიდ, 93-ე აუდიტორიაში, იქ სადაც ჩვეულებრივ იმართებოდა დისერტაციების დაცვა ლიტერატურათმცოდნეობაში. დასწრების მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ დაცვა უნივერსიტეტის კლუბში გადაიტანეს. ეს იყო და ეს. არავითარი „სპეციალურად შერჩეული“ პატარა აუდიტორია არ ყოფილა. ასევე ტყუილია, რომ ზვიად გამსახურდიას დისერტაციის დაცვაზე „არასაბჭოურად ეცვა“. არათუ დისერტაციის დაცვაზე, არამედ რამე ოფიციალურ სივრცეში ზვიად გამსახურდია პიჯაკისა და ჰალსტუხის გარეშე არასოდეს მინახავს. როგორც ჩანს, ბერძენიშვილს ვილაცამ უამბო ზვიად გამსახურდიას დისერტაციის დაცვის ამბავი – აუდიტორიაში ხალხი არ დაეტიაო, მან კი თავი ამ ფაქტის თვითმხილველად გამოაცხადა. ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფიას ბერძენიშვილისეული შელაბაზება არ სჭირდება. ეს მხოლოდ ბერძენიშვილს სჭირდება (იცის, მასთან პირშავად რომაა), თავი სიჭაბუკიდანვე ზვიადთან დაახლოებულ პირად გამოაცხადოს. ამიტომ ჰყვება ასეთ ამბავს: „ზვიად გამსახურდია იყო ტრადიციული მასპინძელი ცნობილი რუსი დისიდენტებისა საქართველოში. ერთხელ მას ანდრეი ამალრიკი ესტუმრა მეუღლესთან ერთად. ეს ამბავი ჩემი ახლო მეგობრისაგან, გიორგი ხომერიკისგან გავიგე და იმდენად დავინტერესდი, რომ წავედით ზვიადთან და პირადად შევხვდით სტუმარს.“ ანდრეი ამალრიკი 1976 წელს, მეუღლესთან, გიზელთან ერთად, მართლაც იყო თბილისში (ამ სტუმრობის შემდეგ მალევე წავიდა საზღვარგარეთ – ესპანეთში). ამალრიკების მასპინძლები იყვნენ: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ირაკლი კენჭოშვილი. ამალრიკები მორიგეობით ცხოვრობდნენ ხან ზვი-

ადთან, ხან მერაბთან და ყველაზე ხანგრძლივად – ირაკლისთან. გიზელ ამალრიკმა ირაკლი კენჭოშვილის ვაჟის სურათიც დახატა. რა ვქნა, სულო ცოდვილო და მაინც მგონია, ბერძენიშვილი საკუთარ ბიოგრაფიას აკეთილშობილებს. მერწვება, იმხანად უცნობი სტუდენტი ზვიად გამსახურდისა და ამალრიკის შეხვედრას დასწრებოდა. ვის გინდა ჰკითხო? ! ზვიად გამსახურდისაც გარდაცვლილია და გიორგი ხომერიკიც. ახლა ერთი ფაქტი უნდა გავიხსენო. ხომ გახსოვთ, ბერძენიშვილმა რომ იცრუა, 1978 წლის აპრილში მწერალთა კავშირში კონსტიტუციის განხილვას ვესწრებოდი და, აკაკი ბაქრაძის გარდა, ხმა არავის ამოულიაო. არადა, აკაკი ბაქრაძე სტატიაში – „კრება მწერალთა კავშირში“ (ტომი VIII, გვ. 591-603) საგანგებოდ აღნერს სხდომაზე არსებულ ვითარებას და ათამდე გამომსვლელს მაინც ასახელებს – ყველას, ვინც იმ დღეს კონსტიტუციის განხილვაზე გამოვიდა. ამიტომ არ მჯერა არც ზვიადთან მისი სტუმრობისა და არც, როგორც თვითონ ამბობს, ამალრიკთან ჰირადი შეხვედრისა. არ დავმალავ, ირაკლი კენჭოშვილს ვკითხე და ამალრიკის სტუმრობის პერიოდში ლევან ბერძენიშვილი არ მახსოვოს.

ჩემი ფეისბუქის პოსტის კომენტარებში ბერძენიშვილის ერთმა გულშემატკივარმა მისი გამართლება სცადა, ეს წიგნი დოკუმენტური პრიზაა და ამ უანრის ლიტერატურაში წყაროს დასახელება წესად არაა მიჩნეული, ამიტომ ავტორის დაუსახელებლად სხვისი პუბლიკიდან გადმოწერა პლაგიატად ვერ ჩაითვლებაო.

ვიდრე იმას გავარკვევდეთ, თუ რა უანრისაა ბერძენიშვილის ოპუსი, ვიტყვი, მერწვება ამგვარ გულშემატკივარს ან საკუთარი ნათქვამისა სჯეროდეს, ან წაკითხული ჰქონდეს

ბერძენიშვილის წიგნი. იმაში კი დარწმუნებული ვარ, ეს წიგნი „საბას“ კონკურსის ფავორიტთა შორის ისე დასახელდა, უიურის წევრთაგან არავის წაუკითხავს. ამ შემთხვევაშიც ელდარ შენგელაის და რეზო ჭეიშვილის „ცისფერი მთების“ ვარიანტი გათამაშდა: „ვეთანხმები წინა გამომსვლელს!“ (ანუ კონკურსის მესვეურებს), თორემ ჩემი მტერი ვერ მიხვდა, რომ ბერძენიშვილის წიგნი არც დოკუმენტური პროზაა და არც საპრემიოა. მიზანი ერთადერთია – ავტორიტეტი აუმაღლონ საკუთარ ფავორიტს. ამიტომ დასახელდა ბერძენიშვილი საუკეთესოთა შორის ორ ნომინაციაში: დოკუმენტური პროზისა და თარგმანის (სხვადასხვა ავტორთა „მედეა“), ხოლო ევრიპიდეს ტრაგედიების ორტომეული და მისი მთარგმნელი შუალედურ, თორმეტკაციიან სიაშიც კი არ მოიხსენიეს, ვითომ არც არსებულა, ხელი არ უნდა შეეშალოს ბერძენიშვილს.

ახლა იმის თაობაზე, თუ რა უანრს მიეკუთვნება ბერძენიშვილის წიგნი. ამაზე ერთადერთი პასუხი არსებობს – საბჭოურ ხალტურას! თუ რატომ საბჭოურს, ახლავე მოგახსენებთ.

ხალტურა ლათინური წარმომავლობის სიტყვაა, რომელმაც XX საუკუნეში, საბჭოთა ყოფის „წყალბით“, სრულიად სხვა, თავდაპირველისაგან განსხვავებული შინაარსი შეიძინა. უცხოენოვანი ლექსიკონები გვამცნობენ, რომ ხალტურის პრაქტიკა საბჭოთა პერიოდში წარმოიშვა და ფართოდ გავრცელდა სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ ქვეყნებში. ჩვენი ლექსიკონების განმარტებაც არსებითად ემთხვევა ხალტურის წარმოშობის ამგვარ მიზეზშედეგობრიობას. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, „ხალტურა“ უხეირო, არაკეთილსინდიდიერად შესრულებული სამუშაოა.

12 „საბას“ მოლოდინი, მეგუნის დოქტრინა

ერთი სიტყვით, ხალტურა საბჭო-თა მოვლენაა და ფართოდ ჰქონდა ფესვები გადგმული საბჭოურ ყოფა-სა და კულტურაში. იმავე უცხოენო-ვანი ლექსიკონების თანახმად, ხალტურის პრაქტიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც არ აღმოფხვრი-ლა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ბერძენიშვილის ორსათაურიანი წიგნიც ამის დასტურია. ხალტურაა, როცა მკითხველს ატყუებ, სხვისგან იწერ და შენად ასაღებ; ხალტურაა, როცა სტალინზე, ბერიაზე, ეუოვ-იაგოდასა თუ წადეუდა ალილუევაზე არაფერს ახალს არ ამბობ და ინტერნეტში არ-სებული მასალების მეშვეობით მკითხველს მცირე ფორმის დაიჯესტების ნაზავს სთავაზობ; ხალტურაა, როცა შენს არაფრითგამორჩეულ ბავშვობა-სა და მოსამართლე მამაზე, წიგნის-თვის დოკუმენტური პროზის იერის მინიჭების მიზნით, პრიმიტიულად და უინტერესოდ წერ; ხალტურაა, როცა ამ კომპილაციურ ნაზავში 30 გვერდს ადრე გამოცემული შენივე წიგნი-დან ჩაურთავ („წმინდა წყვდიადი“), რათა მოცულობაც გაიზარდოს და მამისა და საკუთარი ბავშვობის აღ-ნერის უინტერესო 20 გვერდიან მო-ნაკვეთთან ერთად, წიგნმა, როგორც ითქვა, დოკუმენტური პროზის სახე მიიღოს. სწორედ ეს არის საბჭოური ხალტურა, ამ საქციელის ჩამდენი – „ხალტურშჩიკი“ და ჰომოსოვიეტიკუსი. არადა, ბერძენიშვილი სხვებს ამუნათებს, წითელ ინტელიგენციაზე ლაპარაკობს. არაფერს ისე არ გავუ-ოცებივარ ამ პლაგიატით გაჯერე-ბულ კომპილაციურ წიგნში, როგორც უკანასკნელ თავს – „წითელი ინტე-ლიგენცია“. აქ ბერძენიშვილი იმაზე წერს, თუ როგორია წითელი ინტელი-გენციის ცხოვრების წესი. ვიფიქრე, საკუთარ თავს ხომ არ ახასიათებს, საკუთარ პიროვნულ პორტრეტს ხომ არ ხატავს-მეთქი. ამიტომაც გავოც-

დი.

ახლა ის ვნახოთ, თუ რას ამბობს ბერძენიშვილი „წითელ ინტელიგენ-ციაზე“. მისი აზრით, „ეს არის კასტა, რომელიც ყველა დროში და ეპოქაში ცდილობს, რომ ხელისუფლებასთან ახლოს იყოს, ხოლო, როდესაც ამ ხე-ლისუფლებას წყალი შეუდგება, სწრა-ფადვე იპოვოს ახალი ხელისუფალი, რომელიც მიანიჭებს პრივილეგიებს“.

ვინც ბერძენიშვილის ცხოვრების განვლილ წლებს ასე თუ ისე იცნობს, არ შეიძლება არ გაახსენდეს მისი სა-ტელევიზიო გადაცემების ციკლი – „მჯერა“ – შევარდნაძის ხელისუფ-ლებისა რომ სჯეროდა. მერე, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „როდესაც იმ ხელისუფლებას წყალი შეუდგა, სწრაფადვე იპოვა ახალი ხელისუფა-ლი“ და ხელისუფლება „ნაცმოძრაო-ბის“ სახით. მერე, როცა იმასაც „წყა-ლი შეუდგა“, ასევე „სწრაფად იპოვა“ „ქართული ოცნება“. ასე რომ, აშკა-რაა, საკუთარ გამოცდილებაზე დაყ-რდნობით გვიზიარებს ბერძენიშვილი „წითელი ინტელიგენციის“ ცხოვრე-ბის წესსა და მეთოდს. როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად იცნობს საკუთარ თავს. ხომ გახსოვთ, რა თქვა სახელ-განთქმულმა ტალეირანმა პოლიცმა-ისტერ ფუშეზე, როცა ეს უკანასკნე-ლი ვიღაცას მართლაც უკანასკნელი სიტყვებით ახასიათებდა – „რა კარ-გად იცნობს, მამაძალლი, საკუთარ თავს!“ ანალოგია ვრცელ კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ მაინც ვიტყვი, როგორი სითამამეა, სხვაზე თქვა ის, რაც თავადა ხარ.

სითამამე კი ნალდად არ აკლია ბერძენიშვილს. იმ ფაქტმა, რომ მის სატელევიზიო ლექციებს განმკითხა-ვი არა ჰყავს, მეტისმეტად გაათამამა და გააღალა, საკუთარ თავს ყველაფ-რის უფლებას აძლევს. მოეპრიანება და აკაკი წერეთელს უშვერი სიტყვით გალანძღავს; მოეპრიანება და სხვა

დროს მისგან მოწონებული პოემის, „ალუდა ქეთელაურის“, ავტორს გაჰკრავს კბილს, არც ნებისმიერი ისტორიული პირის, მოღვაწისა თუ მწერლის შეურაცხყოფაზე იტყვის უარს. ერთი მხრივ, სკანდალური გამოხტომები მეტი ცნობადობისა და დამკვეთთა წინაშე თავის გამოსაჩენად სჭირდება და მეორე მხრივ, ამგვარი საქციელი, ეპატაურობასთან ერთად, მის ქვეცნობიერში მიმალული კომპლექსების გამოძახილია. როცა „ვეფხისტყაოსნის“ თინათინზე იტყვის – ხომ არ გამეფებულაო, ნუ გაგიკირდებათ ასეთი აბსურდი. ამან, ეპატაურობასთან ერთად, სხვა სიამოვნებაც განაცდევინა – აუდიტორიას დასცინა, რომელიც გატრუნული უსმენდა, თორემ მშვენივრად იცის, რომ პოემა თინათინის გამეფებით იწყება. ბერძენიშვილი ბუნებით ცინიკოსია და როცა ცინიზმის გამოვლენის საშუალება ეძლევა, შანსს ხელიდან არ უშვებს. ერთ ტელელექციაში, უფროსი კოლეგის ცინიკურად მოხსენიებისა და გაიტრიზავების მიზნით, ასეთი რამ უამბო აუდიტორიას: 90-იან წლებში, გერმანიაში, სამეცნიერო კონფერენციაში ვმონანილეობდით მე და ჩემი ხელმძღვანელი. ჩემს ხელმძღვანელს ისეთი პრეტენზიული მოხსენება ჰქონდა, ლამის მთელ ანტიკურ ლიტერატურას მოიცავდათ. გერმანელები სათაურის წაკითხვისთანავე სიცილით დაიხოცნენ. ჩემი მოხსენება კი კონკრეტულ საკითხს გულისხმობდა, ამიტომაც მომისმინეს ყურადღებით. აქ რომ შეჩერებულიყო, კიდევ რა უშავდა. მერე ეს თავმოწონება წრეგადასულ სითამამეში გადაზარდა და ასეთი რამ თქვა, მე გერმანული არ ვიცი, მოხსენება პიძინა რამიშვილმა ქართული ასოებით დამიწერა და ისე წავიკითხეო. აუდიტორიამ მაშინაც არ დაუწუნა საქციელი. არავის გასჩენია კითხვა, კი მაგრამ, როგორ

ვერ მიხვდნენ, გერმანული რომ არ იცოდი? აზრი რომ ვინმეს გამოეთქვა, ვისაც დასცინი, ისევ იმ იმისათვის არ უნდა მიგემართა საშველად, მითხარი, რას მეუბნებიანო?!

რა თქმა უნდა, იმ ხელმძღვანელის სახელი და გვარიც ვიცი და მოხსენების თემაც, მაგრამ არ ვიტყვი, იმ პატიოსან კაცს და მეცნიერს შეურაცხყოფას ვერ მივაყენებ. ბერძენიშვილის მისამართით კი უნდა განვაცხადო, რომ ამ შემთხვევაში მასთან შედარებით, თაღლითურ-ავანტიურისტული რომანების სახელგანთქმული პერსონაჟებიც კი, ჩვენი კვაჭი კვაჭანტირაძე იქნება, რუსების ოსტაპ ბენდერი თუ გერმანელების ფელიქს კრული, ცხვირმოუხოცავ ბალდებად გამოიყურებიან. რა გვონიათ? ისე კი უნდა ითქვას, თაღლითობასაც ნიჭი უნდა. თაღლითობის მსოფლიო ისტორიამ ბევრი ნიჭიერი თაღლითი იცის. შოტლანდიელმა არტურ ფერგიუსონმა გულუბრყვილო ტურისტებს ბიგ-ბენი 1000, ბუკინგემის სასახლე 2000 ფუნტ სტერლინგად მიჰყიდა და მსოფლიო თაღლითობის ისტორიაში ინგლისის ნაციონალური ძეგლების გამყიდველის სახელით შევიდა. ეს ჩვენი „წარმატებული“ ცინიკოსი და ინტელექტუალური თაღლითიც საქართველოს ეროვნულ ისტორიას ჰყიდის (მაგალითების მოხმობით აღარ შეგანყენთ, ისედაც იცით), უნდა ვივარაუდოთ – სარფიანადაც.

ერთი სიტყვით, თაღლითობა-ავანტიურისტობაში ბერძენიშვილი ნალდად არავის ჩამოვარდება. სწორედ ავანტიურა, პროვოკაცია და ცინიზმი იყო ვიდეოკამერების თანხლებთ მისი ყვარელში ჩასვლა – ილია ჭავჭავაძეზე ლექცია უნდა წავიკითხოო, თუმცვერაფერი ლექციის წამკითხავი ვერ არის. ახალი და მნიშვნელოვანი სათქმელი რომ ჰქონდეს, ლიტერატორი კაცი ამას აუცილებლად დაწერდა,

14 „საბას“ მოლოდინი, მეგუნიას დოქტორი და ეკას ლევანა

მაგრამ მისი უბედურებაც ის არის, რომ ილიას შემოქმედებაც და მთელი ქართული ლიტერატურაც სასკოლო პროგრამის დონეზე იცის (ამაზე სხვა დროს ფეისბუქ პოსტებში მაქვს ნათქვამი, ამჯერად აღარ განვმეორდები და სამომავლოდ შემოვინახავ).

ყვარელში კი რა მოხდა?! ბერძენიშვილის ავანტიურით აღმფოთებულმა ყვარლელებმა დარბაზში არ შეუშვეს, მისი მიზანიც ეს იყო, რომ ფაქტი ვიდეოკამერებით უნდა დაფიქსირებულიყო, ბერძენიშვილი – ძალადობის მსხვერპლად, საზოგადოება კი მოძალადედ წარმოჩენილიყო.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება ბერძენიშვილის ორსათაურიან წიგნზე, იმაზე, რომ დოკუმენტური პროზა სიტყვაკაზმული მწერლობის კუთვნილებაა და ბერძენიშვილის მწირ და ლარიბულ ლექსიკას არაფერი აქვს საერთო სიტყვაკაზმულობასთან; იმაზეც, რომ ბერძენიშვილს არც ქართული და არც უცხოური ლიტერატურის (თუ საჭიროება მოითხოვს, ამაზეც დავწერ) ღრმააზროვანი ანალიზი არ შეუძლია; იმაზეც, რომ დიდი მონდომებით ცდილობს გააუფასუროს ყოველივე ღირებული – ჩვენი ისტორიაც, ისტორიული მოღვაწებიც და მწერლებიც. სამწუხაროდ, ის მარტო არ არის, სხვებიც აჟყვნენ იმ სავალალო საქმიანობაში, რასაც მეცნიერების ბერძენიშვილიზაციას დავარქმევდი. სიტყვა ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, ამ საკითხზე მომავალში დავწერ.

ბერძენიშვილს კი, მამალ ათეისტობაზე რომ დებს თავს და ნიშნის-მოგებით გვეუბნება – ცა ცარიელია, მაინც სახარების სიტყვებს შევახსენებ: „არა არს დაფარული, რომელი არა განცხადდეს“.

2. მეგუნიას დოქტორი და ეკას ლევანა

„შილდაში მლერის დედას ლევანა და ართანაში – ყარალაშვილი“. ტიკიან ტაბიძე

ჩემს ერთ-ერთ ფეისბუქ პოსტში, როცა აშკარად წარმოჩინდა ბერძენიშვილის პლაგიატ-კომპილატორობა, „საბას“ მესვეურთა მისამართით ბერძენიშვილის მიერ უდიერად მოხსენიებული აკაკი წერეთლის სიტყვები მოვიხმე, „ახლა გინდ შეიტანეთ და გინდ გამოიტანეთ ეგ თქვენი რუმბივით გაგორებული ფალავანი“, ბერძენიშვილს გინდ „საბა“ მიეცით და გინდ გონიურების პრემია-მეთქი. არადა, მართლაც მისცეს „საბა“, თანაც საგანგებო – სპეციალურ ნომინაციაში და თანაც არასამთავრობო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით.

ამ ფაქტმა ერთი სახალისო ისტორია გამასხვნა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის კინო-ტელე სასცენარო განყოფილების სტუდენტებს ჩვენმა ლექტორმა, ოთარ სეფიაშვილმა გვიამბო, კინორეჟისორ სიკო დოლიძეს და მის ფილმს – „შეხვედრა წარსულთან“ – უკავშირდება.

სიკო დოლიძეს საბჭოთა ეპოქაში რამდენიმე საკმაოდ წარმატებული (მართალია, სხვადასხვა მხატვრული დონის, მაგრამ ყურებადი) ფილმი აქვს გადაღებული („უკანასკნელი ჯვაროსნები“, „დარიკო“, „ჭრიჭინა“...), არაერთი მნიშვნელოვანი მსახიობიც გამოუყვანია ასპარეზზე. რეჟისორს, რომელსაც ბედმა არგუნა, ფილმები ძირითადად უკიდურესი ტოტალიტარიზმისა და საბჭოთა კინოს ე. წ. „უკონფლიქტობის თეორიის ეპოქაში“ გადაეღო, სამოციან წლებში, უკვე ჭარმაგ ასაკში, აღარ ჰქონდა საზღვარგარეთულ კონკურ-

სეპში წარმატების მიღწევის შესაძლებლობა. ამ დროს ქართული კინოს ახალი თაობა საკმაოდ პრესტიულ კინოფესტივალებზე პირველი პრიზებითა და „ოქროს პალმის რტოებით“ ჯილდოვდებოდა. სიკო დოლიძემ, რომელიც იმ დროს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე და ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი იყო, 1967 წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და უკრაინის კინოფესტივალი ჩატარა და კონკურზე საკუთარი ფილმი – „შეხვედრა წარსულთან“ წარადგინა. ფესტივლის მასპინძლისა და ორგანიზატორის ფილმს გამარჯვება, ფაქტობრივად, გარანტირებული ჰქონდა. ასეც მოხდა, მასპინძელს უარი არავინ უთხრა, მაგრამ მხოლოდ ფილმის გამარჯვება საკმარისი არ იყო. კიდევ ერთი პრიზი იყო დაწესებული – ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, რომელიც აუცილებლად რეჟისორის ცოლს, სილამაზით გამორჩეულ მეგი წულუკიძეს უნდა მიეღო, მაგრამ აქ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა... უიურის სხდომაზე თავმჯდომარის წინადადებას არ დათანხმა აზერბაიჯანის წარმომადგენელი, რომელმაც არ იცოდა, რომ მეგი წულუკიძე სიკო დოლიძის ცოლი იყო. ყველასთვის გასაოცრად, კაცმა, რომელიც მანამდე სტატისტივით იჯდა და ხმას არ იღებდა, იყვირა: რა შუაშია მეგი წულუკიძე, მთავარ როლს ლეილა აბაშიძე თამაშობს, მეგი წულუკიძეს ხომ მეორეხარისხოვანი როლი აქვსო? დარწმუნებული იყო, ამაზე მასპინძელი არ გაუნაწყენდებოდა, რადგან მისივე ფილმის მსახიობს დაუჭირა მხარი. უიური იძულებული გახდა, დათანხმებოდა გაჯიუტებულ წევრს. როცა ეს ამბავი ტელეფონით სიკო დოლიძეს აცნობეს, ემცხეთა, აღარ იცოდა, რა ექნა. ეგ იყო მხოლოდ, სამწუხარო ინფორმაცია ცოლს

დაუმალა. მართალია, გვიანი საღამო იყო, მაგრამ უურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორს, ოთარ ეგაძეს, მაინც დაურეკა – თუ ძმა ხარ, ხვალ დილით ჩემთან მოდიო. მეორე დილით, როგორც ოთარ სეფიაშვილი გვიყვებოდა, თავშეხვეული დახვდა რეჟისორი რედაქტორს. სთხოვა, მიშველე, თორემ გადამერევა მეგუნია. იყიდე ერთი დოქი, დააწერე – „უურნალ საბჭოთა ხელოვნებისაგან“, გამოვაცხადებინებ, პრიზი სპეციალურ ნომინაციაშია დაწესებული ქალის როლის საუკუთესო შესრულებისათვისო და გადაეცი მეგუნიას. ასეც მოქცეულა ოთარ ეგაძე (უურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი რომ მართლაც მეგი წულუკიძემ მიიღო, შეგიძლიათ იხილოთ ამავე უურნალის 1967 წლის მე-5 ნომერში). ამის შემდეგ ჩვენს ლექტორს, ჩემს თანაკურსელებსა და მე გამოთქმა – „მეგუნიას დოქი“ – საეჭვო ლირებულების მქონე ქმნილების სინონიმად გვექცა, თუ რაიმეში ეჭვი შეგვეპარებოდა, ერთმანეთს ასე ვეკითხებოდით: ეგეც მეგუნიას დოქი ხომ არ არისო.

ოთარ სეფიაშვილი ცოცხალი რომ იყოს, ვუამბობდი, როგორ გათამაშდა ჩვენში კიდევ ერთი ანალოგიური სპექტაკლი, როგორ გადაეცა დამაშოშინებელი პრიზი პლაგიატორსა და კომპილატორს, როგორ გადაიქცა პოსტსაბჭოთა საქართველოში მეგუნიას დოქი - ეკუნიას დოქად.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ეკა გიგაურმა, სპეციალურ ნომინაციაში – „საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიის რეფლექსია ქართულ ლიტერატურაში“ – გამარჯვებულად ლევან ბერძენიშვილი გამოაცხადა.

„საბას“ მესვეურებმა პლაგიატორი და კომპილატორი წიგნის ავტორი

16 „საბას“ მოლოდინი, მეგუნიას დოქტორი და ეკას ლევანა

(რადგან სხვა გზით ვერაფერი გა-
მართლება მოუძებნეს), ლიტერატუ-
რისაგან საკმაოდ შორს მდგომ ორ-
განიზაციასა და მის ხელმძღვანელს,
ეკა გიგაურს დააჯილდოვებინეს.
მეგუნიას დოქტორია არ იყოს, ბერძე-
ნიშვილიც სპეციალურ ნომინაციაში
გამოცხადდა გამარჯვებულად, რო-
მელიც, როგორც ჩანს, სამარქაფოდ
აქვთ შემონახული. ამ ნომინაციაში
არც კონკურსი ცხადდება და არც
უიური ანიჭებს პრიზს (კიდევ კარგი,
„საბას“ უიურის წევრები მაინც დაი-
ფარეს შერცხვენისაგან), ოღონდ ეგ
იყო, დაჯილდოვებულად გამოცხა-
დებისას ბერძენიშვილს პრიზი ვერ
გადასცეს, წინასწარ გააფრთხილეს,
გზაში დაგაწევთო. როგორც ჩანს,
თავიდან არ იყო გათვალისწინებუ-
ლი ორი ნომინანტის დაჯილდოვება.
მეორე დაჯილდოვებულის შესახებ
ვერაფერს მოგახსენებთ, მისი წიგნი
არ წამიკითხავს. შესაძლოა, მოსაწო-
ნიც იყოს. ესეც „საბას“ მესვეურთა
ტაქტიკაა, თუ ლირსეულს არავის და-
აჯილდოვებენ და მხოლოდ იმას მის-
ცემენ პრიზს, ვინც წინა წელს უიუ-
რიში იყო და ახლა აღარ შეიყვანეს,
რადგან მისი დაჯილდოვების ჯერი
მოვიდა, საზოგადოების თვალში მთ-
ლად გაბითურდებიან. მოკლედ, „სა-
ბას“ დამკვეთ-მეპატრონეთა ტაქტიკა
კი დევს ხელისგულზე, ამაზე არა-
ერთხელ ითქვა კიდეც, მაგრამ მე ის
მაინტერესებს, სად წახეს ამ წიგნში
სერიოზული მსჯელობა და ანალიზი,
გნებავთ, რეფლექსია საბჭოთა და
პოსტისაბჭოთა ლიტერატურაზე?! მი-
უხედავად ამისა, წიგნს მაინც მისცეს
ჯილდო, მეტიც, ბერძენიშვილს აქვს
შანსი, პლაგიატითა და კომპილაციით
გაჯერებული წიგნი ფრანგულ ენაზეც
გამოსცეს. ტყუილად ხომ არ მიაღები-
ნებდნენ მონაწილეობას ამ ფარსა და
დადგმულ სპექტაკლში საფრანგეთის
ელჩს, რომელთანაც, სავარაუდოდ,

ეკას ლევანას მისი მფარველი გიგაუ-
რი უშუამდგომლებს. განა მასთან არ
გაიქცნენ დახმარების სათხოვნელად
„საბას“ მესვეურნი?! არავინ მითხრას,
ამის შესახებ ბერძენიშვილმა არაფე-
რი იცოდაო. სირცხვილია, ლიტერა-
ტორი კაცი საზოგადოებრივ ორგანი-
ზაციას ამოეფარო და ან რომელიმე
პარტიას. რა შუაშია აქ პარტია და
პოლიტიკა?!

ისე კი, მართლაც საოცარია, რო-
გორი გამძლე და სიცოცხლისუნარი-
ანი აღმოჩნდა საბჭოური მენტალობა
და მასზე დაფუძნებული ჰომოსოვიე-
ტიკუსი, დღემდე როგორ აქტიურად
არის ჩართული პოსტისაბჭოთა საქარ-
თველოს ლიტერატურულ საქმიანო-
ბაში. არც ის უნდა გაგიკვირდეთ, თუ
გიგაურ-ბერძენიშვილის დუეტი, „სა-
ბას“ მესვეურთა ხელშეწყობით, მათ-
თვის კეთილადმოსაგონარი ლენინის
სტატიის ანალოგით – „პარტიული
ორგანიზაცია და პარტიული ლიტე-
რატურა“ – მომდევნო კონკურსზე კი-
დევ ერთ ორსათაურიან წიგნს წარად-
გენს: „პარტიული გამჭვირვალობა
პოსტისაბჭოთა საქართველოში; პრე-
მის მიღების ხერხები და მეთოდები.“
ალბათ, საფრანგეთის ელჩისაც ისევ
გამოიყვანენ მისალმებით, რომელსაც
არც მაშინაც ექნება წიგნი წაკითხუ-
ლი და არც ის ეცოდინება, რა ფარსში
მონაწილეობს. რატი ამაღლობელიც,
„ომამდე ტანკისტისა“ არ იყოს, ად-
რე რომ პოეტობდა და საკუთარ თავს
„საბას“ პრემიაც მიანიჭა, რისითა და
ზარ-ზეიმით გამოაცხადებს, „სპეცი-
ალურ ნომინაციაში გამარჯვებულია
გიგაურ-ბერძენიშვილის დუეტი“, არ
დაახანებს არც დამსწრეთა ყიუინა,
არც ფოიერვერკების ზათქი და არც
მუსიკა ჰიმნისა – „შირაკა სტრანა
მაია რადნაია“, ოღონდ ტექსტის გა-
რეშე, სიტყვები არ შეიძლება! სიტ-
ყვით ხომ პროდასავლეთელები ვართ,
ფულსაც ხომ ამაში გვიხდიან საფ-

რანგეთის ელჩივით მოტყუებულ-გა-ცუცურაკებული ჩვენი პარტნიორები. მერე ამ სპექტაკლს ტელევიზიით გა-დასცემენ, ინტერნეტშიც განათავსე-ბენ და მომწონებელ-დამლაიქებელთა ორგანიზებასაც შეძლებენ.


ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, მქუხარე ტაში დავცხოთ და შევძახოთ:

„აბა ტაში, ჩქარი ტაში! ჩემო რატი, ჩემო ეკა, ჩემო ეკას ლევანავ!“



ახლა კი სრული სერიოზულობით. ბერძენიშვილის წიგნი და მისი და-ჯილდოება მკითხველის აშკარა აბუ-ჩად აგდებაა. ნაქურდალითა და კომ-პილაციით გაჯერებულ, პრიმიტიული ენით დაწერილ, ვითომდა საბჭოთა ეპოქის მამხილებელ წიგნს ბერძე-ნიშვილი და კომპანია აკაკი ბაქრაძის „მწერლობის მოთვინიერების“ მკით-ხველს სთავაზობს. ამაზეა ნათქვამი,

უკან და უკან სოფელო. ბერძენიშ-ვილის ლიტერატურული სუროგა-ტი ჯერ სიტყვაკაზმული მწერლობის (დოკუმენტური პროზის) ნიმუშად, შემდეგ კი საბჭოთა იდეოლოგიისა და პოსტსაბჭოთა ეპოქაში კომუნისტური ხანიდან გადმოსული რეტროგრადუ-ლი აზროვნების მამხილებელ ქმნი-ლებად უნდა წარმოაჩინონ, ჯილდოც მისცენ და თუ შენი პროფესიული მოვალეობა, გნებავთ თავმოყვარეო-ბა, გაჩუმების უფლებას არ მოგცემს, შეიძლება რომელიმე პარტიის ადეპ-ტად ან ძველი დროის ბოლშევიკე-ბის მსგავსად, მანჯურიის და კიდევ იმის იქითა ქვეყნების აგენტადაც გამოგაცხადონ. ამგვარი სიცრუე და თვალთმაქცობა სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების მისით ინილბება და უხვადაც ფინანსდება. რას ვიზამთ, „ნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკის ძირისა“.



სალომეა ლომინაძე

იმ კაცს...

იმ კაცს,
მე რომ მიყვარდა,
თეთრი, სიფრიფანა ქალები მოსწონდა.
აი, დარდი!..
მზეს გულმკერდს ვახარბებდი
და პურის ყანასავით მითამთამებდა ყველაფერი,
რაც შეიძლებოდა ხელში მოჰყოლოდა
იმ კაცს, მე რომ მიყვარდა...

იმ კაცს,
მე რომ მიყვარდა,
თვალებდახრილი ქალები მოსწონდა...
აი, დარდი!..
ჩამოვუვლიდი ხოლმე,
იღლიაში თექის ხელჩანთასავით ამოდებული ბაზრის ტომრით,
და ხმამაღლა ვაგინებდი ლამაზი ქალის მარტოხელს,
რა ექნა
იმ კაცს,
მე რომ მიყვარდა?!
მეხმარებოდა...

როგორ მოსწონდა სიჩუმე
იმ კაცს, მე რომ მიყვარდა...
აი, დარდი!..
ჩაბარუხივით მოვთქრიალებდი და მომქონდა ქუჩა,
ხმამაღლი საღამი, ხორხოცი, შური და დაცინვა,
ჭორები მომქონდა...

ჩურჩულებდნენ მეზობლის ქალები
იმ კაცზე,
მე რომ მიყვარდა!..
ჩურჩულებდნენ: კაბები მოსწონსო, მზესუმზირებიანიო, იმ კაცსო...
აი, დარდი!..
აბა, სად დაეტეოდა ჩემს სითამამეში ყვითელი მზესუმზირები?!

იმ კაცს,
დილით პიტინიან ჩაის რომ მიმზადებდა,
არ მოსწონდა თრიაქი,
არც ის თამამი პოეტის ხმა მოსწონდა ჩემში
და სალამობით ანგიკური პიესებით მაპრუებდა...
...აი, დარდი!..
გამოვთრიაქდებოდი და ვმღეროდი:
„იქ, იმ გალმა ნაპირზე,
ისევ ყვავის ასკილი...“
მერე მაჩუმებდა, მამშვიდებდა,
მაპრუნებდა იმ გასაძლებელში, სადაც ასეთ ლექსებს ვწერდი:

ალმას, მეზობლის ქალს...

ჩამოხსნის ქალი პერანგს თოკიდან,
ჩამოხსნის, უთოს გადაატარებს.
ვაი, თუ ვინმემ ხელი მოჰკიდა,
შავ დღეს დააყრის, თუნდაც პატარებს,

რა სევდიანად გაცვითა რეცხვამ,
წყალია თითქოს ხისტი, ვერაგი,
ნეტავ თუ იყო კაცი და ეცვა,
ტანზე ოდესმე თეთრი პერანგი,
რომელიც რეცხვით გაცვითა წყალმა
და გაახუნა ჭორების ქორომ,
შენ კი ვერ ხვდები, ძვირფასო ალმა,
ამ კედლის იქით, კაცი რომ ცხოვრობს,
არც კი მოსულა, რომელი ჩაცმა,
დახურვა, წასვლა, უბრალოდ ქრება
და ბრალიანი ქალების ჯვარცმა
მაინც რომ შეძლეს უბრალო ქმრებმა,
მიკვირს...

ჰოდა...
მიგატოვე ის კაცი,
თავდავიწყებით რომ ვუყვარდი,
მაგრამ ვერა და ვერ მომიწონა...
ანგიკური პიესები გადმოვიდე,
ცოტა ხანი მზეს დავემალე,

ხმაურს გავერიდე,
 ცოტა დარდი დავიტყვე სახეზე, ხმაში,
 შევთხელდი, ჩავიცვი კაბა მზესუმზირებით,
 ჩაბარუხი რომ შთანთქას,
 იმ ნაკადულივით გამოვედი სახლიდან,
 ჩუმად,
 თვალებდახრილი და სულ არ მადარდებს თუ მოვწონვარ
 იმ კაცს,
 მე რომ აღარ მიყვარს!

რომ ვერ ამიხდე...

სულ ცოტა დამრჩა
 ამოვივსო მკერდთან ღილები,
 გადამეჩვევა სილამაზეც,
 აი, სულ ცოტა...
 ჰოდა,
 გელიან უშენობით დაღვრემილები,
 ხელები, როგორც სამოთხემდე მიმავალ ცოდვას...

ახირებული სიზმრებიდან გამოაქციე
 გული, რომელსაც ყელში უჭერს
 ვნების ქაროზი,
 ძალას დაიტანს,
 მომიწონებს მამა საქციელს,
 იცის,
 სხეულში გამომწყვდეულ ევას გამოვზრდი,

რომ ვერ ამიხდე...
 გამიდის და კიდევ ვიტირებ...
 ბავშვივით ვტირი და მოვუხმობ
 საშველად მამას,
 ჩემს ლექსს კი არ ვწერ,
 მგონი უფრო იმას ვციტირებ,
 რომ ყველა ქალი ქალია და ერთ მეძავს მალავს...

ამიტომ ვამბობ,
 რომ ხარ ცოდვა სამოთხის გზაზე,
 არსაითის გზას არ სჭირდება შენი ჩადენა
 და, სანამ ისევ მაისია, წვიმებით სავსე,
 ამაფრიალე სამოთხისკენ,
 ისე მჩატე ვარ...

●

ისე ვერ წავალ,
 მოკვდავებმა როგორც იციან,
 გავალ ლექსიდან,
 ნახატიდან,
 აკორდებიდან.
 „ქალი სარკეში“
 დაუხატავს უკვე ტიციანს,
 მე კი სარკის წინ
 ყოველთვის შენ მაგონდები და
 მინდება მხატვ
 მოყვავილე ზეთისხილებით
 და ჩემს სხეულზე
 არონინო თვალთა გიშრები,
 არ დაიღლება
 ჩემი ლექსი შენი მხილებით,
 დამხატე,
 ვიდრე გუაშივით გამოგიშრები.
 ო, რარიგ მინდა
 შენს ფუნჯს ვანდო სული, შიშველი,
 ფუნჯს, ჯადოსნური ჯოხის დარად
 რომ გიკავია,
 შემოფეოება ვიყავი და
 ვეღარ გიშველე,
 ჩვენი თვალები ერთმანეთთან დამნაშავეა.
 სცადე,
 თუ ერთხელ
 შენს მოლბერტზე გავითარებე,
 სამარადჟამო
 უკვდავებას ამით მოგიტან.
 გთხოვ ნუ გამიშვებ
 უქარიშხლოდ, შიშის გარეშე
 თუკი ოდესმე
 პორტრეტიდან გასვლა მომინდა,
 თორემ წავალ და
 შევიქნები სხვისი რჩეული
 და ეს სხეული
 სხვა ჰანგებზე როკვას დაიწყებს,
 ვიდრე ახალი მირაჟები არ დამავიწყებს
 აკვიატებულ თითებს,
 მკლავებს,
 გამხდარ ლავიწებს.
 ან ავდგები და
 იმ პოეტის ლექსიდან გავალ
 რომელმაც უკვე
 შეაბიჯა უკვდავებაში

რომელიც მწერს, რომ
მუზას ვგავარ,
ტკივილით მოსულს,
მწვავე ვნებაში.
ისე ვერ წავალ,
თითქოს არც ვიყო,
სულ სხვა გზა მინდა და სხვა კარიბჭე,
ამ ლექსის სული მინდა გაგიყო,
როდესაც მაგ ფუნჯს ხელში დაიჭერ,
და ამ ბწყარების გადმოსცე ხიბლი
შენი ფერების, შენი ხედვის უცხო არეში,
მე კი წავალ და სხვის სიმებზე
ლექსებად ვივლი,
რაკი არ გინდა
მაგ მოლბერტზე ჩემი თარეში...



შენ სხვანაირად გიხდება დარდი,
თავად დარდივით რაღაცნაირო,
მე რა ვიცოდი თუ ასე მგავდი
და არც გეძებდი, ჩემად, ბაირონ!

რა იქნებოდა ერთხელ მენახა
სიზმარი ჩვენზე, შენი ძე მეშვა,
და, თუ არსებობს, მხოლოდ შენა ხარ
ბედნიერება ჩემი და... შეშლა...

არაფერია იმაზე მწველი,
წყურვილს რომ შენით სხვები იკლავენ,
გაძლება თქვი და იმდენი ვძელი...
ჰოდა, მოდი და გამომიმკლავე!

მეტაფორები ფოთლებად ცვივა,
მინდა მაგ დროის კაბაში მნახო,
ის ერთი ფრაზაც, რაც ასე მტკივა,
შენ უნდა მითხრა – მოგაგნე სახლო...

და არ მოხვიდე ჩემთან ვით მგზავრი,
როგორც პოეტთან, თითქოს სანდო ვარ,
რა პოეზია, წერილებს ვგზავნი,
როგორც პატიმრის ბოლო სათხოვარს...

განა მიყვარხარ, მე უფრო მწამხარ –
და ასეთს გელი, ჩემო ბაირონ...
ჰოდა, მოდი და ნულარსად წახვალ
შე სევდასავით რაღაცნაირო...



ნესტან ლამბაშიძე

●
 ფაცხვის ყვავილის, ფინჯანი ჩაი...
 დარიჩინი აქვს ბებოს მურაბას...
 ვარდი – ლარნაკში...
 ბუხარში – ცეცხლი...
 ფანჯრებზე წვიმის წვეთების ცეკვა.
 მოგონებებით გამტკბარი ღამე,
 ყვავის იელი,
 გლიცინიაც, შარშან რომ დავრგეთ
 და სიცოცხლის ხმას გამოსცემს ქოხი.
 გარეთ სამყაროს, ქოხში მყოფთა, მარტოობის განცდა აწუხებს.

●
 მინდა მახსოვდეს, გასავლელი გზა მაქვს უფლამდე,
 გულიდან ცრემლად გადმოვლვარე ცოდვის წვეთვები...
 გადავითვალე ოცდათი ვერცხლი სათუთად...
 მეძახდა სული: ჩამკეტეო! არ შემოძვრეს შენშიც იუდა...

●
 გასაკვირია, ვიცი ის ქალი, ქოხადქული სხეული დააქვს,
 და სულ დუმს გარეთ, სხვები რომ ბჭობენ ბედნიერების უბრალოებას...

●
 წამოდი მთაში!
 ერთად ვნახოთ
 აფეთქება იასამანის, როგორ აცოცხლებს ჩაუამული სახლის აივნებს...
 წამოდი მთაში!
 მდელოზეა რაში, ბალახობს,
 წამოდი მთაში.
 აფეთქებული აპრილია, ფანჯრებს სდარაჯობს,

მზე ათბობს კედლებს ნათებერვლარს, თეთრად გაყინულს....

ოქროსფერ ძაფით, თავად გვიქსოვს, ხალიჩების ქსელს

ტყეში ობობა, სავალ ბილიკებს ასე გვიქარგავს.

წამოდი მთაში, გაზაფხული ერთად ვისუნთქოთ...

მიწა შევიგრძნოთ, გაულენთილი მარტის წვიმებით ...

წამოდი მთაში!

გაგვისუქდა მარტში კვირტები და შემოასკდათ ტანზე კაბები!

წამოდი მთაში, ადვილია, რომ მივწვდეთ ზეცას,

ჩამოვიტანოთ ლურჯი ფერი დედამიწაზე,

იასამნისფერს შევაშველოთ ლურჯ ფერთა გამა და

აკვარელით ცარიელი ეზოები გავაფერადოთ!

წამოდი მთაში!

ყვავილობა ერთად ვნახოთ იასამანის

წვიმის თქეშად რომ მოვარდება ორლობებში.



უკუნი ღამე გადაყლაპავს სითეთრეს დღისას.

ჩამოლამდება...

წითელი ცეცხლი, მუხის კუნძის დაბერებულ კანს,

კვნესა-ოხვრით წვავს...

ბუხრის წინ, ცეცხლთან, ფიქრების

დგას კორიანტელი,

არ მოწერილ წერილების მოლოდინია...

ჩამელიმება...

.....

ჩემივე თავი, გამოგონილ, წერილების შეკვრად ვაქციე...



წამო, ვიცეკვოთ, თავაშვებულ წვიმების თქეშში..

წამო, ვიცეკვოთ, დავისველებ ხავერდის კაბას.

წამო, ვიცეკვოთ, ზეიმი აქვს გარეთ გაზაფხულს...

წამო, ვიცეკვოთ!

.....

მარტის წვიმა თუ დამისველებს თვალის უპეებს.

გამიხარდება!

ჩამოწურავს ცრემლებს წვიმებად...

თუ ამერევა წვიმის თქეშში, ნაბიჯების თვლა,

გამიხარდება!

მივცემ სხეულს თავისუფლებას.

იცეკვოს სულმა, თავისებურად.

დე, დაეკარგოს რიტმს და რითმას თანმიმდევრობა...

წამო, ვიცეკვოთ,

ლამპიონების მკრთალ ნათელში,

გარეთ წვიმაში,

გალუმპულებმა დავითენოთ მარტის ღამე თავზე წვიმებად...

●
 თავბრუ დაგახვევ ვერ ნათქვამი ბევრი სიტყვებით,
 როცა აპრილი ჩამოწვება დედამიწაზე.
 ტყემლის ყვავილი გაზაფხულს რომ იმშობიარებს
 თავბრუს დაგახვევ.
 ყვავილების ქარს გამოვყები აურზაურში...
 ორლობებში ვინანნალებ უგზო-უკვალოდ.
 მთვარეს შემოვხსნი მოოქროვილ დახვეულ ძაფებს,
 მოვთოკავ ქარებს და
 ღრუბლის ეტლს, ცას ჭიხვინით შემოვატრებ.
 ვიცეკვებ გარეთ,
 წვიმის თქეშში
 ატმისფერ კაბით
 და ჩამოვიცლი მლაშე წვიმას ციდან მიწამდე.
 ვარსკვლავებს ვეტყვი გაანათოს სულის სარკმელი
 ტკივილს არ მისცეს უფლება, რომ გამითავისოს.
 და თუ ვერ გნახე ?

და თუ გნახე? თავბრუს დაგახვევ.

●
 ცოტაც და, ვიცი, ამოაპობს მიწას იები...
 ცოტაც და, მთაში გაისმება მყვირალობის ხმა...
 ცოტაც და, ვიცი, გადაჭიმავს ბილიკებს
 ზეცა...
 მე-დან, შენა-მდე.
 ცოტაც და მარტი ჭრელა-ჭრულას ჩამაცმევს კაბას.
 ცოტაც და წვიმას დავუხვდები უქოლგოთ გარეთ.
 ცოტაც და ფარჩა აბრემუმებს მომიქსოვს მდელო.
 და აზარფეშით იასამნის სურნელს მომართმევს.
 მე-დან, შენა-მდე, შემოკლდება სავალი გზები.
 ვიცი ცოდვებით დამძიმებულს მომხსნი ტომარას.
 ვიცი გვირილებს ნაზი კოცნით ჩამიქსოვ თმაში.
 ოლონდაც ცოტაც, ლელო-ჭრელო გამოჩნდეს მთაში.
 შევძლო მანძილის შემოკლება,
 გზის გამოკვლევა
 მე-დან, შენა-მდე.

●
 მარტივად მოსჩანს, მყოფადის არსის ფილოსოფია,
 დაცემის შემდეგ ყველა სწავლობს თავიდან გავლას...
 მყოფადს ჰერნია, დამცემს! მერე ფეხზე გავლას თავად
 მასწავლის...
 ჩა-მეცინება ...
 დედის მუცლიდან სირულით გავჩნდი წარსულში...
 მას შემდეგ დავალ, ვარ გაწაფული ნაბიჯებში და
 სიარული არავის არ უსწავლებია.

.....
 იყო წარსული...
 მტკივა შიგნით, ის რაც, დღემდე გამოვიარე.
 ტკივილები მაქვს ძველ სარდაფუშიც, ბებოს სკივრში
 გადამამლული.
 და ვარ მყოფადში
 იმ მარტივი ფილოსოფიით – ვეცემი, ვდგები და მაინც დავალ.
 ასე მგონია,
 რომ მომავლისთვის ღიმილი სავიზიტო ბარათად დამაქვს.



ცივსისხლიანი, მიწისფერი, შენ ის გველი ხარ,
 მწველ სხივებზე რომ გამოსრიალდი.
 შენ ის გველი ხარ! სამოთხეში რომ ისურვე ჩემი დაცემა...
 შენ შემაცდინე, სრიალ-შრიალით, მოქნილობით,
 სრიალა კანით, თავბრუდამხვევი ორკაპი ენით.
 შენ ხომ გეცეკვა ელი შორეთში, იმ იმედით რომ
 სამშობლოში დაბრუნდებოდა?
 თურმე გაბრუვდი, ქალის სურნელი ალკოჰოლის სურნელს ნაზად
 შეზავებოდა...
 უმტკივნეულოდ უკბინე ელის, უცხოობაში მოკალი ქალი.
 ახლა აქ წევხარ, მარად გაყინულ სხეულს უშვერ მზის მცხუნვარ
 სხივებს
 მაცდური თვალით – კიდევ ქალს ელი?
 მოდი, მეცეკვე!
 მოსული ვარ ინდოეთის ცხელი ქვიშიდან, სამკაულები
 ეუვანივით მაბია ყელზე...
 გარუჯული მაქვს მზეზე სხეული...
 ამოიკლაკნე ფეხის ტერფიდან, მე კოცნას ველი, ყურის ძირში...
 ნაზად, სათუთად,
 მე ველარ მიკბენ!
 მე აღვსდექი!
 ჩემი მუცელი გამრავლაბის კიდობნად იქცა და შობილები
 ზეცისაკენ სწრაფვით ჩნდებიან!
 შენ დაცემული, დასრიალებ, მიწას გართხმული
 და მზეზე ითბობ ცივსისხლიან გაყინულ სხეულს.
 მოდი, მეცეკვე,
 მკვდარი ელის სამახსოვროდ,
 გელის სხეული –
 რძე მომაქვს თასით
 კონიაკი აქვს გარეული!



ძესო ბვედელიძე

GOA მშვიდობისა!

(სახმელეთო ბენგისხიდი
ნეპალიდან გოამდე უვნებლად ჩაღწევის მსურველთათვის)

Intro

სამხრეთ ნეპალის ვაკეზე განფენილი, მოჯუნგლო-მდინარეებიანი მხარე ჩიტვანი, უხსოვარი დროიდან ნეპალის მეფეთა საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა. უსაშველო ჩამოცხუნებისას სწორედ აქ ემალებოდა სამეფო ოჯახი სეზონურ პაპანაქებას. გაერთიანებული ქვეყნის სულ ბოლო, მეთორმეტე მონარქმა, გიანენდრა შაჰმა, გადადგომამდე, ეს დიდებული რეზიდენცია დიდსულოვნად უსახსოვრა საპრეზიდენტო რესპუბლიკად უმტკივნეულოდ გარდასახულ სახელმწიფოს. ამ დროიდან მოყოლებული, აზიურფაუნიანი და ნალკოტოვანი ჩიტვანი უცხოელი ტურისტების შემოსევისა და სახელმწიფოსთვის დიდი ფულის იოლად საწერ ეგზოტიკურ ტერიტორიად იქცა. აქაურ დასახლებათა ქუჩებში ჯავშნოსანი მარტორქები ნებივრად დასეირნობენ და არავის ერჩია; მომცრო მოედნებზე არა გარდაცვლილი პიროვნებების, არამედ ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენელთა ფერადი ძეგლები (იგივე მარტორქა, ვეფხვი, ნიანგი, სპილო, სირქლეები და ა.შ.) დგას; უსიერ ტყები ფეხით ხეტიალს, სპილოებით სეირნობასა თუ ნიანგებიან მდინარეზე კანოებით სწრაფდაშვებას ხომ უამრავი თავგამოდებული მეტრიზე და მიმდევარი გააჩნია; ტარუს უძველესი და გადაშენებადი ტომის ყოველდღიური ფოლკლორული სალამოებიც გემრიელ, იუმორიან დესერტად ახლავს ჯუნგლისპირეთის მხიარულ ყოფაცხოვრებას.

ნეპალის ამ მხარეში ყველა ოჯახს სპილოს ერთი კომლი მაინც პყავს პირად საკუთრებაში, ანუ სპილო მიახლოებით ისეთივე შინაური ცხოველია აქ, როგორც ძალი ან ძროხა დანარჩენ მსოფლიოში. მდედრი სპილო თვინიერი და მშვიდია. მამრები, მათგან განსხვავებით, აგრესიულები და მოძრავები არიან. სწორედ ამის მიხედვითაა მათი ფუნქციები გადანაწილებული: მდედრი სპილო ტურისტებზეა მიმაგრებული, ოჯახის უფროსი კი, მის მესაჭეობას სწევს. ისინი ტურისტებს ჯუნგლებში დილიდან სალამომდე სპეციალურად გაკვალულ ბილიკებზე დაასეირნებენ და იქიდან შემოსული თანხით ოჯახს ფინანსურად აძლიერებენ. მესაჭე ამ დროს კისერზე აზის მდედრ სპილოს და მას სპეციალური ხის ჩუბიკით მართავს. ცხრა ნერ-

ტილი, რომელიც სპილოს ყიფლიბანდზე აქვს მონიშნული, მისი მართვის ერთგვარი პულტივითაა: აჭერს რა ჩუბიკის წვერს ყიფლიბანდის რომელიმე წერტილს მესაჭე, დინჯად მავალი ცხოველი ან ამუხრუჭებს, ან მარცხნივ მიდის, ან მარჯვნივ, ან სულაც ჯდება თუ ნაბიჯს უჩქარებს. გააჩნია, რომელ წერტილს უმიზნებს მესაჭე და რა დაუინგბით... მამრ სპილოს რაც შეეხება, ის შავ მუშადაა ოჯახში გაფორმებული და მას წაქეულ ხებს, დაჩეხილ შეშას და მძიმე ტვირთს ათრევინებენ. ის მიწის დიდი ფართობების ხვნაშიც განაფულია, სადაც შემდგომ ბრინჯი ითესება. მამრ სპილოს ტურისტებს არ აკარებენ, ვინაიდან ის სიცოცხლის ბოლომდე არ კარგავს პირველყოფილ სიველურეს და სეირნობისას, შესაძლოა, თავაშვებული განავარდების და ხტუნვა-კოტრიალის იშტაზე დადგეს ან სულაც, უბრალოდ, ვერ იგუოს მგზავრები საკუთარ ზურგზე, ავრესიულად ახუნტრუცდეს და საითკენმე უკანმოუხედავად გაიქცეს. სწორედ ამიტომაა მდედრ და მამრ სპილოთა ფუნქციები მკვეთრად გამიჯნული: ანუ მდედრი ტყისაა, მამრი კი – კარმიდამოსი... და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაკვირვება: თუკი ქათმები ერთმანეთთან ტელეპატიურად ურთიერთობენ, ძალები ერთმანეთს ცხვირებს ადებენ და კუდისქნევით ცვლიან ინფორმაციას, ხოლო დელფინების ენა ვიძრაციაა, სპილოები, აქაურთა თქმით, ერთმანეთს საკუთარი ფუნა-განავლით ელაპარაკებია. გზაზე დატოვებული მათი ფუნის წყვეტილი რიგი ერთგვარი მესიჯ-გზავნილებია, რომელთა საშუალებითაც მყარდება კომუნიკაცია სპილოებს შორის. სწორედ იმავე ფუნით ილესება ადგილობრივთა მიერ აქაურ ქოხთა კედლები შიგნიდან თუ გარედან. ასე შელესილი ოთახი ზაფხულობით ინახავს სიგრილეს და არ უშვებს სიცხეს გარედან შიგნით. ზამთრობით – პირიქითა: ქოხში დაგროვილი სიოთხ არაფრით იწრიტება გარეთ, და არც სიცივე აწუხებთ ამ დროს სახლის ბინადრებს. სპილოს ფუნა გამოიყენება ასევე სასუქად და საწვავ საშუალებად, ხოლო გადამუშავების მერე მას ადგილობრივი მანუფაქტურები ხორკლიან ქალალდადაც კი აქცევენ. შესაბამისად, უხვადა ჩიტვანში საკანცელარიო *elephant dung books*-მაღაზიები, სადაც სწორედ ზემოთნახსენები ფუნისგან დამზადებული წიგნები, რვეულები და ბლოკნოტები იყიდება.

სპილო იყო ჩემი და ალექსას ნეპალში ერთად ყოფნის კვანძიც და ზენიტიც, ამ ერთი თვის წინ, ტბისპირა ქალაქ პოქესარის მადლით ხვავრიელად დამუხტულებმა, ტყიურ ჩიტვანში რომ მოვინდომეთ ბარემ და ყველაფერთან ერთად გასეირნება.

სპილო გვლუბავდა, სპილომ გვიხსნა და სპილომ გვიბიძგა ნეპალიდან ინდოეთისკენ.



მესაჭე ჩვენს სპილოს სქელ კისერზე აზის. ზურგზე ცხოველს კვადრატული დაფა ამაგრია, რომელზედაც მე, ალექსა და ორი წვრილთვალება გოგო ვსხედვართ. ოთხი წყვილი ფეხი დაფაზე დამაგრებულ რიკულებს შორის სხვადასხვა მხარეს გვაქვს გაკონწიალებული. სპილო ტყისკენ მძიმედ მიიტლანება, ალექსა ფოტოაპარატს აჩხაკუნებს და

ყვირის, გოგონები უდარდელად კისკისებენ. ირგვლივ სხვამგზავრებიანი სპილოებიც დაიზღაზნებიან მძიმედ – ზოგი ტყის მიმართულებით მოძრაობს, ზოგიც – პირიქით. ტყე ფოთლოვანი, ლიანებიანი და უხვად დაბილიკებულია. მიწიდან მრავლად ამონვერილი ტერმიტების ცარიელი ბუდეები გაქვავებულ მინი-პირამიდებს ჰგვანან. მრავალწლოვანი ხეები – დიდრონი და პირქუშია. არც გაუვალი ბუჩქნარი აკლია იქაურობას. ალაგ ქურციკი გაკრთება ხოლმე ან ჯავშნოსანი მარტორქა-რინო ჩამოგინებს ფრუტუნით. ბეგემოტები მდორე წყალში გაყურსულან. ნაირფერი ფრინველები ერთხმად უივუივებენ ჯუნგლისპირულს.

– პულტი აქვს თავზე, ეკრანივით! – ჩემს გასაგონად, ქართულად ყიუინებს ალექსა. – სპილოს მართვის მოწმობები გვაქვს ასაღები, კაპიტონ!

გოგონებიდან ერთ-ერთი ტაივანელი ჩინელი აღმოჩნდა, მეორე – იაპონელი. ერთმანეთს არც იცნობდნენ, არადა მკვიდრი ბიძაშვილებივით ჰგავდნენ ერთმანეთს.

– ბი-სო! – დამარცვლა ჩემი სახელი გაცნობის შემდეგ ტაივანელმა.

– ბე-სო! – შევუსწორე მე.

იაპონელმა კალამ-ბლოკნოტი მოი-მარჯვა და სახელის დაწერა მთხოვა, რაც ჯერ ქართულად და მერე ლათი-ნური ასოებითაც ჩავუწერე.

– ჩინურად ბე-სო – ბასრ დანას ნიშნავს! – ამიხსნა ტაივანელმა.

– იაპონურად – კაცს, რომელიც სულ იცრემლება! – დამაფიქრა იაპონელმა.

ალექსა ამ დროს სპილოს მესაჭეს ყელისჯიჯგნით ემუდარებოდა, რომ ადგილი გაეცვალა მისთვის და ცოტა ხნით ეგრეთ წოდებულ საჭესთან მიეშვა. მესაჭე იცინოდა, არ ნებდებოდა და ჩუბიქს ხანგამოშვებით აჭერდა ბუმბერაზ ცხოველს ყიფლიბანდზე. ასე უდარდელად მივიზლაზნებოდით ტყიურ მიმოხვეულებში. მერე ალექსას პირველადი თუ მეორადი მოთხოვნილების, თუ ორივეს ერთდროულად დაკმაყოფილების დრო და მომენტი დაუდგა – შტურმანს სპილო რომელიღაც ტყიურ გზაჯვარედინზე შეაჩერებინა, უცებ ჩახტა და ბუჩქნარში გაჭირვებით გაძვრა-მიიმალა.

ვიდრე ალექსა დაბრუნდებოდა, გოგობი კიდევ უფრო დაწვრილებით და შინაარსიანად გამეცნენ. ტაივანელი ჩინელი – ტაიპეის ტანსაცმლის მაღაზიათა ქსელის მხატვარ-დიზაინერი აღმოჩნდა, იაპონელი – რომელიღაც ბანკის მენეჯერი ამომავალი მზის ქვეყანაში.

– მწერალი? – გაუკვირდათ ლამის ერთხმად გოგონებს. – და რაზე წერთ?

– სპილოებზეც, სხვა ყველაფერ-თან ერთად! – ასეთი პასუხით კმაყოფილებმა რიგრიგობით მომანერინეს ბლოკნოტში ხელი. მათი ნეპალში ყოფნის მიზეზს რომ ჩავეკითხე, ორივეს ერთი დასცდა:

– ყველაზე უფრო, ბუდას განსაცდე-

ლად!

– ეგ როგორ? – ვერაფერს მივხვდი მე.

– ბუდა – ეს სიტყვა, გამოფხიზებულს, გასხივოსნებულს ან შინაურულად რომ ვთქვათ, აზრზე მოსულს ნიშნავს! – დამიწყო ახსნა იაპონელმა.

– და ის ერთგვარი მეტაფიზიკური წოდებასავითაა. – ჩამოართვა იაპონელს სიტყვა ტაივანელმა.

გოგონები სულ პირველ ბუდაზე – ნეპალელ პრინც სიდჰარტა გაუტამაზე ალაპარაკდნენ, რომელმაც უხსოვარ დროს უარი თქვა მამა-მონარქის მემკვიდრეობაზე, ანუ აურაცხელ სიმდიდრესა და ძალაუფლებაზე და ჭაბუკობისას სასახლიდან წავიდა. მე მხოლოდ ეს და ამდენი ვიცოდი.

– არადა, მამამისი შუდჰოდანა, გაუტამას ცნობილი კლანის და მეფე-მეომრების კასტის უმდიდრესი წარმომადგენელი იყო. – ამიხსნა იაპონელმა.

– როგორც ყვებიან, ერთმა მოხეტილე წინასწარმეტყველმა მეფეს უთხრა, რომ მისი ვაჟი ითხ რამეს იხილავდა, რაც უფლისნულის ცხოვრებას სრულიად შეცვლიდა და ისიც მეფე გახდებოდა, ოღონდ არა ამ ქვეყნისა!

– სწორედ ამ წინასწარმეტყველების გამო იყო, მამამ ვაჟი გარესამყაროს-გან სრულ იზოლაციაში რომ მოაქცია.

– ისევ ჩამოართვა იაპონელს სიტყვა ტაივანელმა ჩინელმა. – ის ცდილობდა მის მემკვიდრეს არ ეხილა ცხოვრების სიმძიმე, არ დაენახა მათხოვრები, სწეულები, ხეიბრები და მოხუცები, არ განეცადა ადამიანის სიკვდილით მოგვრილი ტყივილი, ანუ უფლისნული სასახლიდან გაუსვლელად, სრულ ხელოვნურ ფუფუნებაში იზრდებოდა, თუმცა მან მალევე შეიგრძნო ამგვარი ყოფის სიმდაბლე.

ასე საინტერესოდ კენწლაობდნენ ტურისტი გოგონები ბუდაზე ჩემ გასა-გონად და სწორედ მათგან მოვისმინე და გავიგე:

რომ სიდჰარტამ მსახურთან ერთად სასახლის გალავანს მიღმა პირველად ოცდაცხრა წლისამ გააბიჯა; რომ გა-

რეთ მან ოთხი „სიახლე“ იხილა, რამაც მისი ცხოვრება საერთოდ შეცვალა; რომ მან ნახა სიბერე (დაუძლურებული მოხუცი), ავადმყოფობა (დასნეულებული ადამიანი), სიკვდილი (მკვდარი სხეული) და ბოლოს – სრული სიმშვიდე (მოხეტიალე, თავგადაპარსული ბერი); რომ უფლისწულმა მაღლევე სამუდამოდ დატოვა სახლი და შეუდგა „დიად გზას“ ხსნის საძებნელად; რომ ის თავიდან ინდუისტ ასკეტ ბერებს შეუერთდა იმ იმედით, რომ სხეულის დათრგუნვა სიმშვიდეს მოუტანდა და ტანჯვას დააძლევინებდა; რომ ექვსნლიანი უკიდურესად ასკეტური ცხოვრების შემდეგ ის მიხვდა, რომ თავის მიზანს ვერ უნია; რომ გაუტამამ „ოქროს შუალედის“, ანუ „შუა გზის“ პრინციპი ჩამოაყალიბა, უარი თქვა როგორც სრულ ასკეტიზმე, ასევე მიშვებულ ცხოვრებაზე და ლრმა მედიტირებას (თვალდახუჭული მოგზაურობა საკუთარ თავსა და სხეულში) მიეცა; რომ – სიდჰარტა გაუტამა, რომელიც უკვე 35 წლისა იყო, მდინარე საიას ნაპირას, ლელვის ხის ძირას დაჯდა და დადო აღთქმა, რომ ფეხს არ მოიცვლიდა, სანამ გასხივოსნებას არ მიაღწევდა; რომ ორმოცდამეცხრე დღეს მან ოთხი ჭეშმარიტება შეიცნო და ამის შემდეგ დაერქვა მას ბუდა, რაც „გასხივოსნებულს“, „გამოღვიძებულს“ ნიშნავს, ხოლო ხეს, რომლის ქვეშაც ის იჯდა, ენოდა ბოდჰი (სიბრძნის ხე); რომ ბუდას პირველი ზრახვა იყო ხალხისათვის გაეზიარებინა ეს ჭეშმარიტებანი, როგორც ტანჯვისგან დახსნის გზა, მაგრამ სიკვდილის ღმერთი, სახელად მარა, შეუჩნდა მას – ის ოთხი კვირის განმავლობაში ცდილობდა, რომ ბუდას ამ მისიაზე უარი ეთქვა; რომ, ამის მიუხედავად, ბუდამ დაძლია შიში, ცდუნება და თავისი მოძღვრების ქადაგებას შეუდგა; რომ ბუდამ პირველად ბენარესის (ვარანასის) მახლობლად, ცხოველთა ბალში იქადაგა და მისი პირველი მსმენელები ხუთი ადამიანი და ორი ირგმი იყვნენ; რომ ქადაგება ასე დაიწყო: „დაე გაცხადდეს ყველასათვის ბჭენი ხსნისა! ადამიანებო, განიხვენით ყურნი თქვენი და მისმინეთ მე:

გზა ხსნისა ნაპოვნია! მე გმოძლვრავთ თქვენ და, თუ ჩემი სწავლის თანახმად იცხოვრებთ, მიიღებთ აქვე იმას, რისი გულისთვისაც კეთილშობილი ჭაბუკები ტოვებენ სამშობლოს და მიდიან უცხო ქვეყნებში გასანათლებლად“; რომ ბუდა ლრმად მოხუცებული, ოთხმოცი თუ ოთხმოცდახუთი წლისა გარდაიცვალა; რომ გარდაცვალების მიზეზი გამხდარა სოკოს კერძი, რომლითაც ვიღაც ნალბანდი გაუმასპინძლა; რომ ბუდა სიკვდილის ნინ ლოტოსის პოზაში ჩაჯდა, ყველაზე ერთგული ბერების ნინაშე უკანასკნელად იქადაგა, მარჯვენა მხართები ნამონვა და ხელი თავქვეშ ამოიდო; რომ ამ დროს ის ლრმა მედიტაციაში (დიდ შინაგან მოგზაურობაში) შევიდა და პარი-ნირვანაში („ნირვანა“ მიიღწევა საკმარისი რაოდენობის რეინკარნაციების შემდეგ, როდესაც ადამიანი აღარ იძადება. ამ დროს მისი სული ერწყმის უდიდეს ნეტარებას, რომელსაც აღწევენ ადამიანურ მისწრაფებათაგან სრული გათავისუფლებით) გადაინაცვლა; რომ მისი გვამი დანწვეს და ფერფლი რვა მონაფემ გაინაწილა; რომ სიდჰარტა გაუტამა ბუდა კიდევ რამდენიმე სახელითა და ტიტულით მოიხსენიება: შაკიამუნი (შაკიების ბრძენი), ბოდჰისატვა (გასხივოსნებისკენ მსწრაფი), მაჰაპურუშა (დიადი ადამიანი), ჩაკრავარტინი (სამყაროს მეუფე), ტათჰაგატა (ჭეშმარიტების მფლობელი), ბჟაგავატი (ბატონი).

ამდენი რამის მოსმენის და გაგების მერელა დაგვიბრუნდა ალექსა ნეტარი სახით და სპილოზე ამოძრომამდე უზარმაზარი ცხოველის უკანა ფეხებთან დაიხედა.

– აუ, ამას ჩემზე კაი მადა ჰერნია, სესა!

– სად ხარ ამდენ ხანს, ალექს? ჩავარდი?

– აუ, ისე დავცარიელდი, ასე მგონია, სულ გავთავისუფლდი და გავსხივოსნდი, პაპი!

რა უნდა მეპასუხა...

ამის შემდეგ ისევ სპილომიანი დუნენიალი გაგრძელდა და ის კიდევ კაი

ხანს გასტანდა, რომ არა სადღაც სამოთხ წუთში ალექსას თავგანწირული ღრიალი:

- გააჩერე, დარიუშ!.. გააჩერე!!
- რა ხდება? - გავიხედე შფოთით სპილოს თავისკენ.
- უილეტი... ჩემი უილეტი, ლერი! - წრიალებდა ადგილზე ალექსა და მაშინდა შევამჩნიე, რომ უჟილეტოდ იყო.
- ტანში ცუდად გამცრა.
- რა უყავი?
- აუუუუუ!.. ხელი რო არ შეეშალა, ხეზე ჩამოვკიდე და დამავინყდა, ზასარ... თფუო!
- აუ, რა კრეტინი ხარ, ალექს! დროზე, ჩავხტით! გზა გახსოვს?
- სადღაც აქედან გადმოუხვია წელან... თუ აქ იყო?
- რა გედო?
- სუყველაფერი!
- რას ქვია - სუყველაფერი?
- სასტუმროში დატოვების შემეშინდა და ჩავიდე... პასპორტი, საბანკო ბარათები, ფული ქეშად...
- აუ, იცი შენ, რა მაგრად დაგვერხა, ალექს?

მძღოლმა სპილო მოატრილა და სხვა სპილოების მძღოლებს უცნაური, ხორხისმიერი ყვირილით უხმო. ის აზიელი გოგონებიც გვეხმარებოდნენ უილეტის მოძიებაში. ყველაფერი მაინც სულ ტყუილად - ვერანაირ ხეზე ჩამოკიდებულ უილეტს ჩვენ ვერ მივაგენით.

- მაღალზე დავკიდე თან, შანშე!
- იჭაჭებოდა ბრაზით ანითლებული ალექსა. - ხომ არ გაფრინდებოდა?!
- ინდოეთში უნდა მივწეროთ ჩვენს ელჩს!
- ელჩი რა ჭირად მინდა ჯუნგლებში?
- დროებითი საბუთები რომ გაგიმზადოს ნეპალიდან გასასვლელად და სამშობლოში დასაბრუნებლად!.. აუ, ალექს! ეს რა ქენი?! საერთოდ აურიე ყველაფერი!

- ძალით ხომ არ მინდოდა, დირკ!.. აი, ხერხემლის ტვინითაც კი ვგრძნობ, როგორ არ უნდათ ჩემი შორს გაშვება ვიღაცებს...

- ისევ ლინაზე ფიქრობ!!!
- სხვა ვისზე ვიფიქრო? ხომ ვიცი, ზის თბილისში, ჩემს ფოტოებს ათვალიერებს და სულ მე ვუტრიალებ თავში... იმიტომაც ხდება ასეთები ჩემ თავს! - გაიშვირა ხელი გაურკვეველი მიმართულებით, რაშიც აშკარად საქართველო იგულისხმებოდა.

- მიტოვებული და გამნარებული ქალის ფიქრს უდიდესი ძალა ჰქონია, ალექს! - ჩამოვადე მხარზე ხელი თანაგრძნობით. - მაგრამ ჩვენ რა გვეშველება ამით რო?..

საღამომდე, ისე, რომ თხოვნა არ დაგვჭირვებია, სრულიად ჩიტვანის სასპილოვეთი ჩაერთო ალექსას დაკარგული უილეტის მოძიებაში: ქალები, კაცები, დიდები, პატარები; ფარნებით, სანთებელებით, ჯოხებით, სასტვენებით... ხეირი და შედეგი - მაინც ვერაფერი.

შებინდებისას, ემოციურად ყოვლად გადამწვარი, გათანგული და გამოცარიელებული ვიდე ჯუნგლების სასტუმროს ფოიეში და ხასიათამძალებულს ფიქრის თავიც არ მქონდა. წყობიდან გამოსული ალექსა სასადილო ოთახში ნერვიულად ურახუნებდა ადგილობრივ წყალწყალა როქსის (ბრინჯის დაბალგრადუსიანი რახი) სასტუმროს ბუფეტის დახლიდართან ერთად და გულისგამანვრილებელი შორისდებულებით გმინავდა.

იმ ჩინელმა ტაივანელმა და იაპონელმა გოგონებმა რამდენჯერმე შემოგვირბინეს, თანაგრძნობით აღსავსე მზერა შეგვავლეს და: - შანტი-შანტი, ასე დაგვიბარეს, რაც აქაურად მშვიდად ყოფნას ნიშნავდა, მაგრამ ამით რას გვიშველიდნენ?.. ყველაფერი მაინც უკვე ყირაზე იდგა. წყევლასავით შარი, რომელიც ნეპალამდე გამოჰყვა ალექსას **(ამ შარის რაობით დაინტერესებულებმა შეგიძლიათ გადაფურცლოთ ჩემი სამოგზაურო გზამკვლევი სახელნოდებით *ნამასტე*, სადაც ყველაფერი დაწვრილმანებითაა მოთხოვილი)**, უკვე მეც გვარიანად მირევდა ტვინსა და გეგმებს და იმ ორი აზიელი გოგოს

თქმის არ იყოს – ხან ბასრად ალესილ დანას ვგავდი (ჩინურად) და თან თვალებიც ცრემლით მქონდა ადულებული (იაპონურად). რა დაგვრჩენოდა? – ისევ უკან ჩასაქართველოვება, სადაც ალექსა აუცილებლად კიდევ ერთხელ დაუბრუნდებოდა ძველ, ისტერიკულ, მოჯახედურ საოჯახო ორბიტას. აქეთ წამოსვლაზე ხომ კაი ხანს ველარ ვიფიქრებდით ან საერთოდ აღარ გამოვიდოდა ეგ ამბავი. იქამდე კი, ნიუ-დელიში მდებარე საქართველოს საელჩო უნდა აგვენრიალებინა ელექტრონული წერილებით, თხოვნებით, ახსნა-განმარტებით და ამ სავიზო ფორმალობების მოგვარებაში რამდენი დრო და ნერვი დაიხარჯებოდა, ამასაც ველარაფრით ვხვდებოდი...

სწორედ ამ უფერულ და უმნეო განსჯა-ვარაუდებში ვიყავი, სპილოსფერი შემოლამება რომ დაიწყო: ცას მკვახე კურკუმისფერი მიეცა, სადღაც შორს, ჯუნგლებში დედალმა ვეფხვმა გაიბრდლვინა და მიძინებულ ფრინველთა ჯარი ქოროდ ააშივუვა. საიდანლაც მოვარდნილმა, ერთ უსრულ ხმოვნად ქცეულმა ბერა ჟ-მ ყველა სხვა ხმა გადაფარა და ურუანტელივით დაივანა ჩემს სმენაში. ეს იყო და ღიმილიანი ხელისფშვნეტით მომეახლა სასტუმროს ტანწვრილი კარისკაცი და ქუჩისკენ მორიდებით მიმითითა.

– ბავშვები გყითხულობენ, მისტერ!
– ბავშვები? – გამიკვირდა ძალიან და ჟ-მაც მაშინვე იმატა ყურებში.

მან პასუხად თავი ნეპალურად, განივად გადაარწია, რაც მათი სხეულის ენაზე ყველაზე მეტად – *რატომაც არა*-ს ნიშნავდა.

ავდექი და, ზლაზვნით კი არა, აშკარად ჟლაჟვნით გავედევნე და სასტუმროს მთავარი კარიდან ქუჩაში გავაპიჯე.

იქ, კიბეებთან, ჩემოძენძილი, ასე 8-10 წლის ჭუჭყანი, ადგილობრივი ბიჭუჭყობა წრიალებდა და ურიამულობდა. ერთხმად და ხელისქნევით მომესალმნენ. მეც ხელისახევით დავუბრუნე სალამი, თან ერთიანად გადა-

ვავლე თვალი უპოვართა ამ ჯგროს და ეს ზეალმართული ხელი უცებ ადგილზე გამიხევდა – ერთ-ერთ შავტუხა ბიჭუნას სასაცილოდ შემოენასკვა ტანზე ალექსას უილეტი. *ბუდა მშვიდობის!* – გამიელვა ფიქრად მაშინვე, ჟ-ბერაც უცებ ჩამიცხრა და გახარებული გავექანე მისკენ, მაგრამ ბიჭუნამ ნაბიჯით უკან დაიხია და ხელისგულის ჩვენებით შემაყოვნა:

- პატრონი შენ ხარ?
- არა... მეგობარი...
- პატრონი სადაა?
- ალექს!!! – გავძახე მე სასტუმროს.
- აუ! – მომესმა ალექსას კვნესისმი-ერი პასუხი.
- დოროზე!.. შენი უილეტი, ალექს!

ალექსა სასტუმროდან თავპირის-მტვრევით გამოვარდა და იქ უილხი-ვილიანი ხვევნა-კოცნა ატყდა – ყოვლად ენით აღუნერელი. თვალაბრიალებულმა ალექსამ სასწრაფოდ მოჩხრიკა უილეტის ჯიბები და ყველაფერი ადგილზე და ხელუხლებლივ რომ დახვდა: საბუთები, საბანკო ბარათები, ფულიც – მერელა დაეწყო სიხარულის ცრემ-ლისდენა იმავ თვალებიდან.

– როგორ იპოვეთ? – ვერაფრით წყნარდებოდა ალექსა.

- ანიტა (დედალ სპილოს გულის-ხმობდა, რომელზეც ტყეში ვისხედით) ჩემი შივას (ამჯერად მამალი სპილო იგულისხმა) შეყვარებულია! შივა ანიტას დატოვებული ფუნის ნაკვალევს გაპყვა-გაპყვა-გაპყვა და ასე მივაგენით!.. – მარტივად ახსნა ბიჭუნამ.

ალექსამ ნაპოვნი საფულიდან მაშინვე ოთხი ასდოლარიანი ამოაძვრინა და ბიჭუნას საჩუქრად მიაწოდა, მაგრამ ბიჭუნამ აქ კიდევ ერთხელ გაიმკაცრა ხმა:

– ჩვენ მაგიტომ არ დაგვიპრუნებია, მისტერ!..

- ეს შენ ჩემგან საჩუქრად, პატარა ბუდავ!

- დაკარგული პატრონს უნდა დაუბრუნდეს! – ბიჭმა ალექსას კუპიურებიან ხელზე ხელი უდიერად აუკრა და სხვა ჩამოხეულებთან ერთად მხიარუ-

ლად გაქუსლა ჩიტვანის სალამოს სპი-ლოსფერ ბინდპუნდში.

— შეყვარებულის ექსკრემენტებზე აფორიზმია სასწრაფოდ მოსაფიქრებელი, ალექს! — გადავხედე მე ადგილზე ფულით ხელში გაშეშებულ ალექსას, რომელსაც დაბრუნებული ჟილეტი მჭიდროდ მოესხა მხრებზე და ყველა ამქვეყნიური განსაცდელისგან თავ-დაღნეულ და გამარჯვებულ პერსონაჟს ჰეგვდა.

— შენ რაც მითხარი, იმაზე ვფიქ-რობდი მთელი დღე, სოლომონ! — მითხრა მერე, ღამებნელში.

— რაზე?

— მიტოვებული და გამწარებული ქა-ლის ფიქრის ძალაზე...

— და რა?

— სულ ერთ სცენას ვიტრიალებდი მთელი დღე თავში.

— რომელს?

— იმას კი არა, რომ ვითომ ვიღაც პოულობს ჟილეტს და მიბრუნებს...

— აბა?

— მე კიდევ უფრო შორს წავედი, ზე-ლიმხან!

— ნუ შემალონე!

— ვითომ, მე და შენ, ნეპალ-ინდოე-თის საზღვარს ვკვეთო და პასპორტში ბეჭედს მირტყამს ვიღაც ინდუსი მე-საზღვრე...

— დიდი ამბავი! მერე რა?

— და მე ამ დროს ჩემი ეს ჟილეტი მაცვია, ოსვალდ!.. გესმის შენ — ეს რა ჯადო-კომბინაცია?

— ... ვახ!

— იმდენჯერ დავატრიალე გონებაში კინოკადრივით ეს ფანტაზია, რომ თა-ვისით მოვიდა ჟილეტი, გოდერძ!

— ესე იგი, გამოდის — ინდოეთისკე-ნაც გაგვიწევია?

— ანუ, გოა მშვიდობის, ბესარ!

იმავ შუალამით მე, ალექსა და ის ორი აზიელი ბუდა-გოგო ტარუს ტომის ფოლკლორულ სალამოს დავესწარით საურახაში და არათუ დავესწარით, გა-ფეხშიშვლებულმა ალექსამ ცელქი და დარდიმანდი სირაქლემას როლიც კი შეასრულა ადგილობრივი კლუბის სცე-

ნაზე ქართული საცეკვაო ილეთების გამოყენებით. ყველაფრით და ყოველ-მხრივ გატიალებულებს ასე გვეგონა, რომ თვალებიდან სპილოსგემოიანი სი-სარულის ცრემლი გვუონავდა და ჩვენი ასეთი ცხოვრება მსოფლიოში ყველაზე მშვენიერი იყო.

ალექსას ჟილეტს რაც შეეხება, ის უკვე მე მქონდა ჩაბარებული — კონ-ცერტის დასასრულს დარბაზში მაყუ-რებლად მჯდომს და ტკბილად ჩაძინე-ბულს თბილად მეხურა ზემოდან.



ჩიტვან-კატმანდუს ლოკალურ ავ-ტობუსში წინდის და ოფლის მჩატე სუ-ნი ერთდროულად დგას. აქეთ-იქიდან ნაციონალურ სამოსში გამოხვეული ნეპალელები გვიმშვენებენ ფერდებს. ყველა მხრიდან ცხოველ-ფრინველის გნიასი და ვიღაცათა გუნდური სიმღე-რა ისმის. ჟილეტიან ალექსას ვიღაცის თხოვნით, ქათმის კვერცხებით სავსე უზარმაზარი კალათი უდევს მუხლებ-ზე. მას აქეთ-იქიდან მკაცრი სახის ასა-კოვანი ნეპალელი ქალები უსხედან. ორივე მოხუცს შუბლზე წითელი ტი-კა ასვია. ტიკა მესამე თვალის გახსნის ტოლფასი ნიშნულია აქ და ავი თუ ცუ-დი თვალისგან დაცვაცაა, ამის პარა-ლელურად. ალექსა ჩემკენ სახით ზის, ოღონდ სადღაც სამი რიგის მიღმა. მე მთელი ავტობუსის შინაარსი ხელის-გულზე მიდევს. ავტობუსის უკანა ნა-წილში შემოფარგლული ტერიტორიაა — იქ ორი ნეპალელი პოლიციელი სცემს ბოლთას. ისინი ექვს ბორკილდადე-ბულ, ვულგარული გარეგნობის ნეპა-ლელ გოგონას აცილებენ კატმანდუმ-დე — ალბათ, ზედმეტად თავისუფალი ქცევისა და კიდევ უფრო თავისუფალი ცხოვრების გამო.

— რადიო ჩართე რა, ეფენდი!!! — უყ-ვირის მძღოლს განამებული ალექსა.

მძღოლი შუშის მიღმაა და არაფერი ესმის.

— ტვინი მეღრძო ამათი ტიტი-კაკა სიმღერით, პანტე! — უკვე ჩემკენ ყვი-რის ალექსა.

— აყევი შენც!

მე მძღოლს შუშაზე ვუკაუნებ. ის აუდელვებლად და დაუდევრად ატრიალებს თავს და ამდენხალხიან ავტობუსს კინალამ თხრილში აგდებს — წყიპზე ასწრებს და ახერხებს მის წივილიან დამუხრუჭებას.

— როგორ დაგყავს მანქანა, შე პატრონგაციებულო!!! — კივის ალექსა და კვერცხებიან კალათს ძლივს იმაგრებს მუხლებზე.

ავტობუსში სრული ქაოსია. მანქანა გარდი-გარდმო ირყევა და მაინც მაქსი-მალური სისწრაფით მიქრის მიმოხვეულებში. ყველა და ყველაფერი ერთმანეთში ინთხლევა. სალონის ბოლოში პატიმარი გოგონები გულისგამანვრილებლად კისკისებენ, არადა, თითქოს ყველაზე ნაკლებად უნდა ჰქონდეთ სასაცილოდ საქმე. პოლიციელები ერთმანეთში ნეპალურად ატარტალებენ ენას და ისინიც იცინიან. მათ წინ მომდერალთა მხიარული გუნდია. უფრო წინ ქათმები, თხები, კალათები, ბოხჩებია. იქვე — ისევ ნაირფერტანსაცმლიანი ადამიანები განრთხმულან ჭრელაჭრულებში. მათ შორის ალექსაა ჩაჭედილი თავისი კვერცხებით. ალექსა წინ მჯდომი ქალი, რომელიც სახით ასე სამოცდაათი წლისას ჰგავს, უცებუბიდან ათქვირულ ძუძუს იღებს და მუხლებზე მჯდომ აჩხავლებულ ბავშვს პირში უდებს. ამის შემხედავრე ალექსა უხერხულად იშმუშნება.

— ბებოც ეგეთი უნდა, ქსავიერ! — ყვირის მერე ჩემი მისამართით და თვალით ბავშვიან ქალზე მიმანიშნებს.

— დედაა ეგ, შე უვიცო! — ვუყვირი აქედან.

ალექსა უკვე მოწინებით უყურებს ქალს.

— ჰე, ახლა! დედის ძუძუ მეორე, სიყვარული პირველი! — ეუბნება მერე დათაფლული ხმით ქართულად. ქალსაც თითქოს ესმის ალექსასი — იმ ძუძუს უბეში იბრუნებს და იქიდან უკვე მეორეს და იმავენაირს იღებს. ამჯერად იმას უდებს ბავშვს პირში და წელრწევასთან ერთად ისიც ნეპალურადაც

იწყებს რაღაც იქაურ იავნანისებურს.

— სამი, სერგო! — მიყვირის ცოტა ხანში ალექსა მხიარულად.

— რა სამი?! — ვერ ვხვდები მე.

— სამი ნომერი აქვს! თაღლითი ვიყო, მარკოზ!

— რა იცი?

— ხელისგულში არ ჩამეტევა! თვალით უკვე გავზომე, ძუკუ!



ინდოეთის სახმელეთო ვიზა ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში ოთხ დღეში კეთდება და 49 დოლარი ღირს. „სახმელეთოში“ ის იგულისხმება, რომ ინდოეთში ასეთ ვიზიანი პასპორტით ხელში სახმელეთო საზღვრით, ანუ აუცილებლად ფეხით უნდა შეაბიჯო და თვითმფრინავი, ვერტმფრენი, პარაპლანი და სხვა საფრენი საშუალება ამ დროს არაფერში გამოგადგება. კატმანდუს ცენტრალურ ტურისტულ უბანთან, ტამელთან ახლოს, მიახლოებით თხუთმეტი წუთის ფეხსავალშია ინდოეთის საელჩი (იქვეა ბრიტანეთის, საფრანგეთის, ესპანეთის და სხვა ქვეყნების საელჩოები და საერთოდაც, ეგვიპტის ქუჩა, მსგავსი დიპლომატიური მიმართულების დაწესებულებებითა გადახერგილი), სადაც გაიცემა კიდეც ზემოთნახსენები — ინდოეთის *სახმელეთო* ვიზა.

უთენია დილით საელჩომდე მხნედ მიღწეულებს გვერდითა კანტორიდან უმაღ გამოგვეგება სხმარტალა, ჭრელნინსაფრიანი ნეპალელი ჭაბუკი, რომელმაც სხარტად მოგვთვევზა და თავის ოფისში შეგვიპატიუა. იქ ორი ანკეტა ფიცხლად შეგვავსებინა, უფრო სწორად, თავადვე შეგვივსო ჩვენივ კარნაბით და ფოტოს გადასაღებად გაგვამზადა.

— ეს ტაილანდურ მასაჟსაც გვიზამს ფეხისგულებით, ბრიუს! — თვალი მიყო ალექსამ.

— მომოს არ მოგვიხვევს რო დაბალი გავისქნევითა?

თავისი ფოტო ალექსას არ მოსწონს და ხელმეორედ აღებინებს.

— რას ვგავარ, შერლოკ?! ძებნა ხომ არაა ჩემზე გამოცხადებული?

— მერე გაიღიმე, შე ყანა, რო ზიხარ მანდ დანი ტრეხოს მამიდაშვილივით!

ალექსა ტრანსგენდერი სელაპივით იღიმება და მეორე ფოტოც არ ვარგა.

— რა ღომილია ეს? სატრფო ხომ არ მომიკვდა შიდსით, ლუხუმ?!

— ალარ გყავს სატრფო, ალექს!.. მორჩა ეგ ეროვნული მაზოხიზმი! დროზე! იკეტება საელჩო!

მესამე ცდაზე ფოტო ამართლებს და ფოტოგრაფი ალექსასაგან არათუ ლოყაზე ჩქმეტას, საჩუქრად ზედმეტ ას რუპიასაც იღებს. ანკეტებსა და ფოტოებს უკვე საელჩოს კარიბჭის სარკმელში ვიღაც ჯოხიან სამხედროს ვაბარებთ და დილაადრიანად მოსვლას ვპირდებით.

— ხვალე მი ქამ ჰია, ძამიგო! — უბარებს სამხედროს ალექსა ქუსლის ქუსლზე მირტყმით და ტამელ-უბნამდე მხოლოდ ერთადერთი წინადადება სცდება: — ჯეკ ნიკოლსონის და მარლონ ბრანდოს ნაჯვარის ვგავდი იმ ფოტოზე!.. მე ეგრევე მომცემენ ვიზას, სოსო!

ვინც უნდა იყო, თუ ეს სტანდარტული პროცედურა, ჩვენი არ იყოს, გავლილი გაქვს, მეორე დილით ისევ აუცილებლად უნდა მიაკითხო იქაურობას. ამჯერად ინდოეთის საელჩოს ეზოში ამოყოფ თავს, რომელიც ათასი ჯურისა და გაგების მოხეტიალე ტურისტით დაგხვდება გადავსებული. სპეციალური აპარატიდან იოლად მოიხევ რიგის ბილეთს და დაელოდები სასაუბრო სარკმელთან გამოძახებას. ბოლოს და ბოლოს, შენი დროც მოვა და შეშის სარკმლის წინ აღმოჩნდები. იქიდან ვინმე ყურიდან ყურამდე გაღიმებული ულვაშა ინდუსი გამოგართმევს პასპორტს, ალმაცერად ჩახედავს და რამდენიმე მარტივ შეკითხვას დაგისვამს:

„რა მიზნით მიდიხართ ინდოეთში?“

„სამუშაოდ დარჩენას ხომ არ აპირებთ?“

შენი დამაჯერებელი პასუხების შემდეგ იმედისმომცემი ფრაზაა:

„ზეგ მობრძანდით და დაბრუნეთ თქვენი პასპორტი!“ — თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვიზაზე თანხმობა უკვე მოცემულია.

მესამე დღეს კვლავ კატმანდუს ტამელზე გალევ; როგორ ფერად ურიამულმიც გალევ — ეგ თავად უფრო უკეთ იცი.

ტამელზე კი რა ხდება ამ დროს?

უბნის შეუა გზაჯვარედინზე, ზემოთ, სახურავზე ლეგენდარული რეგეი-კაფეა, სადაც ადგილობრივი რო-ჯგუფები არათუ მხოლოდ საკუთარ რეპერტუარს სთავაზობენ დამსწრე პუბლიკას, მსოფლიოში ცნობილი როკ-ჰიტების მწვავე — აზიური, უნიკალური არანუირებითაც ინონებენ თავს. ალექსამ იქაურად შესრულებული დორსების „ელეი ვუმენ“, როლინგების „სეტისფერებენ“, ბიტლზების „ქომ თუგეზერ“, ნირვანას „რეიფ მი“ და მეტალიკას „ენთერ სენდმენ“ რომ მოისმინა პირველად, შებლზე სიმწრით ფართედ გადაიტყლაშუნა ხელისგული.

— ამხელა რა მკბენარი დაგაჯდა, ალექს?

— კბენა კი არა, ახლა ვხვდები, სად არიან ჩვენი მუსიკოსები, ქუცნა...

— სად აბა? — ვერ მივხვდი მე.

— ჩვენკენ, ამ ცნობილ სიმღერებს რომ უკრავენ, უშეცდომო კოპირებას ცდილობენ... ეგრე დაკრული უენერგიი, გადაღეჭილი ქაღალდივითაა, ფურთხია, ანორგაზმია!.. ასე კიდევ, ნახე — რამხელა თავისუფლება, იმპროვიზაცია, უკომპლექსობა და ნიჭიერება მოდის სცენიდან!..

ქვემოთ, მანდალას ქუჩის სიახლოვეში, არანაკლებ ლეგენდარული და უნიკალური „ფარფლ-ჰეიზ-კლუბია“, სადაც თავის დროზე დიდი შამანი მუსიკოსი, ჯიმი ჰენდრიქსი უკრავდა ხოლმე. ის იმ მარადიულ 27-იანთა კლუბის წევრია, სადაც მხოლოდ ის ხალხი შედის და მოიაზრება, ვინც ამ საკრალურ ასაკში დაასრულა სიცოცხლე (ბრაიან ჯონსი, ჯენის ჯოპლინი, ჯიმ მორისონი, კურტ კობეინი, ემი ვაინშაუსი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვები) —

ყველამ, რა თქმა უნდა, თავისებურად უთხრა ნახვამდის მათთვის მიუღებელ წუთისოფელს და მის წესებს. უმრავ-ლესობისგან განსხვავებით, ჯიმიმ ისიც მოასწრო, რომ ნეპალს ეწვია, კატმან-დუს სცენაზეც ჯადოქრულად დადგა და ერთ-ერთ ალპინისტურ ექსპედიციასაც გაჰყვა მწვერვალ ჯომსომისკენ, როგორც რიგითი წევრი. მწვერვალი-დან დაბრუნებისას მან ერთი მომცრო ქვაბულის კედელზე 7000-იან ჯომსომს ნახშირით დაუტოვა წარწერა-დანაბარები, რომელიც დღემდე ლაქითაა დაფარული (რომ არ ჩამოიფშვნას) და შემდეგნაირად ითარგმნება:

„თუ ვეღარ გნახე ამ ცხოვრებაში ისევ, გნახავ შემდეგში აუცილებლად – და თან სულ მალე!“

მე და ალექსას სწორედ ჯიმის სახელობის კლუბში დაგვათენდა და სახემობიჟვინებულებს გაგვახსენდა, რომ მეოთხე დღე – ეს ინდოეთის ვიზიანი ან უვიზო პასპორტების დაბრუნების დღე იყო.

●

ინდოეთის საელჩოს კარიბჭიდან გამოსულები ერთმანეთს ბედნიერი სახე-ებით ვეხუტებით და რაღაც შალახოს-მაგვარსაც ვასრულებთ ადგილზე. ბოლომდე გალალებას მაინც არ გვაცლიან – სიგნალები გვაშორიშორებს და ქუჩის სხვადასხვა მხარეს ვყოფთ თავს. ჩვენ შორის მოპედ-მოტოციკლთა და რიქშების ხმაურიანი წიაღვარია.

– რა არ უნდა დაგვავიწყდეს, ხომ კარგად გახსოვს, ალექს?! – ვუყვირი აქედან.

– ბალახი! პლასტელინი! ლისტები! წვეთები! სოკო! ნასკები! – თვლის ალექსა ყვირილითა და თითების კეცვით.

– ნასკი რა პოლიტიკა? – ინდოეთში გველი იცისო, გურგენ-ჩიკ!

– ვინ თქვა ეგ? – მახსოვს, „მაუგლიში“ ეწერა ბავშვობაში!

– მერე გველს ნასკში დაემალები?

– იმდენი ხანი მეცმება, სანამ კარგად არ გამოვახმობ! ამის მერე რომელი გველი მოვა ჩემზე, ჯემალ?

– ბარემ რეზინის ბოტები ვიყიდოთ! ტოკიც არ დაგვარტყამს...

გზაჯვარედინზე ისევ ვიკვეთებით და პასპორტებს ვშლით. ინდოეთის ვიზა ცისფრად შემოგვხასხასებს.

– ახლა კი ახალი თემა, ვალდას!

– გამოუშვი აპა!

– საიდან გადის მატარებელი ინდოეთისკენ?

– რაის მატარებელი?

– ჩუქუ-ჩუქუ... მატარებელი არ იცი რა არი, ამხელა კაცმა?!

– ვახ, ეს ვინაა?!

– რას ვახვახიშვილობ აქ, ნოე?

– რა უნდა ნეპალში მატარებელს?.. ვინ ხარ შენ, არაფერი რომ არ იცი და ვერ იმახსოვრებ?! არაა ამ ქვეყანაში რეინიგზა და მატარებელი! არც მეტრო არაა!.. ხომ მოგიყენი ადრე ყველაფერი?!

– არ არსებობს, ზეზვა!.. ეტყობა, ძან ჩაქინდრული ვიყავი! მოიცა, ლი-ანდაგები მოიპარეს და თურქეთში გაზიდეს?

– არცა ჰერნიათ... არ აგებენ!.. მთებს არ ეხებიან... ეშინიათ!

– ვისი, ე?

– მთების რისხვის, წყევლის, ჯანდაბის და ეგეთების!

ალექსა წამით ფიქრებში მიდის. მერე ვიღაც ნაცნობ რიქშას ხელის აწევით ესალმება.

– მაშ ფეხით წავჩანჩალდეთ, ჯასტინ? – კითხულობს მერე ხმაში შეპარული იოლი სევდით.

– სხვა ვარიანტებიცაა!

უახლოეს ტურისტულ სააგენტოში მისულებს შემდეგ მარშრუტს გვიხაზვენ დამხვდურები: ნეპალ-ინდოეთის უახლოეს საზღვრამდე მივემგზავრებით კატმანდუდან ლოკალური ავტობუსით. შემდეგ, იქიდან, კერძო მანქანით ჩავალთ გორაქებურამდე. იქ ღამის მატარებელს შევახტებით, რომელიც ჩაგვიყვანს ინდოეთის ყველაზე მისტიკურ და სახელგანთქმულ ქალაქ ვა-

რანასიში. ვარანასიში მთელი დღე თავისუფალი გვექნება. იქაურ ვაგზლის სალაროში ავილებთ ბილეთს მუმბაის მიმართულებით – გზას სამი დღე დასტანდება. მუმბაიში ორი დღე გავჩერდებით. იქვე ვიყიდით მუმბაი-გოას მატარებლის ბილეთს. ორ დღეში კი, გოას შტატში შესვლისას, მატარებლიდან ჩამოვტებით პირველივე დაბა სიკიმში. იქ ჩვენივე ბარგი-ბარხანით უკვე უნდა მოვასხდეთ მოტაქსავე მოტო-ტუკ-ტუკს, რომელიც მშვიდობიანად ჩაგვარიზებს ზღვისპირა ანჯუნამდე.



ნეპალსა და ინდოეთს ერთმანეთის-გან პარიზის ტრიუმფალური თაღის კარიკატურა ჰყოფს დაბა სონაულიში. ამ თაღის გავლით გადი-გამოდის ერთი ქვეყნიდან მეორეში ადამიანი, ხარძოხა, თხა, ძალლი, ქათამი, რწყილჭიანჭველა, უთვალავი ვირუსი თუ მილიარდი ბაცილა. თაღის ქვეშ მდგომი მესაზღვრები გაღიმებული გვითითებენ გვერდით მდგარი საკანცელარიი მაგიდისკენ და ზედ შემოდებულ ჩანთებს თავადვე გვიხსნიან. მზიანი ნეპალურ-ინდური შუადღე ზერელე ჩხრეკვით ინყება.

– აბა, რა გვაქვს ჩანთებში? – ზედაპირულად აფათურებს ალექსას ფერად ნეპალურ ჩანთაში ხელს ულვაშა მესაზღვრე.

– ტროტილი და მოხარშული ნეპალური იეტი, ბაბა! – ღლიცინებს ალექსა და პასუხით კმაყოფილი მესაზღვრე თავადვე უხურავს ჩანთას.

პასპორტებს მათკენვე ვიშვერთ.

– ეგ იქით! პატარა ჯიხური რომ ჩანს! აგერ ეს ანახეთ! – მესაზღვრები ჩხრეკის დასტურის ბეჭედდასმულ ფურცელს გვატანენ თან.

უკვე ინდოეთში ვართ. ცალი ფეხით ყოფნაც უკვე აღარ ჰქვია ამას. სავიზო-ბეჭდიანი მესაზღვრე ჩვენს ინდოეთში ყოფნას სულ მაღლ იურიდიულად გააფორმებს. აქ სულ სხვა ფერები ჭარბობს. თითქოს არაფერი – ასიოდე მეტ-

რი გამოვიარეთ, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ ეს გარემოც ისეთივე უცხო, სხვა და ასალია, როგორიც თავის დროზე ნეპალი იყო ჩვენთვის, თუმცა ერთი კია – ეს გაცილებით რბილი ჩანს, უფრო ნათელ ფერებში და პორიზონტის გარეშე გადაწყვეტილი.

მითითებული სავიზო-სასაზღვრო ჯიხური ბოქლომზე დაკეტილი გვხვდება. იქვე უდარდელად მობირუავე ადგილობრივებს ვეკითხებით:

– სადაა უფროსი?

– სადილის დროა!.. – იშვერს ხელს ქუჩაში ჩარიგებული კაფეებისკენ ინდუსი ბიჭუნა.

ქუჩის ორივე მხარეს იაფი კაფეებია.

– დაველოდოთ, ტომ?..

– სხვა რა ვქნათ? – კითხვაზე კითხვით ვპასუხობ მე და ძირს დაგდებულ ჩანთაზე ჩამოჯდომას ვაპირებ.

– მოდი, გავიაროთ რა, ვოლფი!..

მე მგრძნობიარე შინაგანი სენსორები მაქს! დისტანციაზე ვგრძნობ მტერს და მოკეთეს!.. იქნებ ჩემი მეთოდით ვიპოვოთ! – თავისებურად მაგულიანებს ალექსა. – თან გადავიმოწმებ თავს! პატარა ექსპერიმენტი, ვახტანგ!

– რაის სენსორები?

– უხილავი სენსორები!.. ხომ იცი, რა იმპულსური ვარ!..

– გიუი-გადარეული ხარ ერთი! და საკუთარ თავზე შეყვარებული ნარცისი!

– ეგრევე ვხვდები ვინ ვინაა, ლიოვა!

– ცალი ყურით მისმენს ალექსა.

– მერე, ახლა აქ ეგრე აპირებ მესაზღვრის პოვნას? – მეცინება ქუთუთოებჩამომძიმებულს.

– ვცადოთ, ბადრი! ჩვენგან რა მიდის?

ალექსას სენსორული ტექნიკა ეგეთია: სადღაც, ოთხ ბეჭელ ინდურ კაფეში შესულები, იქ მსხდომების დასანახად, პასპორტებს მხნედ ვიფრიალებთ თავსზემოთ, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. დამხვდურები ერთს გულ-გრილად გვავლებენ ციმციმა ინდურ მზერას და მაშინვე თავის ულუფა კერძში რგავენ ცხვირს.

— კარბურატორი გიჭედავს აშკარად!
— დავცინი მე ალექსას. — არ იჭერს
არაფერს?

— მოიცა! მომშივდა ამასობაში, გორ-
დონ! დალბატი ხომ არ მიგვერთვა?

— აქ სხვა რამე უნდა ერქვას მაგას! უკვე ინდოეთში ვართ, ალექს!

— მაშინ, აგერ შევიდეთ, სოტერო! შუქი მაინც ანთია!

უცებ, თავს რაღაც დახურულ, მრგვალჭერიან კაფეში ვყოფთ, რომე-
ლიც შავ-შავი ხალხითაა სავსე. მაგიდე-
ბი მწრივად დგას წრეზე.

— ეს უკვე მართლა აღარ გავს ნე-
პალს, სულეიმან! მოგვიწევს ამათი ნა-
ციონალური ხრიკების ათვისებაც!

ყველანი ჩვენებინან. უცებ ვხვდებით, რომ ეს რაღაც ადგილობრი-
ვი, საერთო სასადილოა. მის შუაგულ
ცენტრში ნაირ-ნაირი ინდური კერძე-
ბით გადავსებული შვედური მაგიდა
იზნიქება. იქამდე, სალაროში ფულს
ვიხდით. სალაროდან ორ პატარა ფურ-
ცლის ნაგლეჯს გვაწვდის ყავისფრად
მოლაპლაპე, ბეჭდებიანი ხელი. არც
ერთი საჭმლის სახელი არ გვეცნობა და
ვერც ვრისკავთ — შესაბამისად, კერძი
კვლავ ნაცნობი და მრავალგზის აპრო-
ბირებული დალბატია.

— ყველაზე სიაფანტი საჭმლი
მსოფლიოში, გია! — ამბობს ალექსა და
პირველი ლუკმას თვალდახუჭული სინ-
ჯავს.

მთავარი სიმულიანტი ამ კერძის შე-
მადგენლობაში ისევ ბრინჯია, რომელიც
ძნელად ნელდება და ორგანიზმსაც მა-
რადი დანაყრებულობის შეგრძნება კაი
ხანს არ ტოვებს. ალპინისტებს ზუს-
ტად ასეთი მოხარშული ბრინჯის გუნ-
დები მიაქვთ ჰიმალაების მთებში გზად.
ის წონით მსუბუქია და მთის საუკეთე-
სო, ეკონომიურ საგზლადაა აღიარე-
ბული. აქაური სასადილოს დალბატზე
წვნიანია მოსხმული — რა თქმა უნდა,
ცხარეზე ცხარე, რომელიც, მყავესგან
განსხვავებით, ნეპალსა და ინდოეთში
ლამის ყველა საჭმელში იგულისხმება.

წახემსების მერეც ვიარეთ კაფეებს
შორის პასპორტების ფრიალითა და „ვი-

ზას“ წივილით. მაინც ვერაფერი. მერე
უცებ ალექსას სახეზე მავნე ღიმილმა
გადაურბინა, შედგა, ჩანთიდან თავისი
ლეგენდარული უილეტი ამოაძვრინა და
შეთქმულის ღიმილით შემოიცვა.

— აბა, მოდი, ასე მოვსინჯოთ, იაკობ!

ეს იყო და, უახლოეს კაფეში შესუ-
ლებს, იქ სამხედრო ფორმაში გამოწ-
ყობილი, ულვაშა და მსუქანი ინდუსი
დაგხხვდა. ინდურ დალბატს შიშველი
ხელებით მიირთმევდა და თან შიგადა-
შიგ თითებს ილოკავდა. ჩვენს დანახ-
ვაზე, თითქოს მაშინვე გვიცნო, ვინც
ვიყავით — ხელისქნევით მიგვიპატიუა
თავისთან და ჩვენც ფიცხლად მივეახ-
ლეთ. მან ჯერ ჩხრეკვის ოქმი გამოგ-
ვართვა და შეათვალიერა. რაღაც ფურ-
ცლებზე ხელი მოგვაწერინა, მერე ჩვე-
ნი პასპორტები გადაშალა და კაი ხანს
უყურა ჩვენს ფოტოებს. შემდეგ ჩარ-
ტყმულ ცისფერ ვიზებს გახედა შუქზე
და ჩვენც რიგორიგობით შეგვავლო ძა-
ლით ეჭვიანი თვალი. მერე გულისჯი-
ბიდან ამოღებულ ბეჭდებს დააორთქლა
დალბატიანი ობშივარი და ის ჯერ ერ-
თის პასპორტს სდრუზა და მერე იქვე,
მეორეც არ დაინდო.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანე-
ბა მრავალეროვან და მრავალფეროვან
ინდოეთში! — აგვილო იქვე სამხედრო
ყაიდაზე „ჩესტი“ და ჭამა განარგძო.

საზღვარი ოფიციალურად გადაკვე-
თილია. ჩვენ უკვე აშკარად ინდოეთში
ვართ.

— ასე მგონია, კინოში მოვხვდით! ეს
რა ფოუსი გააძრე, ალექს?

— ჟილეტზე მეკითხები, მელორ?

— მგონი, ძალიან მაგარ რამეს მიაგე-
ნი... ეგ ლოგარითმი უნდა დავიმახსოვ-
რო! სურვილების მატერიალიზება სხვა
კი არაფერია!

— იქამდე ფული გვაქს გადასაცვლე-
ლი! აბა, სადაა სავალუტე, დესმონდ?

— აგერ... ვედრო რუპიად! — ვიშვერ
ხელს ჩარიგებული ჯიხურებისკენ, ხო-
ლო მეორე ხელს დანანებით ვიქნევ. —
არ გჯერა და არ გინდა გაიგო არაფერი
აქაური წესების...

ნეპალურ რუპიას ნეპალ-ინდოეთის

საზღვრისპირა ზოლში ვეღარ მოიხმარ ადამიანი და უმჯობესია ინდურზე გადაცვალო. ამ დროისთვის 70 ინდური რუპია 1 დოლარია, მაშინ როცა 115 ნეპალური რუპია უდრის იმდენივე დოლარს. ჩვენც ინდური რუპიებით ვივსებთ ჯიბეებს. აქ სხვანაირი ცხოვრება თუხთუხებს. ენაც სხვა გვესმის. ხალხი, მიმოხრა და მიმიკაც ნეპალისგან აშკარად განსხვავებული და უცხოა.

— ახლა რა გეგმები გვაქვს, რაშიდ?

— ცალყბად მეკითხება ალექსა.

— მანქანა დაგვჭირდება!.. უახლოეს ქალაქამდე, სადაც რკინიგზაა, მანქანა მიგიყვანთო — ტურისტულმა... ტაქსი ანუ!

— ჰეი, ტაქსო! — უყვირის ალექსა მანქანას და ისიც ჩვენს ფეხებთან მორჩილად ამუხრუჭებს.

— გორაკბურ, ძამიგო! — შეჰყვირის ალექსა ლია ფანჯარაში. ვაჭრობა იმით სრულდება, რომ საპარკულში ვალაგებთ ზურგჩანთებს და მანქანის უკანა სკამზე ვკალათდებით.

მძღოლი იღბლიანი აღმოჩნდა. უცებ გაძვრა-გამოძვრა ხალხის მორევში ყვირილით და რამდენიმე წუთში ვიღაც გულზე ბინოკლჩამოკიდებულ ინდუს ბიძასთან ერთად დაბრუნდა.

— ეს ბინოკლი რაღათ უნდა, მორდეხაი? — გადმომხედა ალექსამ შფოთით.

— ალბათ, დაკარგული ტურისტების სამძებროში მუშაობს!

ასე შევსებულ მანქანაში მძღოლმა ინდური ელექტრონული მუსიკა ჩართო, მთელი ძალით მიაჭირა გაზის პედალს ფეხი და უჰორიზონტო სიმწვანეში შეგვასრიალა.

ალექსა ინდუს ბინოკლს ენათხოვრა და ფანჯრიდან კაი ხანს გაჰყურებდა ბინოკლით ინდოეთის სიმწვანეებს.

— მაგარს ანახებს! — დაუბრუნა ცოტა ხანში დაფიქრებულმა ალექსამ ბინოკლი ინდუსს. — აქ სულ სხვა ფერების ზღვაში მოვხვდით, შივა!.. რათ გინდა ბინოკლი?

— ცოლისთვის მიმაქვს საჩუქრად...

— ვისთვის? — მომესმა, მეგონა.

— ცოლს ვუყიდე...

— იმას რაღად უნდა ბინოკლი, ვალიკო?

— ასტროლოგია.

— ვახ... მერე?

— მერე უფრო ახლოდან დაათვალიერებს ხოლმე ღამით ცას.

— ბარემ ტელესკოპი გეყიდა, შალომ!

— ეგ ცოტა მერე... ჩემს ბიზნესს რომ ამოვქაჩავ!

— და შენ რაღას საქმიანობ?

— მე მედიუმი ვარ.

— ვინა ხართ? — ვერ მივხვდი უცებ მე.

— მკურნალი-მედიუმი. სხვების სხეულებში შემიძლია მათივე ნებართვით შესვლა და იქ რამე თუ დამხვდა აუწყობელი, ანუ აშლილი გიტარასავით მოშლილი, ვასწორებ... ვაწყობ!

— სხვების სხეულებში შესვლა რას ნიშნავს? — დაიძაბასავით ალექსა.

— ასე უცებ როგორ აგიხსნათ, აბა?.. მე წლები დამჭირდა ამის სასწავლად. წარმოსახვა მუშაობს მაგ დროს ყველაზე უფრო, თან იმდენად ძლიერად, რომ, როგორც ის — ზუსტად იმავეს შეგრძნებას და ხედვას იწყებ — მის სხეულში რეალურად ხარ შესახლებული. მისივე თვალებით ხედავ. მის მაგივრად ხარ, ანუ...

— და ის სადაა ამ დროს? — დავინ-ტერესდი მე.

— განზეა, მენდობა და მელოდება.

— მიპასუხა გაღიმებულმა ინდუსმა და გზას გახედა.

— რას არ გაიგებ კაცი აქ, ცვატა!.. — გამომხედა ალექსამ და ინდუს მიუბრუნდა. — შენა და, ბოლოს ვის აუწყევ აშლილი გიტარა?

— ოოო!

— ჩვენც რომ დაგვათვალიერო არ გინდა?.. ოლონდ ახლობლურად! უფასოდ... — სთავაზობს ალექსა.

— მოიცა რა, ალექს! — შფოთით ვამუჯლუგუნებ მეგობარს, მაგრამ ის უკვე საერთოდ აღარ მისმენს.



ნატალი დარასელია

●

ორლობე. წკავი.
მწიფე და შავი.
მსხალი და ვაშლი.
მწვანე სოფელი.
მეზობლის სახლის კარებთან დადგა
ლურჯკაბიანი, უკბილო ბავშვი
და ხედავს თავის თანატოლ ბავშვებს
საჭმლით აქვთ სავსე პირი და თეთვე.
ბავშვს ტანზე აცვია ლურჯ-თეთრი კაბა,
რომელიც მისთვის გამიზნული სულაც არ იყო.
გოგონა მხოლოდ იმას იღებს, რაც სხვამ გარიყა
თავის მხრებიდან, მუხლებიდან, თავის ტანიდან.
ბავშვი აიტანს:
ერთკვირიან შიმშილს, მაშინაც კი
როცა ბიცოლას ამპლუაში ჩასმული
ქალი თავის გოგონებს მაგიდასთან დასხამს და აჭმევს
და სხვის ბავშვს ეტყვის:
ნადი!
თითქოს, მოუქნევს სხვის უკბილო შვილს ნაჯახს, წალდით
გაუჭრის ეჭვებს, იმის სურვილს, რომ ღმერთის სწამდეს.
ბავშვი კი კართად დგას და იცდის, სანამ ის სხვები
შეექცევიან მსუყე სადილს
და მაინც გულში იმარხავს ფრაზას:
– სახლში ნადი!
– ნადი და ნადი!
უჭირავს ხელში ნაჯახი და მობლაგვო წალდი.
ბავშვი აიტანს:
რა აცვია, ან რა უშნოა!
ვერც ბავშვობის შნო უსწავლია და ვერც დიდობის
და უძლებს მისი ლურჯი კაბის ქვეშ

ციცქა გული

სამყაროს – ყველა ღარიბისთვის გულქვა დედობილს

და ფიქრობს, ნეტავ, ასე რატომ დააუშნოვა

განგებამ, რომ წინ ორი კბილი აღარ ამოსდის,

რომ მის თოჯინას მიაკერეს ნაჭრის ფეხები,

რადგან მდინარემ უფეხებო მოიტანა და

ფიჩებში, როგორც არტახებში გამოხვეული

ნაპირისაკენ გამოუშვა, რომ მას ეპოვნა,

მორიგვერ, როცა ფქვილდაცლილი ტომრით ჩაუყვა

მდინარის ნაპირს, ქილების და შეშის საზიდად.

ბავშვი უმწეო, მაგრამ ფიქრით უკვე ტანადი.

მიჰყვება დედას, როგორც კვიცი,

მაგრამ იცის, რომ

უნდა შეუდგას მოხუც მშობელს მხარი ყავარჯინად.

უყუროს სხვათა შვილებს შორიდან,

რომლებიც ბამბის ნაყინებით ილუკმებიან.

როცა ფეხსაცმელს სძვრება ლანჩი, კაბა იხევა,

უყურებს, როგორ თამაშობენ წყალში იხვები...

ზის ეზოს შუა, ფეხმორთხმული და კვლავ მდუმარე

მზერა გაურბის ვარდისფერი ტელეფონისკენ და

სამბორბლან ველოსიპედს ტელეკინეზით

ატარებს გზაზე, ორლობებში, ეზოს კუთხეში,

მისი ხელები დაკოურილი, ცოტა უხეში

დედის უბისთვის წამალია. დედის

გულისთვის,

ვისაც პირველი შვილი მოწყდა, როგორც უფრთებო

მტრედი – ზრუნვაა, თითქოს, თავად ლმერთი უვლიდეს...

და მაინც, ბავშვი ამ ცხოვრებას ისე უფრთხება,

რომ შეიძლება, გერიაო, იფიქროს ვინმერ.

ბავშვი კი ათას სატკივარს და გასაჭირს ივნებს

და ისე უნდა გადავიდეს დიდობის სხივზე,

რომ საკუთარ თავს გადაუსეას რბილ თმაზე ხელი.

მისდევდეს ხიდზე დედის აჩრდილს, რომელიც უსწრებს,

რომელსაც ერთი სული აქვს, რომ შვილის საფლავთან

დააწყოს კალთაგამოვლილი პირველი ხილი,

მინას, რომელიც მისი შვილის

ძვლებსდა ინახავს

გადაატაროს ღრუბელივით ფაფუკი ხელი,

რომელმაც უნდა გაიაროს მატლებისა და ჭიების, მიწის

ათასგვარი წინალობები და იმ ძვლებამდე ჩააღწიოს.

უყურებს შვილი, როგორ კრავს დედა ძველ ფეხსაცმელს

მავთულით და თან

ილიმის. მისი ღიმილი კი წვიმების შემდეგ

ცაზე გამოსულ ცისარტყელის იმედს ახსენებს,

ბავშვური ნატვრა გადაურბენს დაღლილ სახეზე

და წამით სირცხვილს იგრძნობს კიდეც, რადგან ბავშვია,

რომელსაც წლებმა ჩამოაჭრა თეთრი არშია
და დაამშია.

ისმენს:

- შენ წადი!
- შენ შინ ჭამე!
- იტირე შენ შინ!
- არც სილამაზე, არც სიცოცხლე არ არის შენში!

იზრდება ბავშვი – ცარიელი მურაბის ქილა,
იზრდება ჩუმად, ულიმდამოდ, თავისთვის, ფრთხილად.

და ყველა სიტყვა, ყველა მზერა, ნაჯახი, წალდი,
დამძიმებული, ქვიშისაგან, კონსერვი, ჯართში
ჩასაბარებლად და უფეხო თოვინისათვის
ჭინჭებისაგან შეკერილი ფერადი ფეხი
იქცევა ქვებად, ქვის სვეტებად,
რომლებიც ტანში ჩამოდგებიან მონსტრებივით და გამოჭამენ....

და წლების მერე, ბავშვი, რომელიც გაიზარდა, დახუჭავს
თვალებს

და დაინახავს საკუთარ თავს ლურჯ-თეთრი კაბით,
თითქოს, ეს იყოს სამუდამო სიმშვიდის აბი,
თავზე სიფრთხილით გადაუსმევს ხელს და აკოცებს
შუბლზე, რომელზეც დაჯერეს, რომ ასეთ შუბლში
უნდა ხვდებოდეს ტყვიებივით მძიმე სიტყვები
და სხვები იდგნენ მის წინაშე წალდით და შუბით.
წამოაყენებს ფეხებმორთხმულს, კაბას დაფერთხავს,
ტუჩებს გაუწევს საღიმილედ და წააქეზებს:
რომ ამის მერე ვერც ცხოვრებამ და ველარც ერთმა
სულიერმაც კი თავის გზაზე ვერ შეაფერხოს.
მერე კი ქრება ლურჯი ბავშვი, როგორც ფანტია
ლრუბელი ცაზე, თითქოს, ცხადი კი არ ყოფილა
იყო შელოცვა სააღდგომო, საფანტაზიო

წასვლა

1

ერთი შეხედვით მარტივია ყველასგან წასვლა,
მაგრამ თუ წასვლას მეორედაც ფართოდ გახელილ
თვალებს მოავლებ,

მიხვდები, სულაც არ ყოფილა წასვლა მარტივი.

და იმის შიშით, წასვლის მერე არავინ შეთხას კომიქსები და
ლეგენდები, შენ ხარ მოვალე
დალეჭო ყველა სიტყვა წასვლის განსამარტავად,
თქვა, რომ ვერ ატევ მოშუშებულ ძვლებს ვერც ოთახში, სახლში,
საწოლში, ტრანსპორტსა და სიმარტოვეში.

2

შენს სივიწროვეს ჭის ფორმა აქვს. აგვისტოს თვეში
რომ იცის შრობა და გვიმრების მკერდზე დაფენა,
რომელშიც თოკზე გამობმული კიბით ჩადიან
და ალუმინის ვედროვებით ამოხაპავენ.
გადააცლიან მძიმე ლოდებს. შლამში თითებით
გამოძებნიან წერტილს, სადაც უნდა გაცოცხლდეს
ჭა, რომ წყურვილი დაამოს.

ეზოს დაფნები

შემუსრავენ და ასე ხდება ყოველ საღამოს.
ასე ნანახს და დასწავლულ გზას გასაცოცხლებლად,

რომელიც სულაც არ შეშვენის, ქალმა აკეთოს,
თავადაც ცდი და შენს ჭაშიაც უშვებ თითებით
თოკებს – უცეცხლო, არასამიშ ფერად რაკეტებს,
წელზე გამობმულ ალუმინის სათლებს ჩაიტან,
მაშინ, როდესაც ორთქლი კოცნის დედის ჩაიდანს.
ცდილობ, სათლები ამოავსო ათასი ჭინჭით,
პოულობ წარსულს გატეხილი თეფშის და ჭიქის
ფორმით
და ღრმად ჩადგმული სახელები – საფლავის ქვები:

წარწერით:

რ.რ, დ.თ, 7. 14. 20.,

რომელთაც მკვდარი ბაგებით მეათედ კოცნი,
რომელთაც შენი არსებობა აღარც კი ახსოვთ.
სახლები. გზები. იმედების მბჟუტავი წვეთი,
რომელიც, ცდილობს ვულკანივით გადმოგეფრქვის,
ამ წამს შენ ჰერცოგიან ახალგაზრდა ვნებიან ვერთერს
და ამ მსგავსებას ვერ გართმევენ. ვერც წაგართმევენ,
რადგან ეს არის შენი წასვლის წინწასამძლვანი.

სანთლები. მიწით დაფარულ მკერდზე

გადმოქცეული ღვინოსავით
არის ცხოვრება,

რომელიც მხოლოდ შენს ხსოვნაში თრთის და გიტოკავს,
რომელმაც სხვა სსნა და სხვა შვება არ დაგიტოვა,

გარდა დაბმული სიმარტოვის გარეთ გაშვების.

რადგან საშოდან გადმოგცვიდა მკვდარი ბავშვები,

რადგან მოგემტვრა ძუძუსთავი გამოძერნილი,

რადგან გამსკდარა შენს ეზოში მკვახე ბერწული,

დროა წასვლის და დამშვიდების.

3

ერთი შეხედვით, მარტივია ყველასგან წასვლა,

რომელიც მყისვე გართულდება ორჯერ შეხედვით.

რადგან სიკვდილის ღრმა ჭაობში ერთხელ შეხვედი,

ბოლოში უნდა გახვიდე და არ მოტრიალდე.

ვდგები.

მარჯვენა მკერდს ისე ვალებ, როგორც უსაქონლო
ბოსლის კარებს

(მარიამობას დედაჩემის საყვარელი ძროხა მოგვიკვდა).

ვგავარ იმ ქალებს, მამლის ყივილს ადგომას რომ
ასწრებენ ხოლმე.

ჭიშკრიდან გამხმარ ფუნებს იღებენ, ქათმებს უღებენ
კარებს და სიმინდს უყრიან,

საუზმეს ამზადებენ.

ქუსლმოჩვარულ რეზინის კალოშებში აქვთ ფეხები ჩაყოფილი
და თივის, ნაკელისა და ბელლის სუნი რომ აუდით.

ჩემი სოფელი სხვაგვარია:

როცა ვიღვიძებ, როცა მარჯვენა მკერდს ისე ვალებ, თითქოს,
ბოსელში შესასვლელი კარები იყოს და ფეხშიშველი

შევაბიჯებ ჩემს ბნელ ყოფაში:
საბუდარიდან, როგორც კვერცხებს, ოცნებებს ვიღებ,

გამომაქვს გარეთ, ვტეხ და ხელისგულზე ვიბრაწავ, რომ
შიმშილი მაინც მოვიკლა.

ვცვლი თვალებიდან, როგორც ძროხის ძველი ჯამიდან
წყალს, ცრემლს, თვალებში ჩაგუბებულს, დახავსულს,
სუნიანს.

როგორც ფინახარში ჩარჩენილ თივას, ვაგროვებ შიშებს,
ტკივილებს, უიმედობასა და სასოწარკვეთილებას და

ბოსლის ნინ ცეცხლს ვუკიდებ.
კვლავ ვუპრუნდები სიფხიზლეს, გამოვდივარ მარჯვენა

მკერდის კარიდან, მტკიცედ ვხურავ,
ცხელ შხაპს ვიღებ, სუნამოს ვიპკურებ და გავდივარ
სახლიდან:

ლამაზი და ძლიერი ქალი, რომელსაც ასდის ლავანდისა
და ღილილოს სურნელი.

როგორ იწყება წერილი თუ მას მკვდრისთვის წერენ?
საფლავის ქვებში ვეძებ ხვრელებს – საფოსტო ყუთებს,
მტრედთა ნისკარტებს, ბოთლებსა და ყვითელ მოპედებს,
რომ ვინმეს შენთან ეს წერილი გამოვატანო –
თითქოს, ამომაქვს შენს საფლავზე მწიფე ატამი –
რადგან, მჯერა, რომ ეს სამყარო ფერმკრთალი წრეა და
იქ სრულდება ყოველივე, სადაც მოვედი.

ყველა წერილი ასე იწყებს ადრესატებთან

საუბარს:

ვწერ მე ამ დეპეშას ამას და ამას,
მაგრამ თუ წერილს საიქიო ფოსტაში გზავნი,

თუ ნერწყვის ნაცვლად ცხარე ცრემლით ასველებ გზავნილს,
როგორ იწყება საუბარი? რომელი ტონით?

ქალბატონოთი, ძვირფასოთი ან კი ბატონი ესა და ეს გნერს
ამგვარ წერილს, რომელსაც დაჰკურავს
ელფერი ისე მშობლიური და ოჯახური,
რომ უნდა გითხრა, რომ, ვიტალი, მე შენი და ვარ
და წლების მერე შენს თეთრ სხეულს დავეჯახები
და, ალბათ, გიცნობ.

თუ შეიძლება, რომ და მერქვას, თხუთმეტი წლის და
ორი თვის მერე დაბადებულს, მაგრამ რადგანაც
სისხლი სისხლია, გაყინულიც, გაწყალებულიც
და რადგან შენი გული და დედის გული,
ერთია თითქმის,
მე და ვარ და შენ ძმა.

ძმაო, ვიტალი!

მე კარგად ვარ ან უფრო სწორად
რომ გითხრა, ვსწავლობ „კარგად ვარის“ პირველ შინაარს,
უეჭველსა და გაუცვეთელს,
მაგრამ ამ წერილს, რომელსაც, ალბათ, მოგიტანენ
ჩემი თითქმი,

ქვიშის ბალიშში შეჩურთავენ, გაგეცლებიან,
ვიცი, რომ მიცნობ (უნდა მიცნო) და მიმიხვდები, რომ ეს
წლებია

შემცირდა ჩემი სტუმრობები, მაგრამ გიამბობ:
იმ დღეს სკოლასთან ჩავიარე, სადაც სწავლობდი,
სადაც გარდაცვლილს დაგერეკა ბოლო ზარი და
სადაც დატოვე დედაჩვენი, მაგრამ რომელიც
გამოიპარა კედლებიდან, ვინრო კარიდან და აღარასდროს
გაუხედავს ჩეგნი სკოლისკენ.

ჩავიარე და გავიხედე: სკოლის უკანა
ეზოში, სადაც კაკლის ხეებს, სტადიონს, ნაძვებს
მიღმა შენ წევსარ, თითქოს, ჩრდილმა გადაირბინა
და ხმა დატოვა – საყვედური და დაძახილი.
თითქოს, მიცანი და მეძახდი, შენთან მიხმობდი:
მეც, რაც შემეძლო, მთელი ძალით გამოვიქცი,
გავცდი სანაცვე ჭას და ხეებს ტრიფულიატის
(გზაზე შემომხვდა შავი ძალი, ჩეგნის მაგვარი)
მას მერე მინდა, რომ მოგიყვე ჩემი ამბავი და გკითხო,
იმ დღეს შენი ქვიშის საწოლთან რომ
ცხელ ქვიშას ფეხისგული შევახე,
მიგრძენი? მიცან?

შენი დააო, თუკი გამცნო გამხმარმა მიწამ?

მე მოვედი და გესაუბრე, მაგრამ რადგანაც
არ ვიცი მიწა, თბოგამტარად ან ხმაგამტარად
თუ გამოდგება, რადგან ვხედავ საფლავებს შორის

არც მტრედებია, არც ბოთლები, არც მოპედები
 და ფოსტის ჩია ბაბუებიც რადგან არ დგანან,
 გწერ და ამ წერილს, დედის თავშლის კუდით გახვეულს
 შენს ქვიშიან გულს ყვავილივით გამოვუნასკვავ,
 სადაც ვდებ დაძმურ სიყვარულს და უფრო უხილავ
 თხოვნას, რომ იყოს ეს თხოვნაც კი უკანასკნელი
 შვება და ძალა დატანჯული დედაჩვენისთვის,
 რომელსაც მხოლოდ ბავშვი ახსოვხარ და უკვე გაზრდილს
 და დაკაცებულს ვერც კი გიცნობს,
 ვისაც წლებია სიზმრებს უხურავ, როგორც წიგნებს –
 ვერწაკითხულებს,
 გთხოვ, დაესიზმრე!
 გთხოვ, ეჩვენე!
 რომ მისი გული, რომელიც მისიც აღარ არის და ხელოვნური
 სარქვლებით ფეთქავს, თუმცა მაინც, იმ პირვანდელი
 შვილის სიკვდილის ტკივილით თრთის,
 გთხოვ, დაესიზმრე!
 გთხოვ, ეჩვენე!
 გამოესარჩდე!
 უთხარი, რომ თავს გაუფრთხილდეს და ჩვენთან დარჩეს!

როგორ სრულდება წერილი თუ მიწაში გზავნი?
 წერს ესა და ეს, ამისათვის, ამას და ამას,
 გაითხულობს ყველა:
 მეზობელი, მასწავლებელი,
 ამხანაგი და მოტეხილი დედა და მამა,
 ძმები და ერთი უმცროსი და, რომელიც შენ გგავს და გთხოვს,
 რომ დედას დაესიზმრო! დაკაცებული ეჩვენო, თითი დაუქნიო
 და ისე უთხრა:
 – დედა, დედიკო, თავს გაუფრთხილდი!

ნინო დარბაისელი სტრონი



„სამართლო ვარ დაბადებული“

(ტიციან ტაბიძის ერთი გახალხურებული ლექსის გამო)

ტიციან ტაბიძის ლექსებს შორის ყველაზე პოპულარული, აღბათ, „ლექსი მეწყერია“,

უფრო ზუსტად, სტრიქონები – „ლექსის მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, /რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“. ამ ძვირფასმა სტრიქონებმა, ჩემი ფიქრით, არცთუ კარგი სამსახური გაუწია თანამედროვე ქართველი მკითხველის ან პოტენციური მკითხველის და, შესაბამისად, მათზე ორიენტირებული ავტორის გემოვნებას.

დისტანცირების გარეშე ეს სურათი ნაკლებად ან სრულიად არ ჩანს, მაგრამ საკმარისაა, ოდნავ გაუუცხოვდე ქართულ პოეზიას (ასევე სიმღერას), უცხო ყურით მოისმინო იგი და აუცილებლად შეგეემნება შთაბეჭდილება, რომ მთლიანობაში იგი, ერთ გაბმულ, ტრაგიკულ ხმას გამოსცემს. აკაიისეული სიმსუბუქე, ნათლის სხივი, შიგ უკვე ნაკლებად ატანს. თითქოს ქართველ ხელოვანს ვიღაცამ ზემოდან და კიდევ იმის ზემოდან აუკრძალა, იყოს ხალისიანი, იყოს ბედნიერი, გაქროლება უნდოდეს – აფრის ტკაცუნივით, მაგრამ მწარე რეალობას იყოს მიჯაჭვული. ამ მხრივ გამონაკლისებისადმი ცალკე წერილები მაქვს ბეჭდურად გამოქვეყ-

ნებული და აქ აღარ გავიმეორებ, ლოგიკური ხაზიდან რომ არ გადავუსვიო და კონტექსტი ისე არ გავაფართოვო, რომ საკვლევ მასალაზე ფოკუსირება გამიჭირდეს. ამ საკითხზე საუბარს აქ ვწყვეტ, მომავლის იმედით, ახლა კი...

ჩემი ფიქრით, არსებობს ტიციან ტაბიძის კიდევ უფრო ცნობილი სტრიქონები, იმდენად ცნობილი, რომ არასპეციალისტ მკითხველთა დიდი ნაწილი ხალხურადაც კი მიიჩნევს, რადგან ხალხური სიმღერა „ჩაკრულოშია“ ჩართული:



სამჯერ ვარ დაბადებული,
მონათლულიც ვარ სამჯერა;
ერთხელ სიკვდილი რას მიზანს,
ერთხელ სიკვდილის არ მჯერა.
შეხედეთ ოქროს მზეთამზეს,
მთები რომ მთებზე ეყარა;
ყოველდღე ამას ხედავდეს,
რა მოკლავს ასეთ ქვეყანას.
მოვა სიკვდილი, შეხედავს
და შერცხვენილი გაიარს,
როცა ცა სისხლით შეღებავს
თურაშაულის განთიადს.

„ჩაკრულოს“ უძველესად ცნობილ

ჩანაწერში, რომელიც ადრესაბჭოურ პერიოდს მიეკუთვნება, ამ ლექსს ვერ შეხვდებით. იმ დროს იქ კიდევც რომ ყოფილიყო, ტიციანის გადასახლების მერე მაინც არავინ დატოვებდა, არადა, რა ორგანულად ზის!

ისტორია კი ასეთი იყო:

ხალხური სიმღერების ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი, ანზორ ერქომაიშვილი არ იყო დიდად კმაყოფილი „ჩაკრულოს“ იმ გურჯაანული ვერსიით, რომელიც არსებობდა. მიაჩნდა, რომ არც სხვა ვერსიები იყო უფრო სრულყოფილი. წყვეტილიაო, – ბრძანებდა. – რაღაც გადაბმა სჭირდებაო და...

ხომ გახსოვთ „ჩაკრულოს“ დასაწყისი:

ხიდისთავს შევკრათ პირობა,
ჩვენ გავჭდეთ ლვიძლი ძმანია,
ჩავუხტეთ მუხრან ბატონსა,
თავს დავანგრიოთ ბანია.

მოკლედ, „ჩაკრულოს“ ტექსტი ხალხური შაირის რვამარცვლედია (5/3), ტიციანის ლექსისა არ იყოს და მეგობარი მთარგმნელ-პოეტების (როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ზეპირსიტყვიერად – ვახუშტი კოტეტიშვილის) რჩევით, ანზორ ერქომაიშვილმა ჩასვა ხალხურ ტექსტში, ლექსის შექმნიდან დაახლოებით ნახევარი საუკუნის მერე (1926), გასული საუკუნის სამოცდაათიანებში.

ჩვენში საავტორო უფლებებს ვინ დაგიდევდათ ადრე ან ახლა. ბოლო დროს ისწავლეს სხვებმაც ეს ვერსია „ჩაკრულოსი“. გავრცელდა და გავრცელდა... გზად ტიციანის ლექსიც „გახალხურდა“. ვიდრე მკითხველს დაებადებოდეს კითხვა – „ჩაკრულოს“ ის ვერსია, ილია ზაქაძემ რომ შეასრულა, კოსმოსში რომ გაუშვეს ორმოცზე მეტი წლის წინ, ტიციანის ამ ლექსს თუ შეიცავსო, თავად ვუპასუხებ, რომ – სამწუხაროდ, არა!

რატომ?

ჩვენთვის საინტერესო სტროფის ჩამატების ამბავი – უფრო გვიანდელია და, როგორც აღვნიშნე, იგი ანზორ

ერქომაიშვილის სახელს უკავშირდება. არადა, წარმოიდგინეთ, უურნალისტური კალმის რა მარჯვე მონასმი გამოვიდოდა, ვიტყოდით, რომ ჩვენ არ ვიცით, სადაა ტიციან ტაბიძის ხორციელი საფლავი, მისი პოეტური სული კი ამ ლექსით უკიდეგანო, კოსმოსურ სივრცეებს შეერთოო.

გვეყო ფანტაზიორობა, საქმეს მიუბრუნდეთ:

რაღაც ორიოდ წელიწადში ტიციანის ეს ლექსი ასი წლისა ხდება. არ არის მოცულობით დიდი, პირველივე სიტყვებიდან დიდ საფიქრალს კი აღძრავს. თუ დავუკვირდებით: სამჯერ დაბადება, კი ბატონო, – ერთხელ ბიოლოგიურად, მეორედ – პოეტად და მესამედ, მაგალითად – მამად, წიგნის ავტორად, ყველაფრად, რაც კი გაუხარდება ადამიანს და მნიშვნელოვან გარდატეხას შეიტანს მის ცხოვრებაში, მაგრამ მონათვლა სამჯერ? თუ მოვინდომებთ, აქაც მოვძებნით სავარაუდო ახსნის მხოლოდ დასაწყისის (!):

ტიციანის მამა – იუსტინიანე – მღვდელი იყო და, ცხადია, იმ დროს მოუნათლავს არ დატოვებდა საკუთარ შვილს. მეორე ნათლობად პოეტობა რომ ჩავუთვალოთ, გიორგი ლეონიძისავით ვაჟას ნათლული რომ იყოს, როგორც პოეტი, ეგეც შეიძლებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ულიმდამი, ტრივიალური რაღაც არ გამოგვივიდოდა? ხომ ყველა პოეტს შეუძლია თქვას – ლექსი პირველად რომ გამოვაქვეყნე, პოეტად მაშინ დავიბადეო. ყველა მხატვარი იტყოდა – პირველად რომ გამოვფინე ჩემი ნამუშევარიო, მუსიკისა – პირველ კონცერტში რომ მივიღე მონანილეობაო, მკერავსაც შეუძლია თქვას – პირველად დამოუკიდებლად რომ შევასრულე შეკვეთაო და ასე შემდეგ.

აქ კი აუცილებლად რაღაც, არატიპობრივი უნდა იგულისხმებოდეს. მივყვეთ ფაქტების ქრონოლოგიას:

ერთხელ დაბადებულ-მონათლული ტიციან ტაბიძის დებიუტი 1911 წლიდან შედგა მაშინდელ პერიოდიკაში.

ჯერ ისევ ტიტე ერქვა და ყველაფერ ამას რაიმე გასაკუთრებული ხმაური არ გამოუწვევია ლიტერატურულ წრეებში. მისი სახელი, იტალიურად გარდაქმნილი – „ტიციანი“ – ასე, ოთხი წლის მერე ჩნდება, პოეტი და თეორეტიკოსი ტიციან ტაბიძეც, „რეალურად“, იმ დროიდან იბადება – „ცისფერყანწელთა“ ორდენის დაარსებიდან.

უურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლის დღე – 1916 წლის 28 თებერვალია, თუმცა მას წინ საკმაო მოსამზადებელი დრო უძლოდა. ცნობილია, რომ უურნალის ორივე ნომერი 1915 წლის ბოლოსთვის აწყობილი იყო და მოსკოვიდან ტიციანის შეპირებულ წერილს და ელოდა პაოლო იაშვილი – უურნალის რეალური შემდგენელ-გამომცემელ-დამფინანსებელი, რომ აენყოთ და ჩაესვათ. არ უნდა დაგვავიწყდეს გათვალისწინება, რომ მაშინ აწყობა, ასოების ჩამოსხმა და სხვა სასატამბო დამუშავების ეტაპები ძირითადად, ხელით სრულდებოდა. დრო დიდი მიპქონდა, თან ეს ხდება ზამთარში, ნაახალნლევს, მეოცე საუკუნის დასაწყისის ქუთაისში.

ხომ არ უნდა ჩავთვალოთ „გაცისფერყანწელების“ დღე მისი მეორე დაბადების თარიღად?

რატომაც არა... მაგრამ მაშინ რა ვუყოთ ამ ნათლობას? მხოლოდ ტიტე-ტიციანმა კი არა, ცისფერყანწელებმა სახელები რომ იტალიურ ყაიდაზე აიჟღერეს ჯერ კიდევ უურნალის გამოცემამდე და ამით საკუთარ ევროპულ ორიენტაციას ლეგიტიმაცია მიანიჭეს, ეს – ცნობილი ამბავია, ნათლობის დროს ახალი, მაგ. რომელიმე წმინდანის სახელის მინიჭებაც არ არის უცხო – ქართული მართლმადიდებლური ტრადიციისთვის. საერთოდ კი, ჩვენში ძველად ბავშვს სახელს იმის მიხედვითაც არქმევდნენ, თუ რომელი წმინდანის დღე იყო ახლო საეკლესიო კალენდრით, თუმცა ეს წესი არ ყოფილა სავალდებულო-საყოველთაო.

მე ვემხრობი ცნობილ აზრს, რომ რა-იმე კითხვაზე პასუხი, როცა ამა თუ იმ ტექსტის გახსნაზე ვფიქრობთ, უნდა

ვეძებოთ იმ სავარაუდო თეზაურუსის ფარგლებში, რომელიც მაშინდელ ავტორს შეიძლება ჰქონოდა, თორებ არ-სებობს ერთი დიდი საცდური – დღეს მარტივია, დაგუგლო და სახელ „ტიციანის“ მნიშვნელობა და სიმბოლიკა „მოახვიოთ თავს“ იმ ტექსტს, რომელში ჩაღრმავებაც განვიზრახავს, ჩამოაყალიბო საკუთარი, მყითხველის მომნუსხავი ან უბრალოდ, ყურადღების მისაპყრობი, ეფექტური ინტერპრეტაცია, ისარგებლო მისი შენდამი ნდობით, დააჯერო და ასე, მარჯვედ ასრიალდე შემდგომი, უფრო მაღალი საფერხურის პრობლემაზე. რეალია ხომ ჩვეულებრივ, ნაკლებად მომზიბლავია.

რა შეიძლება სცოდნოდა სახელ „ტიციანის“ შესახებ ტიტე ტაბიძეს? – იტალიური რენესანსის ვენეციური სკოლის უდიდესი წარმომადგენლის – ტიციანო ვეჩელიოს, იგივე და კადორეს სახელი, რუსული ტრადიციით, მოკლედ, „ტიციანად“ რომ ინოდებოდა და ასევე მისი ყურადღების არეში იყო მოქცეული იტალიელი ფუტურისტების მოღვაწეობა.

როგორც ჩანს, პაოლო იაშვილმა, იგივე პავლემ, ფლორენციული რენესანსის წარმომადგენლის, – პაოლო ვერნეზეს სახელზე შეაჩერა არჩევანი. გასაგებია, რომ მათ ჰქონდათ ძლიერი სურვილი, ქართული ლექსის რენესანსისთვის მიეღწიათ, მაგრამ საინტერესო დამთხვევად მეჩვენება, რომ რენესანსის ამ ორი უდიდესი წარმომადგენლის სახელი ასე ახლოს იდგა, თითქოს გამზადებული იყო ულერადობრივად, მორგებოდა ამ ქართველ ცისფერყანწელთა რეალურ სახელებს და ჩანაფიქრს. ცხადია, დანარჩენი ცისფერყანწელები, რომელთაც იტალიურად ააჟღერეს საკუთარი სახელები, ასეთივე „ილბლიანები“ ვერ აღმოჩნდებოდნენ, როგორც პაოლო და ტიციანი და მათ უბრალოდ სახელის დაბოლოებები „გაიიტალიურეს“ (ნიკოლო, კოლაუ). აქ მინდა, ერთი ვარაუდი გამოვთქვა, რომ ცისფერყანწელთა საბაზისო ჯგუფი, ბირთვი, თავიდან იტალიურად გარდაქმნილი სა-

ხელების პატრონებს აერთიანებდა, ხოლო დანარჩენი ამ ბირთვის ორბიტაზე, ძირითადად 1915 წელს შემოკრებილი სხვა პოეტები არიან. გოგლა ლეონიძე – სულ გვიანდელია. კონცეფციაც, აცამეტი ასურელი მამის ორდენის მოდელზე აეგოთ საკუთარი მასკულინური ორდენი, როგორც თავად აღნიშნავენ უურნალში, თავდაპირველად ამ ბირთვს უნდა უკავშირდებოდეს.

აქედან მომიწევს საცალფეხო ხიდის გადება მეორედ დაბადებისა და მონათვლის ამბისაკენ, თუმცა, ვინ იცის, არცთუ ისე საცალფეხოსი, როდესაც ხელში რაღაც ბეჭდური ფაქტი/ფაქტები მიჭირავს.

ნათლობა რომ ახლად შობას ნიშნავს, ამაზე სიტყვა აღარ გავაგრძელოთ. „თავსა ახლად ვერვინ იშობს“-ო, – ბრძანებდა დიდი პოეტი. მონათვლა, ანუ ქრისტიანად დაბადება კაცისა ერთხელ ხდება, თუმცა რომელსამე ორდენში გასაწევრიანებლად მუდამ არსებობს რაღაც რიტუალი. ხომ არ არის რაღაც ასეთი რიტუალი ჩატარებული, მინიმუმ „იტალიურსახელიანი“, ბირთვის წევრებში? და თუ არის, როგორ?

ცისფერყანწელთა ორდენი არ იყო რაიმე დაბურული, მისტიკური გაერთიანება, ისინი სამწერლო ასპარეზზე დამკვიდრებას საკუთარი ორდენის ღია და აგრესიული მანიფესტირებით იწყებენ.

გალაკტიონი რომ იგონებს, ცისფერყანწელებმა სადღაც, სოფელში, მამალი დააკვლევინეს, იმის დეზებისგან მოცლილი „ყანწები“ გულზე დაიკიდეს და ასე დაიარებოდნენ ქუთაისში, ეს გვახსოვს, მაგრამ – რიტუალი?

ასურელი მამანი და, ზოგადად, ასე ვთქვათ, ბიბლიის შემდგომი ქრისტიანები, მოდელად იღებდნენ მაცხოვრისა და მისი გარემოცვის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ეს ძალიან ცნობილი ამბავია მათვის, ვისაც ჰაგიოგრაფიულ ტექსტებზე უმუშავია და სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ასევე მოიქცნენ ცისფერყანწელები, ოღონდ გაშუალებულად – მათ ასუ-

რელ მამათა ძმობას მიმართეს. საქართველოში ჩამოსულ ასურელთა რიცხვი რომ გაცილებით მეტი იყო, ცნობილია ჩვენი ისტორიული წყაროებიდან, მაგრამ საჭირო იყო, მათი „ოფიციალური“ რაოდენობა მაცხოვრის მოციქულთა რიცხოვნებას დამთხვეოდა.

რაკი ასურელ მამათა ორდენი ქრისტიანული იყო და მოციქულთა ერთობის მოდუსს წარმოადგენდა, ლოგიკურია, რომ რიტუალი, რომელიც ამ ერთობაში იქნებოდა, დაუკავშირდებოდა მოციქულთა რაიმე რიტუალს.

რა რიტუალი ვიცით სახარებიდან?

ორი ძირითადი: ფეხბანა და ზიარება – საიდუმლო სერობიდან.

პური და თასით ღვინო რომ ცისფერყანწელთა ძმობის თანამდევი იყო, ეს ისედაც ნათელია ყველასთვის, ვისაც ცოტა მაინც წაუკითხავს მათზე, მაგრამ იყო თუ არა ეს ორდენის წევრად გახდომის რიტუალური მოთხოვნა? თუ იყო, მას უკვე გამოცლილი ექნებოდა თავდაპირველი და მარადიული, ქრისტიანული მნიშვნელობა და იქნებ თავისებურ პაროდიადაც იყო ქცეული.

თასით ღვინო რომ ნამდვილად წარმოადგენდა მათი ძმობის ერთიანობის რიტუალური სიმბოლოს, ეს პაოლი იაშვილის ამ ლექსიდანაც ჩანს, რომელსაც იგი კოლაუ ნადირაძეს უძღვნის:

და ასე ღამეს მოჰყვება ღამე
და მოდის დიღლა საღამოს მსგავსი,
ძმაო, მომწერე ისეთი რამე,
ჰქონდეს ჩვენს ბალში საუბრის ფასი:
ჩემს სადღეგრძელოს თუ ისევ

სვამენ,

ჯერ თუ მთელია საჩემო თასი,
თუ გამოაკლდა ვინმე ჩვენ ცამეტს
და პოეტების დაინგრა დასი.

რაც შეეხება ფეხბანას – რომელიც, როგორც ქრისტიანული რიტუალი, დღემდე ტარდება ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში და, აღბათ, სხვაგანაც, როცა პატრიარქი და მღვდელმთავრები ერთმანეთს ფეხს განუბანენ, ცისფერყანწელებსაც შეუს-

რულებიათ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მაცხოვრის მოციქულთა ერთობა იყო ლოგოცენტრული, რაც იმას ნიშნავს, რომ ლოგოსი, ქრისტე, იყო მთავარი, ღერძი. „ცისფერყანწელთა“ ძმობისთვის კი ასეთი ღერძი იყო პაოლო იაშვილი. ეს იყო ძმობა, მისი მეთაურობით (!!!), თუმცა იგი ბუნებით არ იყო ადამიანი, რომელიც პირველობას სახელით ესწრაფვოდა, საქმით კი მუდამ პირველობდა და ამის დასადასტურებლად უამრავი ფაქტია ცნობილი და აქ მათზე ლაპარაკი – მსჯელობის ხაზიდან გადაგვაცდენს.

ქმნილებათა გადათარილება საბჭოთა ცენზურისათვის თვალის ასახვევად, ცნობილი ამბავია. ამ პრაქტიკას ხშირად მიმართავდნენ გალაკტიონიც და სხვებიც. კოლაუნადირაძის ერთი ლექსი, მიძღვნილი პაოლოსადმი, დაწერილია პაოლოს ტრაგიკული აღსასრულის მერე. ისტორიიდან ცნობილია, რომ მის დაკრძალვას ცისფერყანწელთაგან მხოლოდ კოლაუნადირაძე ესწრებოდა და ასევე ცნობილია, რომ პაოლოს მასთან უახლოესი მეგობრობა, თითქმის ნათესაობა, ოჯახის წევრობა აკავშირებდა. სოლოლაკში, საკუთარ ბინაში ოთახი დაუთმო ოჯახობასთან ერთად საცხოვრებლად. როგორც მაშინ ამ სახლში, მამასთან საცხოვრებლად გადმოსული კოლაუს ქალიშვილი ნელი ნადირაძე იგონებს, სამასხსოვრო დღიურში პაოლო იაშვილს ასე ჩაუწერია:

მე სამახსოვროდ ჩაგინერ ამას,
(რასაც სიკვდილის კარამდე ვიცავ),
ლექსებში გნამდეს პოეტი მამა
და ყანწელები – თორმეტი ბიძა,
მაგრამ მე მინდა, სიკვდილის
წლამდე,
პოეტის გარდა, მეგობრად გნამდე!

პაოლო იაშვილი 6,5,30.
(ნინო ჩხივიშვილი „მოგონებებიდან“)

და აი, კოლაუნადირაძე მას უძვნის ლექსს, რომელიც გამოცემაში

1936 წლით თარიღდება, რაც აშკარად გადათარილების მაგალითია, რის დასტურადაც თუნდაც ის გარემოება გამოდგებოდა, რომ ისინი ერთ სახლში ცხოვრობდნენ და უბრალოდ კომიკური იქნებოდა, ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ მეგობარს სახლის პატრონისთვის ასეთი რამ რომ ეთქვა. პრინციპში, ამის აღნიშვნას ჩვენთვის არც აქვს რელევანტური მნიშვნელობა, პოეზიამ გატაცება იცის:

პაოლო, ჩემო სისხლო და ხორცო,
დაე, მე მომხვდეს მრისხანე მეხი!
მინდა, მაგ თვალზე ცრემლი
მოგხოცო,
და მწარედ დალლილს დაგბანო ფეხი
(1936)

რა ფეხის ბანაზე შეიძლება იყოს აქ ლაპარაკი, თუ არა ფეხბანის იმ რიტუალზე, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით. განა სხვა რამ ახსნა მოეძებნება ამ უჩვეულო თქმას? მაგრამ, დავუშვათ, რომ გამოგვიჩნდა სკეპტიკოსი ოპონენტი, რომელიც ცდილობს, ამ სტრიქონს სხვა რამ ახსნა მოეძებნოს, როგორი – ნარმოდგენა არა მაქვს. მისთვის კიდევ ერთი სიურპრიზი მაქვს გამზადებული:

ჩემთაობელებს კარგად ახსოვთ უდროდ დალუბული, შესანიშნავი ახალგაზრდა ვაჩე, იგივე მალხაზ ვაჩეიშვილი (1953-1992) ცისფერყანწელთა შემოქმედების კარგი მცოდნე, პოეტი და კოლაუნადირაძესთან დაახლოებული ადამიანი. მისი ხშირი სტუმარი, რომელიც აფხაზეთის ამბებს შეენირა. შეიძლება ითქვას, რომ ვაჩეს გადაულოცა კოლაუმ უკანასკნელი ცისფერყანწელის საპატიო ტვირთი.

ნინო ჩხივიშვილის მოგონებებში ვკითხულობთ:

„... და ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ვაჩე კოლაუმ აკურთხა ცისფერყანწელად და ვაჩემ, როგორც სიმბოლური რიტუალი, ფეხები დაბანა კოლაუს...“

იმ ბევრში პირადად მე საკუთარ თავს ვერ მოვიაზრებდი, ვერც ჩემს, პოეზიასთან დაკავშირებულ სამეგობროს. ეს

ამბავი უნივერსიტეტელებმა ვიცოდით, თუმცა, გამოგიტყვდებით, პირადად მე, ცოტა არ იყოს, ყოფითი მითების სფეროდან მოტანილად მეჩვენებოდა.

ვფიქრობ, ამ ფაქტობრივი მასალის არსებობის პირობებში დარწმუნებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცისფერყანელებმა, რომელნიც ლხინსა და თავყრილობებს ისედაც არ იკლებდნენ, ჩატარეს საგანგებო, სერობასავით თავყრილობა, იგი მოიცავდა ფეხბანის რიტუალს. თასით ღვინის სმა, როგორც ამ რიტუალის ნაწილი, ისედაც იგულისხმება. ეს იყო ტიტე-ტიციანის დაბადება – ნათლობა ნომერი ორი – ფეხბანითა და ღვინით.

როგორ მინდა, თქვენთან ერთად ისევ პოეზიის სამყაროში დავრჩე და ისე გიამბოთ მესამე ნათლობისა და დაბადების ამბავი.

არ გამომდის!

ეს ამბავი კიდევ ერთი მწარე ნიმუშია იმისა, თუ რას უშვრებოდა ტოტალიტარული რეჟიმი შემოქმედ ადამიანებს. სიტყვასაც არ დავამატებ, დაე, თვითონ ციტატამ იღაპარაკოს: ტიციან ტაბიძე: „ოქტომბრის შემდეგ არათუ ახალი ადამიანები დაიბადნენ, – ოქტომბრის წინ დაბადებული ხალხიც ხელმეორედ დაიბადა და მოინათლა ახალი ცეცხლითა და ნიაღვრით... და მეც ჩემს თავზე ვაკვირდები ამ მეორე ადამიანს, ახალ

კაცს, ახალი გრძნობით და შთაბეჭდილებით“ (ტიციან ტაბიძე, „ტოლსტოის დღეები“) ამ წერილის გამოქვეყნებიდან ლექსამდე, რომელიც გახალხურდა და იდუმალების საბურველითაც შეიმოსა – დახლოებით ერთი წელია...

დასკვნის სახით:

„სამჯერ ვარ დაბადებული, მონათლული ვარ სამჯერა“ – ნიშნავს სხვას არაფერს:

1. ტაბიძის დაბადება და ნათლობა – ფიზიკური მოსვლა ამ ქვეყნად და იმდროინდელი ქრისტიანული წესისამებრ, მამამისის, იუსტინეს მიერ, წყლითა და სულინმინდის მადლით მონათვლას;

2. ცისფერყანელთა ორდენში შესვლას და ფეხბანითა და ღვინის თასით რიტუალურ ნათლობას;

3. კომუნისტად დაბადებასა და ნათლობას „ცეცხლითა და ნიაღვრით“.

ზამთრის შორეულ ტრამალზე, რკინის რელსებზე დგანდგნარით მიჰერის „საბჭოთა სამშობლოს მოღალატეებითა და მტრებით“ დატვირთული მძიმე ვაგონები. ერთხელ სიკვდილი იქ მრავალს დააჯერებს საკუთარ არსებობაში, მეტადრე იმას, ვისაც მისი არა და არ სჯეროდა...

გურამ ბენაშვილი



ანალიტიკური აქცენტები

პოლიკარპე კაკაბაძე

არაერთი დიდი შემოქმედი იყო დარწმუნებული, რომ ყველაზე უკეთ სწორედ მისთვის იყო ცხადი საკუთარ ქმნილებათა ჭეშმარიტი ფასი...

კამათი, ამ შემთხვევაში, ნონსენსია, რადგან გულუბრყვილობაა – არკვიო პრივილეგიათა ბალანსი ავტორსა და მკითხველს შორის...

ასე ხაზგასმით ამ მომენტს იმიტომ აღვნიშნავ, რომ შემოქმედი, რომლის შესახებაც ვაპირებ საუბარს, თვით იყო საკუთარი პიროვნული თუ შემოქმედებითი სუბსტანციის საუკეთესო მსაჯული და სულაც არ საჭიროებდა მავანთა სანქციებს...

ის ამ თვალსაზრისით უბედნიერეს ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნოდა...

შემოქმედის შეუვალი ღირსებებით აღბეჭდილი, იგი ოდენ საკუთარი ეს-თეტყიური პარადიგმებით აზროვნებდა და მრავალთათვის მიუწვდომელი სიბრძნით გაჯერებულ ფიქრთა შთამაგონებელ „ექის“ გამოსცემდა...

დრმად შეიცნობ რა პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგიულ ოპესთა შინაგან საზრისს, გიმყარდება რწმენა იმისა, რომ სწორედ მან შეძლო ქართული კლასიკური ლიტერატურისათვის აღმოქმინა დრამატურგიული აზროვნების უდიდესი შინაგანი შესაძლებლობები

და ნათელებული ამ ურთულესი უანრის კოლოსალური ღირსება...

მისი რამდენიმე ქმნილება ჭეშმარიტი შედევრია არა მხოლოდ ეროვნული დრამატურგისა...

არაარსებითია ის, რომ ზოგიერთმა იმ პიესათაგანმა, წამიერად გაიბრნებინა თეატრალურ სცენაზე... მთავარია, რომ მათ დატოვეს მწვავე ნოსტალგიის განცდა და რწმენა იმისა, რომ თეატრის ჭეშმარიტ სულიერ კონტექსტს, მის კონცეპტუალურ იერსახეს დიდილად სწორედ დრამატურგი განსაზღვრავს...

სამწუხაროა, რომ ჩვენმა კულტურულმა ცნობიერებამ ბოლომდე მაინც ვერ ამოიცნო და ვერ გაითავისა მის ნააზრევთა სიღრმე და მასშტაბები, იქნებ იმიტომაც, რომ მისთვის მწერლის ქმნილებები მხოლოდ მათ თეატრალურ სიცოცხლესთან ასოცირდებოდა, ივიწყებდა რა მათ წმინდა ლიტერატურულ ღირებულებას...

მისი დრამატული პოეზიის ორტომეული ჭეშმარიტად დიდი ლიტერატურის უცილობელი განსახიერებაა... ამ წიგნის ნამდვილი მნიშვნელობა უფრო მაშინ გაცხადდება, როცა საზოგადოებრივი გონი ამაღლდება საკრალურ მოთხოვნილებამდე – როგორ დაიწყოს და ისწავლოს ფიქრი და აზროვნება... რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ

ადამიანური ყოფიერების მატრიცას...
მწერლის მხატვრული დიაპაზონი ანტიკული საუკუნეების წვდომითაა შთაგონებული...

მისი „ყვარყვარე თუთაბერი“ შემზარვი მორალური იდიოტიზმის, ანუ პოლიტიკური ტირანიის კლასიკური მისტერიაა...

კომიზმით აღბეჭდილი თეატრალური სიტუაციები პიესის ტრადიციული მსოფლხედვის ფასადია, რომლის „უხილავ სიღრმეში“ გავეპული ვნებებით შეპყრობილი რევოლუციების სისხლიანი მოვლენები იგულისხმება...

იგი ნათლად წარმოგვადგენინებს იმ სამწუხარო რეალობასაც, სოციალურად ორგანიზებულ და გამართლებულ ბოროტებათა თანმდევი რომაა... ამგვარი სინამდვილე შობდა და მომავალშიც შობს თვით ისეთ ბუტაფორიულ გმირებსაც კი, როგორიც ყვარყვარე თუთაბერია...

არც ამ ტიპის პრიმიტივებისთვის იყო უცხო რევოლუციურ მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალი... რამეთუ მათი გამახვილებული ცხოველური გეში ადვილად უღებდა ალღოს შიშველ ძალადობაზე დაფუძნებული იდეოლოგის დინამიკას...

თუ გავითვალისწინებთ ამ კომედიის შექმნის თარიღს, უნდა წარმოვიდგინოთ ისიც, თუ რა გაბედულება ახლდა მწერლის შთაგონების ამ რეალიზაციას...

საყოველთაო ინერტულობა, მორჩილებისა და სულიერი ნიველირების ატმოსფერო, ცნობიერების სრული დეგრადაციისკენ მიმართავდა ხელოვანის პოტენციას...

და სწორედ ამ დროს, ბრუტალური სინამდვილის განცდით შეძრული და უარესის მოლოდინით შეშფოთებული მწერალი, საზოგადოებას მათ წინაშე გადაშლილი დრო-უამის არა ოდენ მეტაფორულ, არამედ ანატომიურ „სურათს“ გადაუშლის...

პოლიკარპე კაკაბაძე ის შემოქმედია, რომელმაც ჩვენს წარმოდგენაში საბოლოოდ გააქარწყლა სოციალიზმისა და

რევოლუციების მოჩვენებითი რომანტიკა...

საოცარი ინტუიციის ძალისხმევითა და ხელოვნებით შეძლო მან ამოეცნოდა განეჭვრიტა მძიმე იდეოლოგიური სენით დაავადებული სინამდვილის მორალური ტრაგიზმი და გარდაესახა იგი უკვდავ ლიტერატურულ სუბსტანციად, ეპოქის ონტოლოგიურ მოცემულობად...

რა იყო ყოველი დროის პოლიტიკური ტირანიის შედეგი – ამის კლასიკური პასუხი „ყვარყვარე თუთაბერია“...

ამ ქმნილების უპირველესი ღირსებაა ის, რომ იგი სცილდება ერთი კონკრეტული ქვეყნისა თუ ეპოქის ჩარჩოებს და ზედროულსა თუ ზეეროვნულ მასშტაბებს იძენს...

ხატოვანი ანარეკლია მორალურად კასტრირებული ყველა იმ უსახური საზოგადოებრივი ფორმაციისა, რომლის „მოძრავი ავანსცენა“ მორიგეობით „გამოაპრენინებს“ ხოლმე პოლიტიკურ ავანტიურისტთა ფიტულებს, რათა დააცხროს ამ ფანტასმაგორიულ კერპთა წინაშე მონური აღტაცებით აღბეჭდილი ბრძოს ვნებანი...

იგი, რევოლუციების მანკიერებათა მხილებასთან ერთად, იმ უნიათო და მორჩილ საზოგადოებათა სახესაც წარმოსახავს, რომელთა ინდიფერენტიზმეც „ყვავილობდნენ“ სრული უმეცარნი...

ამ მამხილებელი ქმნილების მორალური ვექტორი ამკვიდრებს იმ ჭეშმარიტებას, რომ შეუძლებელია კონსერვატიზმი აპრიორულად წინავდეს პოზიტივს, ხოლო სოციალიზმი – ბოროტებას ან პირიქით... ერთიცა და მეორეც, ვითარებათა გამო, დრო-უამის სტიგმად გარდაისახებოდნენ მხოლოდ...

პროგრესისტებიცა და კონსერვატორებიც, რეაქციონერებიცა და რევოლუციონერებიც ადვილად ერწყმოდნენ ერთმანეთს, როცა მათ წინაშე სოციალურად გამართლებული დანაშაული იყო... ყველა მათი იგივეობის ამოსავალი წერტილი ინდივიდუალური თა-

ვისუფლებისა თუ თავისუფალი ინდი-
ვიდუალიზმის სრული იგნორირებაა...
და ეს არის მათი უმთავრესი ცოდვების
არსი, თუმცა იყო და არის განსხვავე-
ბული მსოფლებული რომელიც უარ-
ყოფს ადამიანთა უბედურებაზე და-
ფუძნებულ კეთილდღეობასა და სხვათა
მონობაზე აღზევებულ ბედნიერებას...

ამ მაღალი ადამიანური მორალის
აღმსარებლისა და საქმით მეტყველის
არაერთი რომანტიკული სახე წარმო-
ჩინდება მწერლის ქმნილებებში...

მისი ისტორიული დრამები მაღალი
ინტელექტისა და ინტუიციის, გონისა
და ფანტაზიის ჰარმონიზაციის ბრწყინ-
ვალე ნიმუშებს წარმოადგენენ...

„კახაბერის ხმალი“ შთამაგონებელია
არა მხოლოდ მოვლენათა დრამატული
განვითარებით, არამედ მონოლოგე-
ბისა და დიალოგების ლრმადმედიტა-
ციური განსჯით, აფორისტული სენ-
ტინციებით, გონებამახვილობით და იმ
ირონიით ალბეჭდილი პატრიოტიზმით,
რომელიც სრულყოფილად წარმოაჩენს
ხელოვნების უმაღლეს „ინსტანციაში“
არეკლილი წარსულის მშვენიერებასა
და სიმახინჯეს...

მწერლის ისტორიული ცნობიერება
მასში პროცერებულია ერის ზნეობ-
რივსა და კულტურულ ტრადიციებზე...
იქმნება სპექტრი სულიერი განწყობი-
ლებებისა, რომელთაც მაღალი ადამია-
ნური სულისკვეთებით უნდა განმსჭვა-
ლონ პიროვნული თუ საზოგადოებრივი
ცხოვრების შინაგანი არსი...

მასში შემოქმედის ნება წინააღმდე-
გია ყოფიერების ნებისმიერი ფორმაცი-
ისა, რომელიც ადამიანში კლავს ინდი-
ვიდს, რომელიც მისგან მაძღარსა და
ნებიერს ძერჩავს და რომელიც დანა-
შაულებრივად გულგრილია ზნეობრივი
ნორმების მიმართ...

„კახაბერის ხმალი“ ერის თანდაყო-
ლილ ცოდვათა მძაფრი შეხსენებაცაა,
როცა მისი ნათელი და რაინდული ში-
ნაგანი პოტენცია მსხვერპლად ენირება
ზღვარდაუდებელ ანგარებასა და პა-
ტივმოყვარეობას... როცა ღალატი და
ერთგულება თანაბარი ღირსებით „და-

აბიჯებენ“ ცოდვილ დედამიწაზე...

კახაბერის, ვითარცა „მეტაფიზიკუ-
რი“, სიმბოლური გმირის სახე, პიესის
ჰეროიკული სულისკვეთების საფუძვე-
ლია... მოშურნეთაგან ტყვედქმნილს,
სახელილა შემორჩენია, მოწინებით რომ
ახსენებს ერი... მაგიური ძალა ამ სახე-
ლისა და მისი ლეგენდარული ხმლისა,
საიმედო და ერთგულ ქომაგად „აღ-
მართულა“ უცხო მოძალადეთა წინააღ-
მდეგ...

პიესის მორალი ერში საკუთარივე
უგუნური ნებით ჩაკლული სულის ტან-
ჯვის წარმოჩენაა, რომლის ყრუ გმინ-
ვა უყურადღებოდ იყარგება ადამიანთა
გამაოგნებელ ამაო ხმაურში...

აქედან გამომდინარე, კახაბერი ტრა-
გიული სუბსტანციაა ერისა, ჰეროიკუ-
ლი თავისი არსით და პოეტური თავისი
ირეალური კონცეპტუალიზმით...

სხვა ისტორიულ ქმნილებებთან ერ-
თად („მეფე ვახტანგ პირველი გორ-
გასალი“, „დემეტრე მეორე“, „ბაგრატ
მეშვიდე“, „ქეთევანი“, „კირიონი“), „კა-
ხაბერის ხმალი“ კლასიკური ნიმუშია
ეროვნული პრობლემატიკის ფილოსო-
ფიური რეფლექსირებისა და მხატვრუ-
ლი განსხეულებისა, დოგმატური ჰუმა-
ნიზმიდან განრიცებისა და ისტორიული
წარსულის ჭეშმარიტი ონტოლოგირე-
ბისა...

მრავალ მის დიდ წინამორბედთა
მსგავსად, მისთვისაც არსებითი იყო
ბოროტისა და კეთილის იმ პირველმი-
ზეზთა, ანუ იმ „მატრიცათა“ წვდომა,
რომელიც მეტანკლებად მოჰყენდა ნა-
თელს ყოფიერების სტატისტიკასა თუ
დინამიკას...

არცთუ იდეალიზებული შორეული
წარსული მის ქმნილებებში არასოდეს
კარგავს რეალობის განცდას, რამეთუ
მისთვის სინამდვილე, თავისი არსით,
იმდენად სასტიკი და პირქუშია, რომ
ვერასოდეს ეგუება იდეალს, თვით მა-
შინაც კი, როცა მას აიდეალებენ...

ალბათ, ამიტომაც, მწერლის მსოფ-
ლგანცდა უტეხი და პირდაპირია ყო-
ველგვარი იდეალიზაციის მიმართ...

და, რაც არსებითია, მისი მხატვრუ-

ლი სამყარო სუნთქავს პოეზიით, პერსონაჟთა ძერნვის უმაღლესი ხელოვნებით, სიტყვის ინტონაციური მრავალფეროვნებით, ლექსიკური სიმდიდრით, ექსპრესიითა და პათეტიკური ულერადობით...

იგი არასოდესაა გატაცებული ფრაზათა იმ „ეკვილიბრისტიკით“, რომელიც გლლის და ერთფეროვნად წარმოგიდგება...

მის კლასიკურად გამჭვირვალე სტილისტიკაში არის რაღაც უნატიფესი ფარული გრაცია, რომელსაც ყოველგვარი ბიძგებისა და რყევების გარეშე, შეუმჩნეველი „ულელტეხილებით“ აპეკავხარ იმ სიმაღლეზე, საიდანაც არაერთი მისი თანამედროვის რომანტიკული შთაგონების მწვერვალი, მხოლოდ მცირე მაღლობად თუ მოჩანს...

ვრწმუნდებით, რომ ხელოვანის შინაგანი სიმშვიდე და წონასწორობა ისევე ძვირფასია, როგორც უმაღლესი შთაგონების ძალა... და რომ მის გონებას დამორჩილებული ტემპერამენტი ისევე ორგანულია, როგორც დიდი მღელვარება...

მისთვის უცხოა განრისხებული ბრბოცა და სიკვდილის უამის შემაძრუნებელი ტანჯვაც, და ეს ესთეტიკური „პურიტანიზმი“ ნიშანია მისი სულიერი არისტოკრატიზმისა, მშვენიერებისადმი რაინდული თაყვანისცემისა...

პოლიკარპე კაკაბაძის სულიერი ინტერესების სფერო, კლასიკური რეალიზმის ესთეტიკისადმი დიდი ერთგულების მიუხედავად, მხოლოდ მისით არ შემოფარგლულა და არ დარჩენილა გულგრილი თუნდაც ერთ დროს ისეთი პოპულარული მხატვრული მსოფლეგრძნების მიმართ, როგორსაც ევროპული სიმბოლიზმი წარმოადგენდა...

მისი მისტერია – „ტყის ქალები“ – თავისი მითოპოეტური ვიზიონებითა და ინფერნალური ხილვებით, სიმბოლისტური დრამის პარადიგმებს ავლენს და თუნდაც შორეული ასოციაციებით მორის მეტერლინკის ესთეტიკურ წოვაციებთანაა „უნისონში“...

ამ პიესის ყოველი პერსონაჟის გამძაფრებული ინდივიდუალობა მხოლოდ მეტაფორულად უკავშირდება რეალობას... ფაქტობრივად, ისინი მეტაფიზიკური იდეის სიმბოლურ ნიღბებს განასახიერებენ და მათი ტირადების ბოლომდე ამოცნობა მყითხველისა თუ მაყურებლის აღქმის უნარზეა დამოკიდებული...

პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებითი დიაპაზონი სხვა მნიშვნელოვანი მომენტებითაც არის ღირსშესანიშნავი, თუმცა, არსებითად, მისი უდიდესი ტალანტი სწორედ ამ ქმნილებებშია ბრწყინვალე და კლასიკურად სრულყოფილი...

კარგად უნდა გავიცნობიეროთ, რომ იგი იმ ავტორთა რიცხვს არ ეკუთვნის, რომელიც ჯერ კიდევ „გუშინ“ გენიალურად მიჩნეული, დღეს ოდენ ფერმიხდილი, საბრალოდ „გამოიყურებიან“...

იგი არც ისტორიული თემატიკით გატაცებული ზოგიერთი იმ „კლასიკოსის“ ბედს გაიზიარებს, შიშველი პათეტიკით, არაბუნებრივი ენობრივი კონსტრუქციებითა თუ პომპეზური ფრაზეოლოგით რომ გვტაცებენ თვალს...

არ გაიზიარებს, რადგან მისი მრავალრიცხოვანი გმირების სულიერი „მექანიკა“, რაღაც საოცრად ცოცხალი და ბუნებრივად მართლმეტყველი, დრამატიზმისა და კლასიკური იუმორის უნიკალური „შენადნობი“...

მისი მხატვრული სამყარო სუნთქავს მთლიანი ისტორიით, მასში გაუჩინარებული სულიერი და მორალური ატმოსფეროთი... ნაკლებად უწევს ანგარიშს უამის წარმავალ და არაარსებით კაპრიზებს...

მისთვის, სამყაროს უმაღლეს სულიერ ღირებულებებთან განდობილისათვის, არ არსებობდა კერპი... დიდ წინაპართა წინაშე მოწინებით მდგარი, იგი არასოდეს ჰყარგავდა საკუთარ მაღალ ღირსებას... ამგვარი, შინაგან შესაძლებლობებში დარწმუნებული სული, ვერ იქნებოდა თუნდაც მხოლოდ მშვენიერი ამონაზარდი წინამორბედთა

მძლავრი ფესვებისა...

ამიტომაც განიზიდა არსებითად უტრადიციო და ურთულესი ლიტერატურული უანრისაკენ, რათა მხოლოდ საკუთარ თავს მინდობილს გაეჭრა ყამირი და მისთვის სათაყვანებელი ერისათვის აღმოეჩინა სულიერი დამწყურვალების ახალი შთამაგონებელი წყარო...

ვფიქრობ, რომ ამ უნიკალური სულიერი პოტენციის პიროვნებაში იყო რაღაც ამოუცნობი და იდუმალი... მისი უჩვეულოდ ღრმა და ანალიტიკური გონის ვიბრაციები ამ მრავალნახნაგოვანი პიროვნების მკვეთრად ინდივიდუალური აზროვნების გამოსხივებებს აძლევდნენ დასაბამს...

არც თუ იშვიათად აკვირვებდა მოსაუბრეთ ორაზროვანი ნახევარტონებით, „უწყინარი ირონითა“ და გენიალურ შემოქმედთა შეფასების ორიგინალური კრიტერიუმებით...

უაღრესად საინტერესო, იგი შინაგანად შესისხლხორცებულ რწმენათა ჭეშმარიტი ენთუზიასტი იყო...

სულით რაინდი, ამკვიდრებდა რწმენას იმისას, რომ არსებული სინამდვილე იყო უამი მზაკვარი ცრუსიბრძნისა და მონობისა, უამი სისხლისა და მორალური ხრწნისა...

უძლიერესი იყო მასში რწმენა პიროვნული თავისუფლებისა... რწმენა იმისა, რომ ადამიანის შემოქმედებითი აქტი მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლების ემანაცია და იგი ვერ იქნება გაპირობებული იდეოლოგიური რეგლამენტაციებით...

როულია, ბოლომდე ჩასწოდე საუკუნის ამ დიდი მწერლის ეროვნული თვითცნობიერებით ინსპირირებულ მსოფლშეგრძნებასა თუ მსოფლებელას, შეუმღვრეველი შემოქმედებითი ყოფიერების უცდომელ კონტექსტებსა და მასში განვითარებული განახლებისა თუ აღდგომის დაუთოგუნველ პოტენციას... მავანთა და მავანთათვის იგი ე.წ. „მარგინალური“ პიროვნება იყო... იყო განმარტოებული, საკუთარი სუბსტანციით შემოზღუდული მარტოსული

და დაკომპლექსებული მოაზროვნე...

პოლიკარპე კაკაბაძე მართლაც არ იყო ორდინალური პიროვნება... იყო საკუთარი სულის სილრმეებში ჩაბრუნებული, რეალობის მხოლოდ საკუთარი წიაღიდან მჭვრეტი და იმავ დროს, კოლოსალური დიაპაზონის მწერალი... რაოდენ ჭეშმარიტია ჰენრიკ იბსენის რეცეფცია, რომ – „ყველაზე ძლევამოსილია ადამიანი, რომელიც მარტოდ დგას ცხოვრების გზაზე“... „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორი ფლობდა საკრალურ უნარს – შემოესაზღვრა და განემარტოებინა თავი... ამგვარ შემოქმედთა მიმართ დრო-უამი თითქმის არასოდესაა კეთილგანწყობილი და მართალი...

ძალზე დაგვიანებული „მხურვალე სინანული“ და მონანიებანი, უკან მიღევნებული ლამპარივით მიჰყვება სიცოცხლეში დაუფასებელთ... შესაძლოა, თვით სინანულში მყოფნიც ხვდებიან, რომ შემოქმედის სულიერი მარტოობა ახირება და კაპრიზი არ არის და, რომ იგი ყოფიერების მედიუმური ცოდნის „აკუმულირებისა“ და რეალიზაციის უცილობელი მდგომარეობაა... ყოველი დიდი შემოქმედისათვის ორგანული და აუცილებელიც კი...

ამ სულიერ მოღვაწეთ – „მარტობა“, ბუტაფორულ „ნამებულთა“ მსგავსად, ეპოქალური მსხვერპლის ეკლიანი გვირგვინით არ შეუმოსავთ... ფორმალურად თავისუფალნი, ისინი მთელი შთაგონებით მაინც ქმნიდნენ შედევრალურ ქმნილებებს და სულიერ ოზისებად ეცხადებოდნენ იდეოლოგიურ უდაბნოდ განწირულ ქვეყანას...

მრავალგანზომილებიანია მისი ეს-თეტიკური დიაპაზონი... თავის ქმნილებათა არქიტექტურით ის კლასიკოსია, გრძნობათა და ემოციათა პოეზიით – რომანტიკოსი, ხოლო თანამედროვეობის ასახვის გაბედულებით – რეალისტი... დრო-უამის ტოტალური კრიტიკა იმ ღრმა დროთა კავშირის გამოძახილიც იყო, XIX საუკუნის დიდმა სულიერმა ძრებმა რომ დაუდეს სათავე...

და კიდევ:

მახსოვს და ვერასოდეს დავივიწყებ მის ფერმკრთალ, მუდმივად შთაგონებულსა და ღიმილფენილ სახეს, მისი უცაბედი სიცილით გამოხატულ ალფროთოვანებებს... ბრწყინვალე ორატორი გატაცებით წარმოსთქვამდა თავის ნაფიქრ-ნააზრევს, მსმენელისადმი დასმული მრავალჯერადი კითხვით – „მისვდი?!“ ამით თითქოს მოსაუბრის გონებას ამონტებდა და იმავ დროს, სააზროვნო მომენტების არტიკულაციას ახდენდა... ალბათ, იყო კიდევ ერთი რამ ამ „მაგიურ“ კითხვა-ბრძანებაში – მსმენელს მისი რეფლექსია უნდა შეესმინა, როგორც უპირობო ჭეშმარიტება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრს კარგავდა ორატორის შთამაგონებელი მედიტაცია.

თავისუფალი მოაზროვნის ანალიტიკური ობერტონებით იყო აღბეჭდილი მისი საუბრების ენერგეტიკა... იყო მასში ინტელექტუალური გამოწვევებიცა და შემეცნებათა განუმეორებელი ხიბლიც...

მეჩვენებოდა, რომ, შორეული სულიერი მოგზაურობიდან დროებით მობრუნებული, ის კვლავ იმ მისთვის ახლობელსა და ძვირფას „სამყაროს“ უბრუნდებოდა, შთაგონების ამოუნურავ წყაროდ რომ ეგულებოდა დროსთან ჭიდილით დალლილსა და სულით მაინც გაუტეხელს... საკუთარი თავის ჭეშმარიტი მეუფე – თავისში დაუნდობელი გულგრილობით „აქრობდა“ მიწიერი სურვილების „ალს“... შთამბეჭდავი იყო მისი მიმწუხრის უამი... სიბრალულისა და სინანულის ინსტინქტებზე ამაღლებული, მშვიდი და დიდსულოვანი შეუერთდა წინაპართა აჩრდილებს...

დიდუბის პანთეონში, რჩეულთა ამ ელიზიუმში, ძველი, უფლენქციო ნეკროპოლის კედელთან, პირამიდული ტიპის სადა, უპრეტენზიო ქვით ნაგები საფლავია... მის ერთ გვერდზე ლათინური ასოებია „ამოკანწრული“, რომელიც გვამცნობს, რომ აქ განისვენებს ქართული დრამატურგიის კლასიკოსი პოლიკარპე კაკაბაძე... ერთი იმ იშვიათთაგანი, რომელთა მხატვრული ქმნი-

ლებებიც არასოდეს არ „მთავრდებიან“ და, დროის ცვალებადობასთან ერთად, კიდევ უფრო აქტუალურნი და ძლევამოსილნი ხდებიან...

მან, ეპოქის დიდმა „ფსიქოანალიტიკოსმა“ და ძველი თუ ახალი „ლმერთების“ უარმყოფელმა, დასაბამი მისცა ერის გონებრივი ვექტორის შემობრუნებას ახალი რეალობისაკენ, მაღალი ჰუმანიზმისა და თავისუფალი სულიერი უნივერსალიზმისაკენ...



აკაკი განერელია

აკაკი განერელია ევროპული ტიპის ინტელექტუალისა და „კულტურტრეგერის“ კლასიკური განსახიერება იყო. მის ანალიტიკურ ოპუსებში კრისტალიზდებოდა სამყაროს კულტურული ყოფიერების ონტოლოგიური აქცენტები, მისთვის ორგანული ფილოსოფიური კონტექსტებითა და ესთეტიკური პარადიგმებით, რწმენის სიმბოლოებითა და საუკუნეთა ეპისტემოლოგიური პორიზონტებით. კოლოსალური ეგზისტენციური კატაკლიზმების მომსწრემ, მთელი სიმძაფრით განიცადა ყოფიერების უსასტიკესი მეტამორფოზები, სისხლიანი რეპრესიები, მეგობართა წამება-გაუჩინარებანი და თვითგადარჩენის კონცენტრისები.

ყოველივე ეს, დრო-ჟამის იმ ბესტიარულ „პარტიტურას“ წარმოადგენდა, რომლის ტრაგიული იმპულსებიდან (თითქოს სრულიად ალოგიკური კანონზომიერებით) იშვა უნიკალურ ტალანტთა ბრწყინვალე თაობა.

ამ „ფანტასმაგორიული მუტაციის“ კიდევ ერთი „ნაყოფია“, ქართული ფილოლოგიური სკოლის უთვალსაჩინოები აქტორი, ლიტერატურული აზროვნების ჭეშმარიტი მეტრი – აკაკი განერელია.

არეობაგეტიკა თუ რუსთველოლოგია, ლიტერატურულ-ესთეტიკური შტუდიები თუ ქართველ კლასიკოსთა სილუეტები, მრავალრიცხოვანი ოპუსები პოეტიკის სფეროში – აი, მიახლოებით იმ პრობლე-

მათა დიაპაზონი, რომელთაც საოცარი შთაგონებით ითავისებდა ამ დიდი ჰუმანიტარის სული და გონება.

სიმპტომურია, რომ მის ამ ოპუსებში, პოეტიკის ბრწყინვალე სპეციალისტი, „შლის“ რა იერარქიულ დისტანციას შემოქმედსა და კომენტატორს შორის, თვით გარდაისახება მწერლად... ფანტაზმატიკური ტალანტის ძალისხმევით, იგი თვით იქცევა კლასიფიკაციისა და ნომინაციის „ობიექტად“, საკუთარივე დისკურსის რეპრეზენტატორად. ფილოსოფიური კონცეპტებით სტრუქტურირებული მისი ანალიტიკური ტექსტები, არგუმენტირებულად წარმოსახავენ მხოლოდ იმას, რაც არსებითი და აქტუალურია. შეუძლებელია ანალიტიკური განსჯისა და ნარატიული რიტორიკის მაღალ ხელოვნებას არ გაზიაროს მისმა ელეგანტურმა ლიტერატურულმა მედიტაციებმა... და რაც უფრო ღრმად იცნობიერებ მის რეფლექსიებს, მით უფრო გეუფლება განცდა იმისა, რომ შენს წინაშეა მეგაპრობლემათა განსჯის უიმუშიათესი გამოვლინებანი... იგრძნობ, როგორ შემოდის შენში სულიერების ჯერგანუცდელი მნიშვნელობები, აქამდე თითქოს ბუნდოვანი სემანტიკური არტიკულაციები, მაღალ ესთეტიკურ ნორმათა ტრანსპოზიციები...

ნიშანდობლივია, რომ მის ანალიტიკას სრულიად განსაკუთრებულ მიმზიდველობას სძენს დიდი ლიტერატორისათვის თრგანული ემოციური ტონალობანი, ლირიკული „თრთოლვის“ გალანტური ობერტონები...

ასე და ამგვარად, მისი ტექსტები შეიმუცნება არა როგორც მშრალი, საინფორმაციო როლით აღბეჭდილი ნარატივი, არამედ როგორც ნატიფი აზროვნების ნიმუში, რომლის სპეციფიკისა და სუბსტანციის „დაგემოვნება“ შეუძლებელია ესთეტიკური აღქმის გარეშე. იგი კიდევ ერთხელ გარწენებს, რომ კრიტიკა, თავისი იდეალური სახით, ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ლიტერატურაა. განსაკუთრებული იყო მისი პოეზიით გატაცება, მის მშვენიერებათა ონტოლოგიური მოდუსების

წვდომის პათოსი...

ლექსის იდუმალ „ალქიმიაში“ ღრმად განდობილის, მისი ჯადოსნური ფერადოვნებით შთაგონებული ესთეტისა და ვიზიონერის კლასიკური განსახიერება იყო იგი... უნიკალურია მისი თეორიული კვლევები ქართული ლექსის სისტემური ანალიზის თვალსაზრისით... მისთვის, როგორც პოეზიის კათარზისული თეორიის აღმსარებლისათვის, იგი (პოეზია) იყო რედუცირებული რეგისტრი ღვთაებრივი ემანაციისა, შთაგონებისა და უცაბედი გასხივოსნებისა, მწვერვალი ესთეტიკური ემოციისა... რომ მხოლოდ პოეზიაა ადამიანურ ნათელზომათა მედიუმი და რომ მას არამიწიერი ინსტინქტებით მოდელირებული სახე-სიმბოლოები ასახიერებენ – ესაც მის დომინანტურ ფიქრთა გამოძახილია.

არაფერია სულიერების ლაბირინთებში „მოარული“ მისი მახვილი თვალთახედვისათვის უცხო და შორეული, ფერდაკარგული და კვდომაშეპარული...

ფრიად საგულისხმოა ისიც, რომ მისმა უფართოესმა ისტორიულმა „ინსტინქტებმა“ და წარსულის მონუმენტურ კონტექსტთა წარმოსახვის უნიკალურმა ტალანტმა, XX საუკუნის ქართულ ბელეტრისტიკას შესძინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ქმნილება, რომელთა შორის გამოირჩევა რომან-ეტიუდი „ფაიდას გამოცხადება“ – უშორესი ისტორიული რეალობის ეპიფანიზაციის ესოდენ შთამბეჭდავი თპუსი... მასში კიდევ ერთხელ გაცხადდა აკაკი განერელიას კოლოსალური ერუდიცია და ფსიქოლოგიურ წიაღსვლათა განსაცვილებელი მასშტაბები.

დიდოსტატის ხელრთვით იძერწება ამ რომანში IV საუკუნის უდიდესი თეოლოგის, რიტორისა და ფილოსოფოსის, ჰიპონის ეპისკოპოსის – ნეტარი ავგუსტინეს მონუმენტური ხატი, მის სულიერ გრადაციათა ფრაგმენტები... მასში ავტორი წარმოსახავს ამ ღვთაებრივი მოღვანის გაორებული სიცოცხლის დრამატიზმს და მისგან იმპულსირებულ ცნობიერსა თუ ზეცნობიერ ფერმენტებს, ინდივიდუალური ჭვრე-

ტის ისეთ ფესვეულ კატეგორიებს, როგორიცაა სხოვნა, დროის სუბიექტური აღქმა, საკუთარ ცოდვათა ძლევის დიალექტიკა... და ეს ყოველივე ინტერპრეტირდება ამ უნეტარესი ნეოფიტი ქრისტიანის მიერ, როგორც საკუთარი იდენტობის კონსტიტუირება და როგორც ფსიქოლოგიური ინტროსპექციის გამოვლინებანი...

ყოფიერების ლოგიკური ორგანიზაციიდან განზიდული, იგი, „ამღვრეული“ გონებითაც კი, წმინდანთა იმ დასს განასახიერებს, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ქრისტიანული ცივილიზაციის „განთიადი“, გზა წარმართობიდან ქრისტიანობისაკენ... არსებითი კი ის არის, რომ XX საუკუნის ბრწყინვალე ლიტერატორთა შორისაც კი, იგი გამოიჩინდა ფუნდამენტურ პრობლემებზე კონცენტრირების სტრატეგიით, შეუვალი პრინციპულობითა და პიროვნული არისტოკრატიზმით. ხანგრძლივი ფიქრით აღბეჭდილი მისი ანალიტიკური ქმნილებებიდან სჭვიოდა ოდენ ე.წ. ნარატიული რიტორიკისათვის ნიშნული „გონებრივი ექსტაზის“ პათოსი, ვითარცა რიტმი მისი სტრუქტურისა, ანუ ის, რომელზეც თვით ძველი პლატონიკურ-სები აპელირებდნენ და რომელიც მხოლოდ ლირსებად აღბეჭდდებოდა ხოლმე რჩეულ მოაზროვნეთა ქმნილებებს...

მინდა ვირწმუნო, რომ ჩვენი ერის ინტელექტუალური განვითარების ყოველი ახალი ეტაპი, კვლავ და კვლავ ღრმა ინტერესით მიუბრუნდება XX საუკუნის სულიერი ევოლუციის განმსაზღვრელ ფაქტორებს, ეროვნული კულტურული რენესანსის იმ შემოქმედთა მრავალმინიშვნელოვან ღვანლს, რომელთა აქტიური ცნობიერების ძალთახმევითაც ჩამოყალიბდა მორალურად და ინტელექტუალურად მატერიალიზებული საქართველო... და ამ დიალექტიკური რეალობის ერთი პროტაგონისტთაგანი აკაკი განერელიაც იქნება, რადგან მორალურად და გონებრივად ამაღლე-

ბულ პიროვნებათა სიცოცხლის დიდი „გაკვეთილები“ ქვეყნად იმიტომ „ტარდება“, რომ ის ისწავლონ, განიცადონ და სამუდამოდ დაიმახსოვრონ...

და კიდევ:

სიმპტომურია, რომ, მისი ეპოქის რჩეულ მოღვაწეთა მსგავსად, ისიც წუხდა მომრავლებულ იმედგაცრუებათა, თუ ირგვლივ გამეფებულ უმეცრებათა გამო ღრმად განიცდიდა ბარბაროსული ჟამის დამაკინებელ სუნთქვას, კულტურულ ფასეულობათა იგნორირებისა და ადამიანთა სრული გაუცხოების საბედისწერო სიმპტომებს, დროის ეგზისტენციური რეალობის გამოწვევებსა და პარადოქსებს...

ამგვარი ახსოვთ იგი მისი აქტიური და ბრძნული სიჭარმაგის მომსწრე თაყვანისმცემელთა...

ერის განმანათლებლის მაღალი უფლებით აღბეჭდილი, მისი მორალური და ინტელექტუალური სიმბოლო, იგი იმ იშვიათთაგანი იყო, რომელთა ცხოვრება და ღვანლი დროთა განმავლობაში საზოგადოების ფიქრთა მრავალფეროვანი სემანტიკით იმოსებიან და თავის კანონიერ ადგილს იმკვიდრებენ ერის სულიერ სამყაროში...

და მაინც, ყოველივე ზემოთ თქმული მხოლოდ ფრაგმენტია აკაკი განერელიას პიროვნულ-შემოქმედებითი აბრისისა... ერთი პოტენციური სილუტია ჩემში დამკვიდრებული მისი იერსახისა...

PS: საუკუნის კიდევ ერთი კურიოზია, ალბათ, ქართული ფილოლოგის ამ ჭეშმარიტი მეტრის ქართველ სწავლულთაგან იგნორირების „ფანტასმაგორიული“ ფაქტი... ე.წ. რჩეულთაგან „დაწუნებული“, ანუ მათგან კენჭისყრით „გამავებული“, როგორ ვერ „ამაღლდა“ იგი ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრად... ესაც იმ დისტროფიული დრო-ჟამის ოდიოზურ სიმპტომთაგანი იყო, რომელიც მამხილებელ დისონანსად დაემკვიდრა ანგარდასულ სინამდვილეს.

პაკი დაუშვილი



ნვეთი პაკი

ქალაქის თავზე პირქუში, შავი ღრუბელი ჩამოწვა. უცებ თვალისმომჭრელად გაიელვა, თითქოს ზეცას ცეცხლი მოედოო. მერე გამაყრუებლად დაიგრუხუნა და კოკისპირულმა წვიმამ დასცხო. გოგონამ ყვავილებიანი ქოლგა გაშალა და გზა სირბილით განაგრძო.

ციდან გულადი წვიმის წვეთები ხალისით ხტებოდნენ, თავზეხელადებულები კი გასაოცარ მალაყებს გადადიოდნენ. მხოლოდ ერთი წვეთი ჩაბლაუჭებოდა ღრუბელს, უმწეოდ ცახცახებდა და ქვევით ყურებისას თავპრუესხმოდა.

— ახლავე ისკუპე! — ელვამ ბრაზის-გან ნაპერნები გაჟყარა და დაილრიალა.

წვეთი საცოდავად მოიბუზა და კიდევ უფრო ძლიერად ჩაეჭიდა ღრუბელს.

ქვაფენილზე დაცემული შხეფები ერთმანეთს ეკვროდნენ და პატარა ნიაღვრებად მიედინებოდნენ.

უცებ მზის სხივი გამოკრთა და ცაგანათდა.

თავზარდაცემულ წვეთს ღრუბლის ქულა ხელში გაუქრა და განწირული ყვირილით მიწისკენ ჩამოქანდა.

გოგონას ის-ის იყო ქოლგა უნდა

დაეკეცა, რომ ტყაბანის ხმა მოესმა და იმავე წამს ცხვირწინ მოქანავე არსება დაინახა, რომელიც პანაწინა ხელებით ქოლგის კიდეს ჩასჭიდებოდა და მრგვალი, ცისფერი თვალებით უყურებდა.

— დამმალე, — წვეთი გაოცებულ გოგონას შეეხვენა.

გოგონამ ხელი გაუწოდა. წვეთი ხელისგულზე დახტა და სხაპასხუპით თქვა:

— დამმალე, თორემ მზის სხივები უკან, ცაში ამიყვანენ. მე კი ჭექა-ქუხილის მეშინია. ღრუბლებში დაპრუნება არ მინდა.

გოგონამ პატარა ჩანთა გახსნა და წვეთი ერთი ნახტომით შიგ ჩახტა.

— რა გქვია? — ჩასძახა გოგონამ.

— პაკი. შენ? — ამოსძახა წვეთმა.

— მარიცა.

გოგონამ ქოლგა დაკეცა და შინისაკენ აჩექარებით გასწინა. მალევე გაჩერდა და საკუთარ თავს ჰეითხა: „ნუთუყველაფერი ცხადად მოხდა?“ გოგონამ ჩანთა გახსნა:

— პაკი, აქ ხარ?

— აქ ვარ! მზემ უკვე გამოანათა?

— მალე სახლში ვიქნებით, ფანჯარაზე ფარდას დავუშვებ და ვერავინ დაგინახავს, — გოგონამ ჩანთა ფრთხილად

დაკეტა და გზა განაგრძო.

მოწმენდილ ცაზე მზე აკაშკაშდა და ქალაქს უზარმაზარი ცისარტყელა გადაევლო.

მარიცა ქუჩის პირას, სახლის სადარბაზოში შევიდა და მეორე სართულის ერთ-ერთი კარი გასალებით გააღო. შინ ჯერ არც დედა დაბრუნებულიყო და არც მამა. მარიცას ოთახში, ძველებურ კომოდზე, აკვარიუმი იდგა, სადაც ოქროს თევზი დაცურავდა. უცებ მინაზე კაკუნი გაისმა. გოგონამ ფანჯარასთან მიირბინა. რაფაზე რუხი ყვავი ყვანჩი იჯდა და მუქი ყავისფერი თვალებით მარიცას სიყვარულით შესცეკროდა. ერთი წლის წინ გოგონამ ბუდიდან გადმოვარდნილი ბახალა იპოვა და გაზარდა. მარიცამ ფანჯარა გამოაღო. ყვავი ძველ კომოდზე დაფრინდა, ამაყად გაიარ-გამოიარა და აკვარიუმში ოქროს თევზი გაბი შეათვალიერა.

— გაბიმ ჭამა? — ყვანჩიმ მარიცას შეხედა.

— კი, ვაჭამე, — უპასუხა გოგონამ.

— მაგრად მომშივდა, — თქვა ყვავმა და სამზარეულოსკენ გაიხედა.

მარიცამ მაცივრიდან ძეხვი გამოიღო, წვრილად დაჭრა, თეფშზე დააწყო და ყვანჩის მიართვა.

— მარიცა, ძალიან ბნელა, სული მესუთება! — გოგონას ჩანთიდან მოგუდული ხმა გაისმა.

— ვისი ხმა? — იყითხა გაკვირვებულმა ყვანჩიმ.

— წვიმის წვეთია, პაკი, — უპასუხა გოგონამ.

— მერედა ჩანთაში რა უნდა? — დაეჭვდა ყვავი.

— მზის სხივებს ემალება, ღრუბლებში ყოფნა არ უნდა.

გოგონამ ფანჯარას ფარდა ჩამოაფარა და ჩანთა გახსნა, საიდანაც პაკი ამოძვრა და აფორიაქებულმა ირგვლივ მიმოიხედა.

— მზის სხივები აქ ვერ მოგაგნებენ, — დაამშვიდა მარიცამ.

— თუ ღრუბლებში არ გინდა, მზეს ვინ ჰყითხავს? — გაცხარდა ყვავი.

— წვეთები უკან თუ არ დაგვაბრუნა ისე წვიმა არ მოვა, — ნალვლიანად თქვა პაკიმ.

— რამდენჯერ დაშვებულსარ ღრუბლიდან? — ჰყითხა ყვანჩიმ.

— ორი თვის წინ ბამბასავით თეთრ ღრუბელში გავჩნდი. ერთად ვმოგზაურობდით ქვეყნიერებაზე. შხაპუნა წვიმა რომ წამოვიდა ძირს დაშვება ვერ გავპედე. „ჩექარა ჩახტი!“ — დამიყვირა ცივმა ქარმა და მიბიძგა. ფეხი გამისრიალდა, გადმოვვარდი და ტყეში, მუხის ფოთოლზე დავეცი, მერე მეორე ფოთოლზე ჩავსრიალდი და ტოტზე მოვკალათდი. მალე გვერდით მწვანეთვალება, ლამაზი გოგონა წვიმის წვეთი მომიჯდა. ლაი ერქვა, ჩვენ დავმეგობრდით. ლაი უკვე მეოთხედ მოგზაურობდა დედამინაზე. დილით მცხუნვარე მზემ გამოანათა. ძალაინ დაცხა, შუბლზე ოფლმა დამასხა.

— გინდა ძირს ჩავხტეთ? — შემომთავაზა ლაიმ.

— რატომ?

— ნელ-ნელა მინაში ჩავიჟონებით და მიწისქვეშა დინება ცივ ნაკადულთან მიგვიყვანს. რა მოგდის! ფერი მთლად დაკარგე! — შემფოთებით მითხრა ლაიმ.

— რაღაც მემართება, — ვთქვი შეწუხებულმა.

— ორთქლად გადაიქეცი, თითქმის აღარ ჩანხარ, ახლა აფრინდები.

დავმსუბუქდი, ჰაეროვანი გავხდი და მზის სხივებმა ცისკენ ამიტაცეს. ზევით და ზევით სულ უფრო და უფრო აცივდა, მერე ყინვამ მოუჭირა და ღრუბელში კვლავ წვეთად ვიქეცი. დიდხანს ვიფრინეთ. ცივმა ქარმა რომ დაპეროლა და საშინელი ხმით იჭექა, ქვემოთ ქალაქი გადაიშალა.

— პაკი მართალია გამჭვირვალეა, მაგრამ მასში ჩემს გრძელ ნისკარტს მშვენივრად ვხედავ, — გაელიმა ყვან-

ჩოს.

— შიგ ფერები ბრჭყვიალებენ, — აღ-
ტაცებით თქვა მარიცამ.

— პაკი, შენს თავს არავის დავაჩაგ-
ვრინებ, — ყვანჩომ ნისკარტი იღლიაში
შეულიტინა.

პაკის გაეცინა.

— არა, მზეზე არა ვბრაზობ. ის ხომ
ფაფუქ სახლში გვაბრუნებს. წვიმის გა-
რეშე ყველაფერი დაჭინება და გადახ-
მება, დაშრებიან ნაკადულები და ტბო-
რები. ზოგი წვეთი მეათასედ ბრუნდე-
ბა მიწაზე და მხიარული თავგადასავა-
ლებით ერთობიან. მე კი საწვიმარი
ლრუბლების მეშინია.

— ავფრინდები და მზეს დაველაპა-
რაკები. იქნებ პაკი ჩვენთან დატოვოს,
— თქვა ყვანჩომ.

— იქნებ მზე მართლაც დაითანხმო,
— იმედიანად თქვა გოგონამ.

მზე ჩავიდა და პაკიმ თავი უსაფ-
რთხოდ იგრძნო. საღამოს ძალიან გა-
ერთნენ. პაკი აკვარიუმშიც კი ჩახტა და
ოქროს თევზს ზურგზე მოექცა.

— წვიმა მიყვარს. შეცები მხიარუ-
ლად აკაკუნებენ შენობების სახურა-
ვებზე, ფანჯრის მინებს პანია მუშტებს
გამეტებით ურტყამენ, გუბებში კი
ამაყად დაბოტებენ, — თქვა ყვანჩომ.

— წვიმა ბევრნაირია, — მხიარული,
სევდიანი, უუჟუნა, კოკისპირული, შხა-
პუნა, თავსხმა, — ჩამოთვალა მარიცამ.

— სხვადასხვანაირი წვიმის მოს-
ვლა წვეთების განწყობასა და ხასიათ-
ზეა დამოკიდებული — გაბრაზებულებს
გზად ყველაფრის განადგურება უნ-
დათ, თუ კარგ ხასიათზე არიან მათი
წკაპანკუპის ხმა სასიამოვნოდ ჩაგვეს-
მის, როცა მოიწყენენ მთელი დღე უინ-
ულავს და ჩვენც გვასევდიანებენ, გახა-
რებულები კი ყელში გვიღიტინებენ და
გვაცინებენ, გულწვილი წვიმის წვეთე-
ბი ნაზად, მოფერებით გვასველებენ, —
ბრძენი კაცივით თქვა ყვანჩომ.

მშვენიერი დილა გათენდა, მოწმენ-
დილ ცაზე მზე აცხუნებდა. მზის სხი-

ვები მთელ ქალაქში დაეძებდნენ პაკის.
გოგონა მაღაზიაში ნაყინის საყიდლად
წავიდა. ყვავი კი შინ დარჩა, პაკის ვუ-
დარაჯებ, იქნებ სხივებისგან დაცვა
დასჭირდესო.

სხივების ყურადღება ფარდებჩამო-
ფარებულმა ფანჯარამ მიიპყრო:

— მგონი ოთახში რაღაცას მაღავენ.
იქნებ პაკის? — იკითხა შედარებით მა-
ღალმა სხივმა, რომელსაც სახელად
პიწკინა ერქვა.

— წვიმის წვეთი სახლში ხომ არ ეყო-
ლებათ? — გაიკვირვა მზის სხივმა თი-
ნიმ.

— ოთახში შევიჭყიტოთ, — დაიუინა
პიწკინამ.

სხივებმა ფარდას აქეთ-იქიდან უტ-
რიალეს და ოთახში შეიჭვრიტეს.

— მართლაც პაკია. ყვავსა და ოქროს
თევზს ეთამაშება, — თქვა თინიმ და სა-
ხე გაებადრა, — რა საყვარლები არან.
მოდი, თავი დავანებოთ.

— გაჩუმდი! წვეთები დედამიწაზე
თუ დავტოვეთ, წვიმა აღარ მოვა, — ხმა
გაიმკაცრა პიწკინამ.

თინიმ თავი დანანებით გადაიქნია.

პიწკინა და თინი ფარდაში გაძვრნენ
და ოთახი უმაღ განათდა. ყვანჩომ
ფრთები გაშალა და პაკის გადაეფარა:

— აქედან წადით, არ დაგითმობთ! —
მკაცრად თქვა ყვავმა.

— პაკი უნდა წავიყვანოთ! — გადაჭ-
რით თქვა პიწკინამ.

— არა! — ყვანჩომ ფრთები კიდევ
უფრო ფართოდ გაშალა.

სხივებმა მცხუნვრებას უმატეს.
ყვავს გულმკერდი აეწვა.

— ვერ შემაშინებთ! — გაგულისდა
ყვანჩომ.

— მამაცი ყვავია, — თქვა პიწკინამ.

— აკვარიუმში ბევრი წვეთია, მოდი
პაკის მაგივრად ესენი წავიყვანოთ, —
შესთავაზა პიწკინას თინიმ.

სხივები მეტისმეტად ავარვარდნენ
და აკვარიუმში წყალი წამში აორ-
თქლდა. პიწკინა და თინი წვეთების

პატარა ნისლში გაეხვივნენ და ცისკენ აცურდნენ.

— აკვარიუმში წყალი ამოშრა, გაბი მოკვდება. სანამ მარიცა დაბრუნდება, წყალს ნისკარტით მოვიტან, — თქვა ყვანჩომ და სამზარეულოსკენ გაფრინდა.

პაკი აკვარიუმთან მივიდა. ოქროს თევზი პირს საკოდავად აფრინდა.

— ახლავე გადაგარჩენ, — შეჰყვირა პაკიმ, აკვარიუმზე აცოცდა და პირდაპირ გაბის დაფრინილ პირში გადაეშვა.

ყვანჩომ ნისკარტით მოტანილი წყალი ოქროს თევზს დაასხა. ამ დროს მარიცამაც შემოირბინა და აკვარიუმი წყლით აიღსო. გაბი ნელ-ნელა მოსულიერდა და ნარნარად გაცურა.

— პაკი სადაა? — აღელდა გოგონა.

— პაკის სხივებმა მოაგნეს. რამდენადაც შემეძლო წვეთს ვიცავდი. ბოლოს პაკის მაგივრად აკვარიუმის წყლის წვეთები წაიყვანეს. ოქროს თევზი კვდებოდა. წყლის მოსატანად სამზარეულოში შევფრინდი. უკან დაპრუნებისას დავინახე პაკი გაბის დაფრინილ პირში როგორ გაუჩინარდა, — ყვანჩოს ცრემლი მოადგა და ყელში ბურთი გაეჩირა.

— საბრალო პაკი, ღრუბლებს უფრთხოდა, ოქროს თევზისთვის კი სიცოცხლე განირა, — მარიცამ თვალები სახელოთი შეიმშრალა.

უცებ ოქროს თევზის ლაყუჩიდან პაკი გამოსხლტა, ზედაპირზე ამოცურდა და აკვარიუმიდან ძველ კომოდზე გასრიალდა.

— ცოცხალი ხარ?! — გახარებულმა მარიცამ ხელი ხელს შემოჰკრა.

— ცოცხალი და უვნებელი!

— მარიცა, მალე დავპრუნდები, — თქვა ყვანჩომ.

ყვავი ძალიან მალლა აფრინდა და მზეს შესძახა:

— მზეო, გთხოვ, პაკი არ წაიყვანო. ჯერ პატარაა, გრუხუნის და შავი ღრუბლების ეშინია. ძალიან კეთილია. ოქროს თევზი სიკვდილს გადაარჩინა.

— წვეთები ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების საკეთილდღეოდ მიმყავს, რათა მაცოცხლებელ წვიმად მოვიდნენ. კი ბატონო, დარჩეს პაკი თქვენთან. გაუფრთხილდით. იმედი მაქვს, რომ გაიზრდება შიშს აჯობებს და აუცილებლად დაგვიპრუნდება.

ყვანჩომ ოთახში შეფრინდა და მზის ნათქვამი მარიცას, წვიმის წვეთს და გაბის გადასცა. ოქროს თევზი სიხარულის ნიშნად ამოხტა და წყალში კეკლუცად ჩაეშვა.

— მზე ძალიან კეთილი ყოფილა, — აღტაცებით თქვა ყვანჩომ.

პაკი მოუსვენრობამ შეიპყრო და წინ და უკან მოჰყვა სიარულს.

— რაღაც განუხებს, — უთხრა შეფიქრიანებულმა მარიცამ.

— წვიმის წვეთები ცაში სიხარულით ბრუნდებიან. ნუთუ მარტო მე ვარ ასეთი მხდალი? — პაკიმ მოიწყინა.

— მხდალი არ ხარ. გაბისთვის სიცოცხლე გაწირე. განა ასე არ იყო? — თქვა მარიცამ.

— დაუფიქრებლად შევარდი ოქროს თევზის დაფრინილ პირში, — შეაქო ყვანჩომ.

— ჩემი მოძმები დაუზარებლად შრომობენ, მინაზე სიცოცხლე და სიხარული მოაქვთ. მე კი აქ უსაქმოდ ვარ, — დანალვლიანდა პაკი.

— ვითამაშებთ, გავერთობით, — ყვანჩომ ხასიათზე მოსაყვანად ფრთა შეულიტინა.

პაკის არ გასცინებია. ყვანჩომ გამოსავლის მოსაძებნად კომოდზე ბოლთის ცემას მოჰყვა, მარიცაც რაღაცაზე ფიქრობდა, თევზი გაბი აკვარიუმში ადგილზე ლივლივებდა.

— შინ დაპრუნდი! ამქვეყნად ყველას თავისი ადგილი აქვს და ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, — გადაჭრით თქვა ყვანჩომ, — ყველაფერს მიეჩვევი. მალე ქუხილი სასიამოვნო მუსიკად ჩაგესმება, ელვა კი საახალწლო ფოიერვერკად მოგეჩვენება.

- გადმოხტომისას მალაყის გაკეთებასაც ისნავლი, – გაეღიმა მარიცას.
- იქნებ წვეთ ლაისაც შევხვდე. როცა კი ქალაქის თავზე მოვხვდები, ყოველთვის გინახულებთ.
- დაგელოდებით, – თქვა ყვანჩომ.
- პაკი გოგონას ღანვიდან ლოყაზე დაცურდა, მერე ყვანჩოს ნისკარტზე გაიარ-გამოიარა, თევზ გაბის ხელი დაუქნია, ფანჯრის რაფაზე აძვრა და მზეს შესძახა:
- სხივებო, შინ წამიყვანეთ!
- ციდან ორი კაშკაშა სხივი პინკინა და თინი დაეშვნენ და პაკის მიუალერსეს.
- მზე შენით ძალიან ამაყობს, – შეაქო პინკინამ.
- იქ მოუთმენლად გელიან, – შეაგულიანა თინიმ.
- პაკი ფანჯარასთან მდგარ მეგობრებს მიუბრუნდა:
- ყველაფრისთვის დიდი მადლობა. აუცილებლად შევხვდებით.
- პინკინამ და თინიმ წვეთს ხელები


ჩაჰებული არის. უცებ ორი ოქროსფერი სიმი ცისკენ აიჭიმა და მზის სხივებმა პაკი მსუბუქად აიტაცეს.

- დღეიდან წვიმას მუდამ სიხარულით შევეგებები, რადგან უამრავ წვეთში შეიძლება ჩვენი გულადი პაკიც იყოს, – თქვა ყვანჩომ.

გაბი აკვარიუმიდან ამოხტა, პაკის დამშვიდობების ნიშნად კუდი დაუქნია და წყალში მოადინა ტყაპანი. მზის სხივები, ოქროს თევზის კუდიდან გაფრქვეულ, მოკისკისე შხეფებში ფერებად აირეკლნენ და ფანჯარასთან პატარა ცისარტყელა – მზის საჩუქარი გაჩნდა.

- ცისარტყელა ყველას გვახარებს, გვახალისებს და გვაიმედებს, – თქვა მარიცამ, – როდესაც ცაზე ცისარტყელა გადაიჭიმება შვიდფერ ბილიკზე, პაკი დაცურდება და სტუმრად გვეწვევა.

მეგობრები კიდევ დიდხანს აჰებდნენ ცას. უცებ მზემ თვალი ანცად ჩაუკრათ და თბილად გაულიმათ.



ბრეტ ჰარტი

კონარ ფლერელი დევნილები

როდესაც, 1850 წლის 23 ნოემბრის დიღას, მოთამაშე ჯონ ოუკერსატმა პოკერ ფლეტის მთავარ ქუჩაზე შეაბიჯა, მიხვდა, რომ იქ მორალური ატმოსფერო წინა ლამის შემდეგ საგრძნობლად შეცვლილიყო. მის დანახვაზე სერიოზულ საუბარში გართული ორი თუ სამი ადამიანი უმალ გაჩუმდა და ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა. ირგვლივ რელიგიური უქმეებისთვის დამასასიათებელი სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, რაც ასეთ უქმეებს მიუჩვეველი მოსახლეობისთვის ცუდი ნიშანი იყო.

ამ ნიშნებს ჯონ ოუკერსატის მშვიდი და ლამაზი სახე ნაკლებად ამჟღავნებდა. სხვა საქმე იყო, იცოდა თუ არა მან, რა იდგა ამ ყველაფრის უკან. „მგონი, ვიღაცას ეძებენ და ის ვიღაც, სავარაუდოდ მე ვარ“, – გაიფიქრა მან. ჯონმა ცხვირსახოცი, რომლითაც თავის მოხდენილ ჩექმებს პოკერ ფლეტის წითელი მტვერი მოაშორა, ისევ ჯიბეში ჩაიდო და მსგავს ვარაუდებზე ფიქრს თავი ანება.

სინამდვილეში, პიკერ ფლეტი მართლა „ვიღაცას ეძებდა“. ცოტა ხნის წინ მან რამდენიმე ათასი დოლარი, ორი ძვირადლირებული ცხენი და გამოჩენილი მოქალაქე დაკარგა. მას ახლა სამართლიანი რეაქციის შეტევები ჰქონდა, რომელიც ისეთივე უკანონო და უმართავი იყო, როგორც მისი გამომწვევი

ქმედებები. საიდუმლო კომიტეტმა გადაწყვიტა, ქალაქისთვის ყველა უღირსი პირი მოეშორებინა, რაც აღსრულდა კიდეც იმ ორ მოქალაქესთან დაკავშირებით, რომლებიც ახლა ხევში, ჭადრის ტოტებზე ეკიდნენ, სხვა არასასურველი პირებისგან განსხვავებით, ქალაქიდან რომ გააძევეს. რამდენიმე მათგანი, სამწერაოდ, ქალბატონი იყო და მხოლოდ მათი სქესის მიმართ პატივისცემის გამო ვიტყვი, რომ ეს მათი უღირსობა პროფესიული გახლდათ; ბოროტების სწორედ ასეთი ზერელე სტანდარტების საფუძველზე მისცა პოკერ ფლეტმა თავს უფლება, მსაჯულის როლში გამოსულიყო.

მართალი იყო ჯონ ოუკერსატი, როცა ვარაუდობდა, რომ ისიც ამ კატეგორიაში შეიყვანეს. კომიტეტის რამდენიმე წევრი დაუინებით მოითხოვდა მის ჩამოხრჩობას. ამით ისინი ორ კურდღელს დაიჭერდენენ – მისი სასჯელი სამაგალითოც იქნებოდა და გამართლებულიც იმისათვის, რომ მათ მისტერ ოუკერსატთან მოგებული თანხები უკან დაებრუნებინათ. „უსამართლობა იქნება, რომ ამ ახალგაზრდამ – ამ სრულიად უცხო ვინმემ რორინგ კემპიდან – ჩვენი ფული წაიღოს“, განაცხადა ჯიმ უილერმა; საბოლოოდ, ამ ადგილობრივ ვიწრო ცრურწმენაზე უსამართლობის იმ გულწრფელმა გრძნობამ გაიმარჯვა, რომე-

ლიც ჯერ კიდევ ცოცხლობდა იმათ გულებში, ვინც ბანქოში ჯონ ოუკერსტი დაამარცხა.

ჯონ ოუკერსტი თავის სასჯელს ფილოსოფიური სიმშვიდით შეხვდა და მაშინაც არ აღელებულა, როცა მსაჯულების ყოფილს უყურებდა. რისი მოთამაშე იქნებოდა, რომ ბედისნერას არ დამორჩილებოდა. მისთვის ცხოვრება, საუკეთესო შემთხვევაში, გაურკვეველი თამაში იყო და სჯეროდა, რომ პროცენტულად უპირატესობა მუდამ ბანქოს დამრიგებლის მხარეს იყო.

შეიარაღებული ადამიანების ჯგუფმა პოკერ ფლეტიდან გაძევებული ბოროტ-მოქმედება დასახლების გარეუბნებამდე მიაცილა. ჯონ ოუკერსტის გარდა, რომელიც ცივისისხლიან, თავზეხელალებულ კაცად იყო ცნობილი და ამიტომ შეიარაღებული ესკორტიც სწორედ მის დასაშინებლად იყო გამოყოფილი, ექსტრადირებულებს შორის იყვნენ: ახალაგზარდა ქალი, რომელსაც შინაურულად „ჰერცოგის მეუღლეს“ ეძახდნენ, კიდევ ერთი ქალი, მეტსახელად „დედა შიფრონი“ და ოქროს ქურდობაში ეჭვმიტანილი და ცნობილი ლოთი, „ბიძია ბილი“. არც ბრალდებულებს და არც მათ გამცილებლებს მთელი გზა ხმა არ ამოუღიათ და მხოლოდ მაშინ, როცა მათ პოკერ ფლეტის უკიდურეს საზღვარზე მდებარე ხევს მიაღწიეს, რაზმის უფროსმა მოკლედ და კონკრეტულად განაცხადა, რომ გასახლებულებს ეკრძალებოდათ უკან დაბრუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სიკვდილი ემუქრებოდათ.

გამცილებლები წავიდნენ თუ არა, შეკავებულმა გრძნობებმაც უცებ იფეთქა – „ჰერცოგის მეუღლეს“ ისტერიკული ტირილი აუგარდა, „დედა შიფრონი“ წყევლა-კრულვას მოჰყვა, „ბიძია ბილის“ პირიდან კი ლანძღვა-გინების ნამდვილი პართიული სეტყვა წამოვიდა. მხოლოდ ფილოსოფიურად დინჯი ჯონ ოუკერსტი იყო გაჩუმებული. ის მშვიდად ისმენდა, თუ როგორც უნდოდა „დედა შიფრონის“ ვილაცისთვის მკერდიდან გული ამოეგლიჯა, როგორ იმეორებ-

და „ჰერცოგის ცოლი“ წამდაუნუმ, რომ ერჩივნა გზაში მომკვდარიყო და როგორ ბიძური სიტყვებით ილანძლებოდა „ბიძია ბილი“. ჯონი, თავისი ფენისთვის დამახასიათებელი უშუალო და კეთილი იუმირის გრძნობით, დაუინებით სთხოვდა „ჰერცოგის ქალს“ – მისი საცოდავი ჯორი, რომელზეც ახლა იჯდა, ჯონისთვის ცხენში – „ხუთ წინნკალში“ გაეცვალა; ჯონ ოუკერსტმა თანამგზავრების გული ვერც ასეთი საქციელით მოიგო. ახალგაზრდა ქალმა დამტვერილი ბუმბულები რაღაცნაირი უმწეო და ბებრული კეკლუცობით შეისწორა, „დედა შიფრონმა“ „ხუთი წინნკალის“ პატრონს ბოროტი მზერა ესროლა, ხოლო „ბიძია ბილმა“ მთელ კომპანიას ხმამაღალი ქოქოლა დააყარა.

გზა სენდი ბარისკენ – იმ ბანაკისკენ, რომელსაც პოკერ ფლეტის გარდამქმნები გავლენები ჯერ კიდევ არ შეხებოდა და რომელსაც, სავარაუდოდ, ჩვენი ემიგრანტებისთვის თავშესაფარი უნდა მიეცა – ციცაბო მთაგრეხილზე გადიოდა. ბანაკამდე ერთი დღის სავალი იყო. მგზავრობა საკმაოდ მკაცრ პირობებში უწევდათ. წელიწადის დროის გათვალისწინებით, ჯგუფმა მალე მთისწინეთის ნოტიო, ზომიერი რეგიონები გაიარა და სიერას მშრალ, ცივ და ჯანმრთელ კლიმატურ ზონაში შევიდა. გზა ვიწრო და ძნელად სავალი იყო. შუადღისას „ჰერცოგის მეუღლე“ უნაგირიდან ჩამოხტა, მიწაზე გაგორდა და განაცხადა, რომ გზის გაგრძელებას აღარ აპირებდა. ჯგუფმა სვლა შეწყვიტა.

ადგილი განსაკუთრებით ველურად და შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. სამი მხრიდან შიშველი გრანიტის სალი კლდეებით გარშემორტყმული, უფსკრულის თხემისკენ ოდნავ დაფერდებული ტყიანი ამფითეატრი ხეობას ზევიდან გადმოჰყურებდა. ის, უდავოდ, ყველაზე შესაფერისი ადგილი იყო ბანაკის გასაშლელად, თუკი ამის გაკეთება საერთოდ მიზანშეწონილი იყო. ჯონ ოუკერსტმა კარგად იცოდა, რომ მათ სენდი ბარამდე უკვე თითქმის ნახევარი გზა ჰქონდათ გავლილი, მაგრამ ისინი

შესვენებისთვის არ იყვნენ მზად, რადგან არც საკმარისი აღჭურვილობა და არც სურსათ-სანოვაგე არ გააჩნდათ. ამის შესახებ მან თავის კომპანიონებს სიტყვა ფრთხილად გადაუკრა და თან ფილოსოფიური კომენტარიც დაურთო, რომ სისულელე იყო „თამაშის დასრულებამდე ხელების მაღლა აწევა“. სამაგიეროდ, ალკოჰოლი ჰქონდათ მომარაგებული, რომელიც არსებულ საგანგებო მდგომარეობაში მათ საჭმელს, საწვავს, დასვენებას და შორსმჭვრეტელობის უნარს შეუცვლიდა. მისი შეგონების მიუხედავად, ცოტა ხნის შემდეგ, ყველა მეტ-ნაკლებად შეზარხოშებული იყო. „ბიძია ბილი“, რომელიც ასე მტრულად იყო განწყობილი, უცებ გამოთაყვანდა, „ჰერცოგის მეუღლეს“ გული აუჩუყდა, ხოლო „დედა შიფტონბა“ ხვრინვა ამოუშვა. ერთადერთი ჯონ ოუკერსტი იდგა ფეხზე, ლოდს მიყრდნობოდა და კომპანიონებს თვალს მშვიდად ადევნებდა.

ჯონ ოუკერსტი არ სვამდა. ეს მას პროფესიულ საქმიანობაში უშლიდა ხელს, რომელიც სიმშვიდეს, უემოციობას და საღ გონებას მოითხოვდა. მისი თქმით, მას ამის ფუფუნება არ ჰქონდა. ფეხზე მდგარ, თავისი დევნილი კომპანიონების შემხედვარე ჯონ ოუკერსტს, საძრახისი საქმიანობის, ჩვევებისა და მანკიერებების გამო უცებ მარტოობის განცდა დაუფლა და, ცხოვრებაში პირველად, თავი დამცირებულად იგრძნო, თუმცა უცბადვე გამოერკვა, შავი ფერის ტანისამოსი დაბიურტყა, ხელ-პირი დაიბანა და წუხილი დროებით დაივიწყა. მართალია, ჯონს სუსტი და მასზე უფრო უბედური კომპანიონების განსაცდელში მიტოვება არასდროს უფიქრია, მაგრამ ის იმ სულიერ მდელვარებასაც ვერ განიცდიდა, რომელიც, რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, ყველაზე მეტად განაპირობებდა იმ სიმშვიდეს და აუდელვებლობას, რის გამოც მან ასე გაითქვა სახელი. ჯონი იდგა და შესცეროდა ფიჭვების ზევით, ათასი ფუტის სიმაღლეზე აზიდულ პირქუშ კლდეებს, ავისმომასწავებლად მოქუფრულ ცას, ქვევით გადაშლილ ხეობას, რომელიც

ნელ-ნელა უკვე ჩრდილებში იძირებოდა, როცა უცებ გაიგონა, როგორ დაუძახა ვილაცამ.

გზაზე მხედარი ნელ-ნელა ამოდიოდა. ახალმოსულის ნორჩ და გახსნილ სახეში ჯონმა სენდი ბარელი ტომ სიმსონი, მეტსახელად „გულალალი“ შეიცნო. ჯონმა ის რამდენიმე თვის წინ, „პატარა თამაშის“ დროს გაიცნო და გულუბრყვილო ჭაბუქს, მისთვის ჩვეული სიმშვიდით, მთელი მისი ავლადიდება, დაახლოებით ორმოცი დოლარი მოუგო. თამაში რომ დასრულდა, ჯონ ოუკერსტმა ახალგაზრდა მოთამაშე კარის უკან გაიყვანა და უთხრა: „ტომი, კარგი ახალგაზრდა ხარ, მაგრამ, როგორც მოთამაშე გროშია შენი ფასი. ნუდარ ითამაშებ“. ჯონმა მოგებული ფული ჭაბუქს უკან დაუბრუნა და ოთახიდან თავაზიანად გაისტუმრა. ის დღე იყო და ის დღე, ტომ სიმსონი ჯონ ოუკერსტის ყურმოქრილი მონა გახდა.

ჭაბუქს რომ ეს ფაქტი არასდროს დავიწყებია, მის ყმანვილურ და გულლია მისალმებაში გამოჩნდა. მისი თქმით, ის ბედის საძიებლად პოკერ ფლეტში მიდიოდა. „მარტო?“ – ჰკითხა ჯონმა. „ოჱ, არა, არც მთლად სულ მარტო“, – მიუგო ტომმა და მხიარულად ჩაიხითხითა. ის ფაინი ვუდათან ერთად გამოქცეულიყო. მისტერ ოუკერსტს ხომ ახსოვს ფაინი? ტემპერენს ჰაუზში მათ მაგიდას რომ ემსახურებოდა. დიდი ხანია, რაც დანიშნულები იყვნენ, მაგრამ მოხუცი ჯეიკ ვუდსი იყო წინააღმდეგი. ამიტომ, იძულებული გახდნენ, გაპარულიყვნენ და დასაქორწინებლად პოკერ ფლეტისკენ ეჭირათ გეზი, როცა მათ გადაეყარენ. მგზავრობამ ისინი ძალიან დაქანცა, მაგრამ როგორ გაუმართლათ, რომ ამ ბანაკში და ამ ხალხთან მოხვდნენ. ეს ყველაფერი „გულალალმა“ ჯონ ოუკერსტს სხაპასხუპით მიაყარა; ამ დროს ფაინი, სახეაწითლებული თხუთმეტიოდე წლის ჩაფსკვნილი, მაგრამ ეშხიანი ქალწული, უჩინრად ფიჭვის ხეს რომ ეფარებოდა, სამალავიდან გამოვიდა და თავის შეყვარებულს გვერდით ამოუდგა.

ჯონ ოუკერსტი იშვიათად იწუხებ-

და თავს ზედმეტი გრძნობებით და კი-დევ უფრო იშვიათად მზრუნველობით, მაგრამ ახლა ის ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ეს სიტუაცია მათ კარგს არაფერს უქადათ, თუმცა ვითარება ისევ ცი-ვი გონებით შეაფასა და „ბიძია ბილს“, რომელიც რაღაცის თქმას აპირებდა, ნიხლი წაჲკრა. ამ უკანასკნელსაც ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი იმდენი სალი აზრი, რომ მიხვდა, მისტერ ოუკერ-სტის ნიხლი ის დაუძლეველი ძალა იყო, რომელთან ხუმრობაც არ შეიძლებოდა. ჯონ ოუკერსტი ამაოდ ცდილობდა ტომ სიმსონისთვის დარჩენა გადაეთ-ქმევინებინა. ისიც კი უთხრა, რომ მათ არც საქმარისი სურსათ-სანოვაგე ჰქონდათ და არც ბანაკის მოწყობისთვის საჭირო საშუალებები, მაგრამ, სამწუ-საროდ, ჯონის არგუმენტების პასუხად „გულალალმა“ ჯგუფის წევრები დაარ-წმუნა, რომ მათ განკარგულებაში სურ-სათ-სანოვაგით დატყირთული კიდევ ერთი ჯორი და ხის ქოხი იყო, რომელიც მან გზის მახლობლად აღმოაჩინა. „ფა-ინი იქ მისის ოუკერსტიან ერთად იც-ხოვრებს“, – თქვა „გულალალმა“ და ხე-ლი „ჰერცოგის მეუღლისკენ“ გაიშვირა. – „ჩემს თავს მე თვითონვე მივხედავ“.

მხოლოდ ჯონ ოუკერსტის დამაჯე-რებელმა ნიხლმა შეაჩერა „ბიძია ბილი“, რომ ხარხარი არ აეტეხა. ისი იძულებული გახდა, ხევიდან რაც შეიძლება შორს გაქცეულიყო, რომ წინასწორობა ალედ-გინა. იქ მან ფეხების ბაკუნით, გრიმასე-ბით და მისთვის ჩვეული ბილწიტყვაო-ბით საკუთარი ემოციები მაღალ ფიჭვის ხეებს გაუზიარა; უკან რომ დაბრუნდა, დაინახა, რომ მისი კომპანიონები კო-ცონთან მიმჯდარიყვნენ და აშკარად მეგობრულად მასლაათობდნენ, რისი მიზეზიც უცნაური აცივება და მოლ-რუბლულობა უნდა ყოფილიყო. ფაინი იმპულსურად და ქალწულებისთვის და-მახასიათებელი გულწრფელობით „ჰერ-ცოგის მეუღლეს“ რაღაცას უყვებოდა, ეს უკანასკნელი კი ისეთი ინტერესითა და აღმაფრენით უსმენდა, დიდი ხანია რომ არავის ენახა. „გულალალი“ ისე-თივე ემოციებით ებაასაბედა ჯონ ოუკ-

ჰერსტსა და „დედა შიფტონს“, რომლე-ბიც, სინამდვილეში, მას უფრო თავაზი-ანობის გამო უსმენდნენ.

„რა არის ეს, წყეული პიკნიკი რომ მოგინერია?“ – გაბრაზებით დაიყვირა „ბიძია ბილი“ და თვალი ჩვენს ტყის ბი-ნადრებს, მოელვარე კოცონის ალს და იქვე ახლოს დაბმულ ცხოველებს მოავ-ლო. უცებ მის ალკოჰოლით გაუდენთილ გონებაში რაღაც აზრმა გაიელვა. ეს აზ-რი აშკარად დადებითი იყო, რადგანაც მან პირში მუშტი ჩაიდო და ისევ ფეხე-ბის ბაკუნს მოჰყვა.

ჩრდილები ნელ-ნელა მთებისკენ აცოცდნენ; ფიჭვების კენწეროებს მსუ-ბუქი წიავი არხევდა და მათ გრძელ და პირქუშ დერეფნებში კვნესოდა. ნახევ-რად დანგრეული ქოხი ქალებისთვის სა-ხელდახელოდ შეაკეთეს და ფიჭვის ტო-ტებით გადახურეს. მიჯნურებმა დაშო-რების ნიშნად ერთმანეთს აკოცეს და ეს კოცნა ისეთი უშუალო და გულწრფელი იყო, რომ მისმა ხმამ, ალბათ, ფიჭვების შრიალიც კი გადაფარა. უბრალოების ამ უკანასკნელმა ნათელმა მაგალითმა „ჰერცოგის მეუღლეც“ და გულლვარ-ძლიანი „დედა შიფტონიც“ ისე გააოცა, რომ უსიტყვოდ შებრუნდნენ და ქოხში გაუჩინარდნენ. კოცონი ისევ აგიზგიზ-და, მამაკაცები იქვე, კარებთან დაწვნენ და რამდენიმე წუთში ჩაეძინათ.

ჯონ ოუკერსტის ფხიზელი ძილი ჰქონდა. მას გათენებისას გაეღვიძა. გა-ყინული და გათოშილი იყო. ჩამქრალი ცეცხლის დანთებას რომ ცდილობდა, ძლიერი ქარისგან უცებ ლოყაზე რა-ღაც იგრძნო; ჯონს სისხლი გაეყინა – ეს თოვლი იყო!

ჯონ ოუკერსტი წამოხტა, უნდოდა მძინარე კომპანიონები გაეღვიძებინა; დროის დაკარგვა ალარ შეიძლებოდა; როცა იმ მხარეს გაიხედა, სადაც „ბი-ძია ბილი“ უნდა წოლილიყო, ნახა, რომ ის იქ ალარ იყო. გონებაში რაღაც ეჭვმა გაჰკრა და ბაგეებიდან წყევლა-კრულვა აღმოხდა. შემდეგ იქითკენ გაიქცა, სა-დაც ჯორები ება; ისინიც გამქრალიყვე-ნენ. თოვლს უკვე მათი კვალიც კი წა-ეშალა.

წუთიერი აღელვების შემდეგ ჯონ ოუკერსტი, ჩვეული სიმშვიდით, კვლავ კოცონთან დაბრუნდა. მძინარე კომპანიონების გაღვიძება აღარ უცდია. „გულალალი“ მშვიდად თვლემდა; მხიარულ, ჭორფლიან სახეზე ლიმილი უთამაშებდა; ქალწულ ფაინის მასზე უფრო დასუსტებული დობილების გვერდით ეძინა, ისე ტკბილად, გეგონებოდა ციური ანგელოზები დარაჯობდნენ; ჯონ ოუკერსტმა მხრებზე საბანი წაიხურა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და გარიურაჟს დაელოდა. ის ნელა-ნელა შემოიპარა, მობზრიალე თოვლის ფანტელების თვალისმომჭრელ ბურუსში. ის, რაც ჩანდა, საოცრად იყო სახეშეცვლილი. ჯონმა ხეობას გადახედა და ანმყო და მომავალი ერთი სიტყვით შეაჯამა – „ნამქერი!“

როცა სურსათ-სანოვაგე საგულდაგულოდ აღწერეს, რომელიც, ჩვენი დევნილებისათვის, საბედნიეროდ, ქოხში ინახებოდა და „ბიძია ბილის“ მარჯვე თითებს ამიტომაც გადაურჩა, აღმოჩნდა, რომ გაფრთხილების და მომჭირნეობის შემთხვევაშიც კი ის მაქსიმუმ ათი დღე თუ ეყოფოდათ. „ეს ნიშნავს, რომ, თუ შენ ჩვენთან აპირებ დარჩენას, – და თუ არ აპირებ, მით უკეთესი – გირჩევნია მოიცადო, სანამ „ბიძია ბილი“ სურსათ-სანოვაგით არ დაბრუნდება“, – ჩუმად გადაულაპარაკა „გულალალს“ ჯონ ოუკერსტმა. გაურკვეველი იდუმალი მიზეზის გამო, ჯონ ოუკერსტს ვერ გადაეწყვიტა, გაემუდავნებინა თუ არა ის ფაქტი, რომ „ბიძია ბილი“ არამზადა აღმოჩნდა; სწორედ ამ მიზეზის გამო შეთხბა მან ის ჰიპოთეზა, რომ კემპის ირგვლივ ხეტიალის დროს „ბიძია ბილი“ ცხოველები დაუფრთხა და გაექცა. ჯონმა „ჰერცოგის მეულლე“ და „დედა შიფრონი“ გააფრთხილა, რომლებმაც, რა თქმა უნდა, მათი კომპანიონის გაქცევის შესახებ უკვე იცოდნენ. „სიმართლეს თავის დროზე გაიგებენ. არ ლირს ახლა მათი შეშინება“, – სერიოზული ტონით თქვა ჯონმა.

ტომ სიმპსონმა მთელი თავისი ამქეყნიური ავლადიდება განსაკარგავად ხომ ჯონ ოუკერსტს გადასცა და მათი

იძულებითი იზოლაციის პერსპექტივა-საც, როგორც ჩანდა, საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებდა. „ერთი კვირით კარგ ბანაკს მოვიწყობთ, შემდეგ თოვლიც დადნება და ყველა ერთად დავბრუნდებით“. ჭაბუკის მხიარული განწყობა და მისტერ იუკერსტის სიმშვიდე სხვებსაც გადაედოთ. „გულალალმა“ ფიჭვის ტოტებისგან ქოხი სახელდახელოდ გადახურა; „ჰერცოგის მეულლემ“ ფაინის სათავ-სოს ინტერიერის მოწყობასთან დაკავშირებით მითითებები მისცა და ეს ისეთი გემოვნებით და ტაქტით გააკეთა, რომ პროვინციელ ქალწულს ცისფერი თვალები ბოლომდე გაუფართოვდა. „ახლა დაგრნომუნდი, რომ თქვენ პოკერ ფლეტში ნატიფ ნივთებთან გექნებოდათ საქმე“, – უთხრა ქალს ფაინიმ. ამის გაგონებაზე „ჰერცოგის მეულლე“ სწრაფად შეპრუნდა, რომ ქალწულს მისი აწითლებული სახე არ დაენახა. „დედა შიფრონმა“ ფაინის ანიშნა, „ლაყაფი“ შეეწყვიტა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა გზის ძებნით დაქანცული ჯონ ოუკერსტი უკან დაბრუნდა, მას შორიდან ბედნიერი სიცილის ხმა მოესმა; სალი კლდეები ექოს გამოსცემდნენ. ჯონი უცებ შიშისაგან შედგა; მას, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, ვისკი გაახსენდა, რომელიც წინდახედულად გადამალა. „მთლად ვისკისაც არ გავს“, – თავისთვის ჩაილაპარაკა მოთამაშემ; ჯონი, როცა ჯერ კიდევ დამაბრმავებელ გრიგალში მოგიზგიზე კოცონი და მის ირგვლივ შემომსხდარი ადამიანები დაინახა, მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, კომპანია „მხიარულ ხასიათზე“ რამაც მოიყვანა.

ვერ გეტყვით, ვისკისთან ერთად ჯონ ოუკერსტმა ბანქოც თუ გადამალა, რომელიც, მისი აზრით, მათ დანიშნულების ადგილამდე მისვლაში შეუშლიდა ხელს. ფაქტია, რომ, როგორც „დედა შიფრონმა“ ბრძანა, ჯონს მთელი საღამოს განმავლობაში სიტყვა „ბანქო“ ერთხელაც არ დასცდენია“. სამაგიეროდ, ისინი დროს აკორდეონზე დაკვრაში კლავდნენ, ტომ სიმსონმა თავისი ფუთიდან დიდის ამბით რომ ამოაძვრინა. ინსტრუმენტით მანიპულირებასთან დაკავშირებული გარკვეული სირთულე-

ების მიუხედავად, ფაინი ვუდსმა კლავიშებს რამდენიმე უღიმლამ მელოდია ამოგლიჯა; აკომპანეირენტს მას „გულალალი“ უწევდა წყვილი ძვლის კასტანეტით. სალამოს დამაგვირგვინებელი მოვლენა მაინც მოლაშქრეთა საგალობელი იყო, რომელიც ხელისხმარია კიდებულმა მიჯნურებმა მთელი სერიოზულობითა და შემართებით დასჭექეს. ვშიშობ, რომ უფრო მეტად იმ ერთგვარი შეუპოვარი ტონისა და საგალობლის მისამლერში კოვენანტერის რიტმული მოძრაობის და არა მისი რელიგიური ხასიათის გამო იყო, რომ ის ენთუზიაზმი დანარჩენებსაც გადაედოთ და მისამლერში ყველა ერთად ამღერდა:

„მეამაყება, რომ ვცხოვრობ ღვთის სამსახურში,

და ვფიცავ, მოვკვდე მის ლაშქარში“.

გრიგალი ფიჭვებს არხევდა და საცოდავი დევნილების თავზე წიოდა და ბრუნავდა, მათი ტრაპეზიდან ატაცებული ფიფქები კი, ალთქმასავით, ზეცისაკენ მიიღოვოდნენ.

შუალამეს გრიგალი ჩაწყნარდა, ღრუბლები გადაიყარა და მძინარე ბანაკის თავზე კაშკაშა ვარსკვლავები აკიაფდნენ. ჯონ ოუკერსტმა, რომელსაც, თავისი პროფესიული ჩვევიდან გამომდინარე, ცოტა ძილიც ჰყოფნიდა, სადარაჯოზე დგომა ტომ სიმსონთან გაინაწილა, თუმცა იმდენი კი მოახერხა, რომ ამ მოვალეობის დიდი ნაწილი საკუთარ თავზე აიღო. მან ტომს ბოდიშის მოხდით აუნყა, რომ მას „ძილის გარეშე ხშირად ერთი კვირა გაუძლია“. „მაგ დროს რას აკეთებდით?“ – ჰკითხა ტომმა. „პოკერს ვთამაშობდი“, – მიუგო ჯონმა. „კაცს რომ ბედი გაგილიმებს, ძალლის ბედი, დაღლილობას ვეღარ გრძნობ. ჯერ ბედი ნებდება“. „ბედი...“ – განაგრძო მოთამაშემ ჩაფიქრებული სახით. „მაგარი უცნაური რამეა. მის შესახებ დარწმუნებით მხოლოდ ის ვიცით, რომ ის ცვალებადია. მას შემდეგ, რაც პოკერ ფლეტიდან წამოვედით, ბედი არ გვწყალობს. ახლა შენ მოხვედი და შენც ჩვენი ბედი გაიზიარე. სანამ ხელში სწორი კარტი გაქვს, არაფერი გიჭირს“, – უადგილო

მხიარულებით აღნიშნა მოთამაშემ.

„მეამაყება, რომ ვცხოვრობ ღვთის სამსახურში,

და ვფიცავ, მოვკვდე მის ლაშქარში“.

მესამე დღე დადგა. თეთრად გადაპენტილი ხეობიდან ამომავალ მზის შუქზე ჩვენი დევნილები საუზმისთვის სურსათ-სანოვაგეს იყოფდნენ; მარაგი ნელნელა ელეოდათ. იქაური მთის კლიმატის ერთ-ერთი თავისებურება ის იყო, რომ მისი სხივები თავიანთ გულუხვ სითბოს, თითქოსდა წარსულისადმი სევდანარევი თანაგრძნობის ნიშნად, მთელ ზამთრის პეიზაჟს უნანილებდნენ, მაგრამ ის ნამქერს წამქერზე ამატებდა და ქოხის ირგვლივ ზვინებად აწყობდა – უიმედო, ულევი, გაუკვალავი თოვლის ზღვა თეთრად ლივლივებდა იმ კლდოვან ნაპირებზე, რომლებსაც ჩვენი დევნილები ჯერ კიდევ აფარებდნენ თავს. კრისტალურად სუფთა ჰაერში კარგად ჩანდა, რამდენიმე მილის იქით, პოკერ ფლეტის სოფლის ტიპის დასახლებიდან, კვამლი როგორ ამოდიოდა. „დედა შიფტონმა“ ეს შენიშნა და შორეული, კლდოვანი ციხის მწვერვალიდან მას კიდევ ერთხელ შეუთვალა წყევლა-კრულვა. ეს მისი მხრიდან ბილნისტყვაობის ბოლო მცდელობა იყო და ამიტომაც ლანძლვამ განსაკუთრებული დიდებულებით გაიჟდერა. „დედა შიფტონმს“ გულზე მოეშვა და „ჰერცოგის ცოლს“ გადაუჩურჩულა: „მიდი, შენც შეუკურთხე და ნახავ“. ამის შემდეგ ის „ბავშვის“ (ასე უძახდნენ ის და „ჰერცოგის მეუღლე“ მოფერებით ფაინის) გართობის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ფაინიც აღარ იყო უკვე ბარტყი, მაგრამ, ჩვენი ქალბატონების მანუგეშებელი და ორიგინალური თეორიის თანახმად, მათ ამით იმის თქმა უნდოდათ, რომ ფაინი არ იგინებოდა და უწესოდაც არ იქცეოდა.

როდესაც ხეობაში ღამე კვლავ შემოიპარა, აკორდეონის გამჭოლი ჰანგები ხან ხმამაღლა და ხანაც ხმადაბლა, კრუნჩხვებად და ღრმა ამოოხვრებად იღვრებოდნენ მოგიზგიზე კოცონის ირგვლივ, მაგრამ, რადგან მუსიკამ საკვე-

ბის უკმარისობით გამოწვეული მტკივნეული სიცარიელე ვერ შეავსო, ფაინიმ მეგობრებს ყურადღების გადატანის ახალი საშუალება შესთავაზა – ისტორიების მოყოლა; რომ არა „გულალალი“, ეს გეგმა თავიდანვე განწირული იქნებოდა, რადგან არც ჯონ ოუკერსტის და არც მის მდედრობითი სქესის კომპანიონებს არ ჰქონდათ დიდი სურვილი, საკუთარ გამოცდილებაზე ელაპარაკათ. რამდენიმე თვის წინ „გულალალი“, შემთხვევით, პოუპის მიერ თარგმნილი „ილიადას“ იშვიათ ეგზემპლარს გადაანუდა და ახლა მან კომპანიონებს შესთავაზა, მათვის ამ პოემის ძირითადი ისტორიები მოეთხოვთ. მას ყველა კონფლიქტი კარგად ჰქონდა დასწავლილი, მაგრამ რადგან სიტყვები აღარ ახსოვდა, ყველაფერს სენდი ბარის ადგილობრივ დიალექტზე გადმოსცემდა. ასე რომ, დარჩენილი ღამის განმავლობაში დედამიწაზე ისევ ჰომეროსის ნახევრადლმერთები დააბიჯებდნენ. ქარი ქროდა და თან ერთმანეთს ტროელი ყაჩალები და ცბიერი ბერძნები ერკინებოდნენ, ვეება ფიჭვებს კი თითქოს პელევსის შვილის მრისხანების წინაშე თავი დაეხარათ. ჯონ ოუკერსტი ჭაბუკს კმაყოფილების გრძნობით უსმენდა. ყველაზე მეტად ჩვენი დევნილები „ეშილევსის“, – ასე მოიხსენიებდა „გულალალი“ ფეხმარდ აქილევს – ბედით დაინტერესდნენ.

ასე რომ, ცოტა საკვებით, მაგრამ ბევრი ჰომეროსით და აკორდეონით ჩვენმა დევნილებმა კიდევ ერთი კვირა გაატარეს. მზემ ისინი კვლავ მიატოვა და დედამიწას ტყვიისფერი ციდან თოვლის ფიფქები აცრიდა. დღითიდლე თოვლის ზვინები მათკენ სულ უფრო და უფრო ახლოს მოიწევდნენ და თავიანთ მარწუხებში აქცევდნენ იქამდე, სანამ მათი ადგილსამყოფელი ციხეს არ დაემსგავსა, საიდანაც მხოლოდ მათ ზევით, ოცდაათ ფუტზე აზიდული თვალისმომჭრელად თეთრი, ნამქერით დაფარული კედლები მოჩანდა. კოცონის დანთება სულ უფრო და უფრო ჭირდა; საქმეს არც მათ ახლოს წარმოეული და ნამქერში სანახევროდ დაფლული ხის ტოტები შველოდა,

მაგრამ არავის დაუჩივლია. მიჯნურებმა პირქუშ პერსპექტივას ზურგი შეაქციეს, ერთმანეთს თავლებში შესციცინებდნენ და თავს ბედნიერად გრძნობდნენ. ჯონ ოუკერსტი მის მიერ წაგებულ თამაშს მშვიდად შეხვდა. „ჰერცოგის მეუღლებ“, რომელიც ასეთი ხალისიანი არასდროს ყოფილა, თავის თავზე იტვირთა ფაინზე ზრუნვა. მხოლოდ „დედა შიფტონი“ (ოდესლაც მის კომპანიონებს შორის სიმტკიცით გამორჩეული) დღითიდლე ჭკნებოდა და იღეოდა. მეათე დღეს, შუალამეს, მან ჯონ ოუკერსტის მოუხმო. „მე მივდივარ“, – მისუსტებული ხმით ძლივს წარმოთქვა მან. „მაგრამ ამის შესახებ არავის არაფერი უთხრა. ბავშვები არ გააღვიძო. თავს ქვემოთ რომ ფუთა მიდევს, გამოიღე და გახსენი“. ჯონი ასეც მოიქცა. ფუთაში „დედა შიფტონის“ კუთვნილი ბოლო ერთი კვირის სამყოფი საკვების ხელუხლებელი პორცია იდო. „ეს ბავშვს მიეცი“, – თქვა მან და ხელი მძინარე ფაინისკენ გაიშვირა.

„შიმშილით მოგიყლავს თავი“. – თქვა მოთამაშემ. „ხო, ამას ასე ეძახიან“, – მიუგო ქალმა, ისევ დაწვა, სახით კედლისკენ გადაბრუნდა და სული მშვიდად განუტევა.

იმ დღეს აკორდეონი და ძვლის კასტანეტები გვერდზე გადადეს და ჰომეროსიც დაივინყეს. „დედა შიფტონის“ ცხედარი თოვლიან მიწას რომ მიაბარეს, ჯონ ოუკერსტმა „გულალალი“ გვერდით გაიყვანა და მის მიერ ძველი სასაპალნე უნაგირისგან გაკეთებული წყვილი თხილამური აჩვენა. „ასიდან ერთი შანსი არსებობს, რომ ის გადაარჩინ“, – თქვა ჯონმა და ფანიზე მოუთითა; „მაგრამ ის იქ არის“, – თქვა მან და ხელი ჰოკერ ფლეტისკენ გაიშვირა. „თუ იქამდე ორ დღეში ჩააღწევ, ჩათვალე, რომ გადაბრჩენილია“. „და თქვენ?“ – ჰკითხა ტომ სიმსონმა. „მე აქ დავრჩები“, – დაუფიქრებლად უპასუხა ჯონმა.

ჩახუტებული მიჯნურები ერთმანეთს დიდხანს ემშვიდობებოდნენ.

„თქვენც მიდიხართ, არა?“ – ჰკითხა ჯონს „ჰერცოგის მეუღლემ“, როდესაც

ნახა, რომ ჯონი აშკარად „გულალალის“ გასაცილებლად ემზადებოდა.

„შოლოდ კანიონამდე“, – მიუგო ჯონმა.

შეძეგ ჯონ ოუკერსტი უცებ შეტრიალდა და „ჰერცოგის მეუღლეს“ აკოცა. ქალს ფერმერთალ სახეზე ალმური მოედო და გაოცებისგან აკანკალებული ხელ-ფეხი გაუშეშდა.

დამე ისევ დაბრუნდა და გრიგალი და ნამქერი მოიტანა, მაგრამ ჯონ იუკერსტი აღარ დაბრუნებულა. „ჰერცოგის მეუღლემ“, რომელიც კოცონის დანთებას ცდილობდა, ნახა, რომ ვიღაცას ჩუმად ქოხის გვერდით რამდენიმე დღის სამყოფი საწვავი დაეყარა. ქალს თვალზე ცრემლი მოადგა და შებრუნდა, ფაინის რომ არ შეემჩნია.

ქალებს ცუდად ეძინათ. დილით, როცა მათ ერთმანეთს თვალებში ჩახედეს, იქ საკუთარი ბედი ამოიკითხეს. ორივე დუმდა, მაგრამ ფაინი, რომელსაც იმ წუთში თავი უფრო ძლიერად მიაჩნდა, „ჰერცოგის მეუღლესთან“ ახლოს მიიწია და ხელი წელზე მოხვია. მთელი დღე ამ განწყობით დარჩნენ. იმ ღამეს გრიგალი განსაკუთრებით გახელდა, დამცავი ფიჭვები წააქცია და ბოლოს ქოხშიც შეიჭრა.

გათენებისას ცეცხლი ველარ გააღვივეს და ისიც წელ-წელა ჩაქრა. როცა ნაკვერჩხალი გაშავდა, „ჰერცოგის მეუღლე“ ფაინისთან ახლოს მიცოცდა და ხანგრძლივი სიჩუმე დაარღვია: „ფაინი, ლოცვა შეგიძლია?“, „არა, ძვირფასო“, – უბრალოდ მიუგო ქალწულმა. „ჰერცოგის მეუღლემ“ შვება იგრძნო; რატომ, თვითონაც არ იცოდა; შემდეგ მან ფაინის თავი მხარზე დაადო და დადუმდა; და ასე იწვნენ ისინი ერთად, უფრო ახალგაზრდა და სუფთა და მის ქალწულებრივ მკერდზე თავმისვენებული მისი ბინძური დობილი და ასე ერთად ჩაეძინათ.

ქარი ჩაწყნარდა, თითქოს ეშინოდა, არავინ გაეღვიძებინა. ფიჭვის გრძელი ტოტებიდან დაფერთხილი ბუმბულივით მსუბუქი ნამქერი თეთრფრთიანი ფრინველებივით დაფრინავდა და მძინარეთ ზედ ეყრებოდა. მთვარე გადაყრილი ღრუბლებიდან გამოცურდა და ზევიდან დაჰყურებდა იმას, რასაც ერთ დროს ბანაკი ერქვა. ციდან მოვლენილ უზადო საბურველს ადამიანის და მისი ამქვეყნიური შრომა-გარჯის ყველანაირი ნიშანი და კვალი უწყალოდ წაეშალა.

მათ მთელი ის დღე და მეორე დღეც ეძინათ და არც მაშინ გაღვიძებიათ, როცა ბანაკის სიჩუმე ადამიანის ხმებმა და ფეხის ნაბიჯებმა დაარღვია; და როცა თანამგრძნობმა თითებმა მათ უსიცოცხლო სახეებს თოვლი მოაშორეს, მათი მშვიდი გამომეტყველებით ძნელი იყო იმის თქმა, რომელი იყო მათ შორის ის, ვინც შესცოდა. ეს თვით პოკერ ფლეტის სამართალმაც კი აღიარა, რომელიც შებრუნდა და დატოვა ისინი ჯერ კიდევ ერთმანეთზე მკლავებით გადაჯაჭვულნი.

მაგრამ ხეობის შესასვლელში, ერთერთ ყველაზე მაღალ ფიჭვის ხეზე სანადირო დანით მიმაგრებული ორი ჯვრიანი იპოვეს, რომელზეც ფანქრით გარკვევით ეწერა:


„ამ ხის ქვეშ განისვენებს ჯონ ოუკერსტის ცხედარი,

ვისაც ბედმა უმუხლოდა 1850 წლის 23 ნოემბერს

და აღესრულა 1850 წლის 7 დეკემბერს.“

და უსიცოცხლო და გაცივებული, გვერდზე „დერინგერით“ და გულში ტყვიით, მაგრამ ისევ ისეთი მშვიდი, როგორიც სიცოცხლეში იყო, თოვლის ქვეშ ინვა ის, ვინც იყო ერთდროულად ყველაზე ძლიერიც და ყველაზე სუსტიც პოკერ ფლეტელ დევნილებს შორის.

ინგლისურიდან თარგმნა
ზურაბ სონდულაშვილმა



როალდ დალი

ბატანი ვახშემალ

ოთახი იყო თბილი და სუფთა; ფარ-დები დახურული იყო და ორი მაგიდის სანათი ენთო – ერთი მის სკამთან, მეორე კი მოპირდაპირე მხარეს მდგარი ცარიელი სკამის გვერდით. უკან, ბარზე, ორი ჭიქა სოდიანი წყალი და ვისკი იდგა; თერმოსაში ახალი ყინულის კუბიკები ეყარა.

მერი მელოუნი ელოდებოდა, როდის დაბრუნდებოდა ქმარი სამუშაოდან.

დროდადრო საათს გახედავდა, თუმცა ყოველგვარი მღელვარების გარეშე, უბრალოდ სიამოვნებდა იმაზე ჭიქრი, რომ ყოველი გასული წუთი ქმრის მოსვლის უამთან აახლოებდა. სახეზე ოდნავი ღიმილი უკრთოდა, მაშინაც კი, როცა რამეს აკეთებდა. რაღაცას კერავდა საკერავზე თავდახრილი და სახეზე საოცრად მშვიდი გამომეტყველებით. მისი კანი (უკვე მეექვსე თვე იყო, რაც ბავშვს ელოდებოდა) საოცრად გამჭვირვალე გამხდარიყო; ბაგე – ნაზი, ხოლო თვალები – მშვიდი გამომეტყველებით, ადრინდელზე უფრო მუქი უჩანდა.

ზუსტად ოთხ საათსა და ორმოცდაათ წუთზე ქალი სმენად იქცა და რამდენიმე წუთში, პუნქტუალურად, როგორც ყოველთვის, ხრეშიან გზაზე საბურავების, მანქანის კარის მიჯაახუ-

ნების, ფანჯარასთან ჩავლილი ნაბიჯებისა და საკეტში გადატრიალებული გასალების ხმა გაისმა. ქალმა საკერავი გვერდზე გადადო, ადგა და ოთახში შემოსულ ქმარს კოცნით შეეგება.

„გამარჯობა, ძვირფასო“, – თქვა ცოლმა.

„გამარჯობა, ძვირფასო“, – მიუგო ქმარმა.

ცოლმა პალტო ჩამოართვა და საკიდზე დაკიდა; შემდეგ ბართან მივიდა და სასმელები მოაზიადა – უფრო მაგარი ქმრისთვის და უფრო სუსტი – თავისთვის და მალევე თავის სკამს და საკერავს დაუბრუნდა, ქმარი კი მის პირდაპირ დაჯდა. ორივე ხელში მაღალი ჭიქა ეჭირა და ანჯღალევდა; ჭიქაში ყინულის კუბიკებს წკარუნი გაუდიოდათ.

ცოლს დღის ეს მონაკვეთი მუდამ ნეტარებას ჰგვრიდა. იცოდა, რომ მისი ქმარი, სანამ პირველ ჭიქას არ გამოსცლიდა, ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა; ამ დროს თვითონ, სახლში მარტოდმარტო გატარებული მრავალი საათის შემდეგ, კმაყოფილი იყო, რომ შეეძლო ჩუმად მჯდარიყო და ქმართან ყოფნით დამტკბარიყო. უყვარდა ამ კაცის გვერდით ნებივრობა (თითქმის ისევე, როგორც მზეს მიფიცხებული შეიგრძნობს მზის სხივებს), ის მამაკაცური სითბო, რო-

მელსაც ქმართან ყოფნის დროს მისგან იღებდა. უყვარდა მისი სკამზე ჯდომის თავისუფალი მანერა, როგორ შემოდიოდა ის კარებში, როგორ მოძრაობდა ოთახში ნელი, გრძელი ნაბიჯებით. უყვარდა მისკენ მოპყრობილი მისი დაუინებული, შორეული მზერა, მისი სასაცილო ფორმის პირი, განსაკუთრებით, როცა არ იმჩნევდა, რომ დალლილი იყო და იჯდა ასე – ჩუმად, თავისითვის, სანამ ვისკი ამ დალლილობას ნაწილობრივ არ მოუხსნიდა.

„დაიღლე, ძვირფასო?“

„კი, დავიღლალე“, – მიუგო ქმარმა და ეს რომ თქვა, უცნაური რამ გააკეთა – ჭიქა, რომელიც თითქმის სანახევროდ იყო გავსებული, ზევით ასწია და ერთი მოსმით დაცალა. ცოლი მას ამ დროს არ უყურებდა, მაგრამ მისვდა, რაც გააკეთა, რადგან გაიგონა, ქმარმა ხელი ქვევით როგორ დასწია და ყინულის კუბიკები ცარიელ ჭიქის ფსკერზე როგორ ჩამოცვივდა. ქმარი წამით შეყოვნდა, შემდეგ სკამზე, წინ გადაიხარა, ფეხზე წამოდგა და სასმლის მოსატანად ნელი ნაბიჯით ბარისკენ გაემართა.

„მე მოგიტან!“ – წამოიყვირა ცოლმა და ადგილიდან წამოვარდა.

„იჯექი!“ – თქვა ქმარმა.

ქმარი რომ თავის სკამს დაუბრუნდა, ცოლმა შეამჩნია, ვისკის სიძლიერის გამო მუქი ქარვისფერი დაჰკრავდა.

„ძვირფასო, ფლოსტები ხომ არ მოგიტანო?“

„არა!“

ცოლი უყურებდა, როგორ წრუპავდა მისი ქმარი მუქ ყვითელ სითხეს და ხედავდა, სასმელი იმდენად მაგარი იყო, რომ ჭიქაში პატარა ცხიმოვან მორევებად ქცეულიყო.

„ვფიქრობ, რომ სირცხვილია, როცა შენსავით მაღალი წოდების პოლიციელს აიძულებენ, მთელი დღე აქეთ-იქით ფეხით ინანნალოს“, – თქვა ცოლმა.

ქმარმა არ უპასუხა, ამიტომ ცოლმა ისევ თავი დახარა და კერვა განაგრძო, მაგრამ ყოველ წუთს, როგორც კი ქმარი ჭიქას პირთან მიიტანდა, ცოლს ისევ ჭიქის კედლებზე მიხეთქებული

ყინულის კუბიკების წკარუნი ესმოდა.

„ძვირფასო, გინდა ცოტაოდენი ყველი მოგიტანო? დღეს ვახშამი არ მომიმზადებია, რადგან ხუთშაბათია“. „არა!“ – უთხრა ქმარმა.

„თუ ისეთი დალლილი ხარ, რომ ჭამის თავიც არ გაქვს, ჯერ კიდევ არ არის გვიან, საყინულები ბლომად ხორცია. შეგიძლია აქვე ჭამო, სკამიდან აუდგომლად“, – განაგრძობდა ცოლი.

ცოლი უცდიდა, ქმარი პასუხს როდის გასცემდა, როდის გაულიმებდა, თავს ოდნავ როდის დაუქნევდა, მაგრამ ამგვარი არაფერი მომხდარა.

„ჯერ ყველს და კრეკერებს მაინც მოგიტან“, – თქვა ცოლმა.

ცოლი სკამზე უხერხულად შეიშმუშნა და ქმარს თავისი დიდრონი თვალებით უყურებდა.

„მაგრამ უნდა ჭამო! მოგიმზადებ და თუ გინდა, ნუ შეჭამ, როგორც გინდა“. „ცოლი წამოდგა და საკერავი სანათურის გვერდით, მაგიდაზე დადო.

„დაჯექი! – უთხრა ქმარმა. ერთი წუთით, დაჯექი!“

ცოლს ნელ-ნელა შიში ეუფლებოდა.

„დაჯექი-მეთქი, დაჯექი!“ – გაიმეორა ქმარმა.

ცოლი ნელ-ნელი სკამზე დაეშვა, თან თავის გაფართოებულ, შენუხებულ თვალებს ქმარს არ აშორებდა. ქმარმა უკვე მეორე ჭიქა დაამთავრა და წარბეჭმუხნული ჭიქას მიშტერებოდა.

„მომისმინე! – თქვა ქმარმა. – რაღაც უნდა გითხრა“. „რა არის, ძვირფასო? რა ხდება?“

ახლა ის საერთოდ გაქვავდა, თავი ქვევით დახარა ისე, რომ გვერდით მდგარი სანათის შუქი სახის ზედა მხარეს უნათებდა, ხოლო ნიკაპი და პირი ჩრდილში მოქცეოდა. ცოლმა შეამჩნია, ქმარს მარცხენა თვალთან ახლოს პატარა ძარღვი ოდნავ როგორ შეუტოკდა.

„ვშიშობ, ეს შენთვის შეიძლება ცოტა არიყოს შოკის მომგვრელი აღმოჩნდეს, – თქვა ქმარმა. მაგრამ ამაზე დიდხანს ვიფიქრე და გადავწყვიტე, შენთვის პირდაპირ მეთქვა. იმედია, ძა-

ლიანაც არ გამამტყუნებ“.

და უთხრა. დიდი დრო არ დასჭირ-ვებია, სულ ოთხი ან ხუთი წუთი და მთელი ამ ხნის მანძილზე ცოლი ძალი-ან მშვიდად იჯდა და რაღაცნაირი გა-მაოგნებელი შიშით სავსე გამომეტყვე-ლებით გრძნობდა, თითოეული ნათქვა-მი სიტყვა ქმარს მისგან სულ უფრო და უფრო როგორ აშორებდა.

„ეს არის სულ. ვიცი, რომ ცუდი დრო შევარჩიე ამის სათქმელად, მაგ-რამ, უბრალოდ, სხვა გზა არ იყო. რა თქმა უნდა, ფულსაც მოგცემ და ვიზ-რუნებ კიდეც შენზე, მაგრამ ამას არა-ნაირი ხმაური არ უნდა მოჰყვეს. იმედი მაქვს, ასეც იქნება. ეს კარგი არ იქნება ჩემი სამსახურისთვის“.

„მისი პირველი ინსტინქტი ის იყო, რომ არ დაეჯერებინა არც ერთი მი-სი სიტყვა, უარეყო ყველაფერი. ისიც კი გაიფიქრა, რომ იქნებ ქმარს მასთან საერთოდ არ ულაპარაკია და ეს ყვე-ლაფერი მან თვითონ წარმოიდგინა. იქ-ნებ, თუ თავის საქმეს გააგრძელებდა და ისე მოიქცეოდა, თითქოს არაფერი მოუსმენია, მოგვიანებით, როცა, ასე ვთქვათ, კვლავ გამოერკვეოდა, საერ-თოდ ვერ გაიგებდა, თუ ოდესამე რამე მოხდა.“

„ვახშამს მოვამზადებ!“ – როგორც იქნა, ჩურჩულით წარმოთქვა მან და ამჯერად ქმარს ის აღარ შეუჩერებია.

ოთახი რომ გაიარა, ფეხებქვეშ ია-ტაკს ველარ გრძნობდა. საერთოდ ვერ გრძნობდა ვერაფერს, ოდნავი გულის-რევის გარდა და უნდოდა, გული არე-ოდა. ყველაფერი ავტომატურად ხდე-ბოდა – კიბით სარდაფში ჩასვლა, სი-ნათლის ანთება, ღრმა საყინულე, კა-რადაში ხელის შეყოფა და პირველივე შემხვედრ საგანზე ხელის წავლება. გა-მოიღო და დახედა. ქაღალდში იყო შეხ-ვეული, ამიტომ ქაღალდი გადააძრო და ისევ დახედა.

ბატკნის ფეხი.

არა უშავს, ვახშამზე ბატკანი ექ-ნებათ. მან ის ზევით აიტანა, ორივე ხელით ძვლის ბოლოთი ეჭირა და ისე მიჰქონდა და როცა სასტუმრო ოთახ-

ში შევიდა, დაინახა, როგორ იდგა ქმა-რი მისკენ ზურგშექცევით, ფანჯარას-თან... და უცებ შედგა.

„ღვთის გულისათვის, – გაიგონა მან, როგორ უთხრა ქმარმა ისე, რომ არც კი შემობრუნებულა. – ნუ ამზადებ ჩემთვის ვახშამს. მე გარეთ გავდივარ“.

ამის თქმა იყო და მერი მელოუნი ქმარს უკნიდან მიუახლოვდა, ყოველ-გვარი დაყოვნების გარეშე, დიდი გაყი-ნული ბატკნის ფეხი ზევით ასწია და მას მთელი ძალით კეფაზე დაუშვა.

რკინის კეტი რომ ჰქონდა, ალბათ, ისევე მოიქცეოდა.

მერიმ უკან დაიხია და დაიცადა. სასაცილო ის იყო, რომ ქმარი ოდნავ შეირხა, დაახლოებით ოთხი თუ ხუთი წამი ასე იყო და შემდეგ ხალიჩაზე გა-გორდა.

დარტყმის ძალამ, ხმამ და პატარა მაგიდის გადაბრუნებამ მერი შოკიდან გამოიყვანა. ნელ-ნელა უბრუნდებოდა საღი აზრი, შეამცივნა და განცვიფრე-ბის გრძნობა დაეუფლა; ცოტა ხანს ასე იდგა, გაოცებული თვალებით შესცე-როდა ქმრის სხეულს და ხორცის სა-საცილო ნაჭერი ორივე ხელით მაგრად ეჭირა.

„კარგი, – ჩაილაპარაკა მან თავის-თვის. – როგორც ჩანს, მოვკალი“.

გასაოცარი იყო, როგორ უცებ გა-დაეწმინდა გონება. სწრაფად დაიწყო აზროვნება. როგორც გამომძიებლის ცოლმა, კარგად იცოდა, რა სასჯელიც ელოდა. ძალიანაც კარგი. სულერთი იყო მისთვის, სინამდვილეში, შვების მოგვრელიც კი, თუმცა, მეორე მხრივ – ბავშვი? რა კანონები არსებობდა იმ მკვლელებთან დაკავშირებით, რომ-ლებიც მუცლით ბავშვს ატარებდნენ? ორივეს კლავდნენ? დედასაც და შვილ-საც? თუ ელოდებოდნენ, სანამ მეათე თვე არ შესრულდებოდა? როგორ იქ-ცეოდნენ?

მერი მელოუნმა ეს არ იცოდა; და, რა თქმა უნდა, ვერ გარისკავდა.

მერიმ ხორცი სამზარეულოში შეი-ტანა, ტაფაზე დადო, ღუმელი მაღალ ცეცხლზე დააყენა და ტაფა შიგნით

შეაცურა. შემდეგ ხელები დაიბანა და საწოლ ოთახში ავიდა. სარკის წინ ჩამოჯდა, თბა გაისწორა, ხელი ტუჩებსა და სახეზე გადაისვა. გაღიმება სცადა.

საცმაოდ უცნაურად გამოუვიდა. ისეც სცადა.

„გამარჯობა, სემ!“, – წარმოთქვა ხმამაღლა და ხალისიანად.

უცნაური ხმა ჰქონდა.

„ცოტაოდენი კარტოფილი მინდა, გეთაყვა, სემ. დიახ, და, ალბათ, ერთი ქილა მუხუდო“.

ასე უკეთესი იყო. ახლა ღიმილიც და ლაპარაკიც უკეთესად გამოუვიდა. რამდენჯერმე კიდევ გაიარა რეპეტიცია. შემდეგ ქვევით ჩავიდა, პალტო აიღო და უკანა კარიდან, ბალის გავლით, ქუჩაში გავიდა.

ჯერ ექვსი საათიც არ იქნებოდა, მაგრამ საბაყლოში ჯერ კიდევ შუქები ენთო.

„გამარჯობა, სემ!“, – თქვა მან ხალისიანად და დახლის უკან მდგომ მამაკაცს გაულიმა.

„საღამო მშვიდობისა, მისის მელოუნი. როგორ ბრძანდებით?“

„ცოტაოდენი კარტოფილი მინდა, სემ, გეთაყვა. დიახ, და, ალბათ, ერთი ქილა მუხუდოც“

კაცი შეტრიალდა და მის უკან, მაღლა, თაროზე, მუხუდოს დასწრდა.

„პატრიკე გადაწყვიტა, რომ დაღლილია და ამაღლამ გარეთ ჭამა არ ისურვა, – უთხრა მან გამყიდველს. – ჩვენ, როგორც წესი, ხუთშაბათობით გარეთ გავდივართ; ახლა კი იმ დროს მოუნდა, როცა სახლში ბოსტნეული არ მაქვს“.

„მაშინ ხორციაც ხომ არ ინებებდით, მისის მელოუნი?“

„არა, ხორცი მაქვს, გმადლობ. საუცხოო ბატქნის ფეხი გამოვილე საყინულიდან.“

„ოჟ!“

„გაყინული ხორცი არასდროს მომიზადებია, სემ, მაგრამ ამჯერად გავრისკავ. როგორ გვინია, კარგი გამოვა?“

„პირადად მე არა მგონია ამას რაი-

მე მნიშვნელობა ჰქონდეს. ეს აიდაპოს კარტოფილები გნებავთ?“

„ოჟ, დიახ, ძალიან კარგია. ორი ცალი მომეცით“.

„კიდევ რამე ხომ არ გნებავთ?“ – ბაყალმა თავი გვერდზე გადაწია და ქალს სასიამოვნოდ გაულიმა. – დასაყოლებელზე რას იტყვით? რა უნდა დააყოლებინოთ?“

„რას მირჩევდი, სემ?“

კაცმა თვალი მაღაზიას მოავლო.

„ერთ კარგ დიდ ნაჭერ ჩიზექიქზე რას იტყვით? ვიცი, რომ უყვარს“.

„შესანიშნავია, – მიუგო მერიმ. – გიუდება მასზე“.

ყველაფერი რომ შეუხვიეს და ფული გადაიხადა, კვლავ ხალისიანად გაიღიმა და თქვა:

„გმადლობ, სემ. ლამე მშვიდობისა!“

„ლამე მშვიდობისა, მისის მელოუნი და მადლობა თქვენ“.

ახლა, როცა სახლისაკენ მიიჩქაროდა, საკუთარ თავს ეუბნებოდა, რომ სახლში ბრუნდებოდა, თავის ქმართან, რომელიც ვახმამს უცდიდა და ვახმამი კარგად უნდა მოემზადებინა, რომ, რაც შეიძლება გემრიელი გამოსულიყო; საწყალი ქმარი ხომ დაღლილია.

„აი, ასე! არაფერი შეგეძალოს, ბუნებრივად მოიქეცი და თამაშიც აღარ იქნება საჭირო“, – ფიქრობდა მერი თავისთვის.

ამიტომ, როცა უკანა კარიდან სამზარეულოში შევიდა, ლიმილით თავის-თვის რაღაცას ლილინებდა.

„პატრიკ! – დაიძახა მან. – როგორ ხარ, ძვირფასო?“

პატრიკი მაგიდაზე დადო და სასტუმრო ოთახში შევიდა; და როცა იატაკზე მწოლიარე ქმარი დაინახა, ფეხები ორად რომ მოკეცვოდა და ტანის ქვეშ მოყოლილი ცალი ხელი მოხრილი დარჩენოდა, ცოტა არ იყოს, შოკში ჩავარდა. ის ძველი სიყვარული და ლტოლვა უცებ მოაწვა, მისკენ გაიქცა, მის გვერდით ჩაიმუხლა და გულამოსკვნილი ატირდა. ადვილი იყო. თამაში აღარ იყო საჭირო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ფეხზე წა-

მოდგა და ტელეფონს მივარდა. კარგად იცოდა პოლიციის განყოფილების ნომერი და როცა იქიდან უპასუხეს, ყურმილში ყვირილით ჩასძახა:

„იჩქარეთ? ჩქარა მოდით! პატრიკი მკვდარია!“

„ვინ ლაპარაკობს?“

„მისის მელოუნი. მისის პატრიკ მელოუნი“. „გინდათ თქვათ, რომ პატრიკ მელოუნი მკვდარია?“

„მგონი, ხო, – ქვითინით მიუგო მან. – იატაკზე წევს და მგონი, მკვდარია“. „ახლავე მანდ გავჩნდებით“, – უთხრა პოლიციელმა.

მანქანა სწრაფად მოვიდა; ორმა პოლიციელმა წინა კარი გააღო და შემოვიდა. ორივეს კარგად იცნობდა, თითქმის ყველას იცნობდა იმ განყოფილებაში; მერი პირველივე სკამზე დაშვა, მაგრამ რამდენიმე წუთში წამოდგა და იმ პოლიციელს მიუახლოვდა, ო'მეილის რომ ეძახდნენ და ახლა მისი ქმრის გვერდით რომ ჩაემუხდა.

„მკვდარია?“ – ტირილით ჰკითხა მერიმ.

„ვშიშობ, რომ კი.. რა მოხდა?“

მერიმ მოკლედ უამბო, რაც მოხდა, როგორ წავიდა ის საბაყლოში და უკან რომ დაბრუნდა, როგორ წახა ქმარი იატაკზე დაგდებული. თან ყვებოდა და თან ტიროდა; ნუუნენმა მისი ქმრის თავზე შემხმარი სისხლის პატარა ლაქა აღმოაჩინა. მან ის ო'მეილის აჩვენა, რომელიც იმწამსვე ტელეფონს ეცა.

მალე, მის სახლში სხვებიც შემოვიდნენ. ჯერ ექიმი, რომელსაც ორი დეტექტივი მოჰყვა; მერი ორივეს სახელებით იცნობდა. მოგვიანებით პოლიციის ფოტოგრაფიც გამოჩნდა და სურათები გადაიღო და ის კაციც, თითის ანაბეჭდებს რომ იღებდა. ცხედრის ირგვლივ დიდი ჩურჩული და ბუტბუტი ისმოდა. დეტექტივებმა ბევრი კითხვა დაუსვეს, მაგრამ ყოველთვის თავაზიანად ეპყრობოდნენ. მერიმ ისევ უამბო, რაც მოხდა, ამჯერად სულ თავიდან, პატრიკი

სახლში რომ შემოვიდა და ის ამ დროს რომ ქსოვდა და ქმარი ისეთი დაღლილი რომ იყო, რომ სავახშმოდ გარეთ გასვლა არ უნდოდა. ის აგრეთვე მოყვა, ხორცი ლუმელში როგორ შედო.

„ის ახლაც იქ არის, იწვება“, – თქვა მან, მერე საბაყლოში რომ წავიდა ბოსტნეულის საყიდლად და როცა დაბრუნდა ქმარი იატაკზე დაგდებული როგორ წახა. „რომელ საბაყლოში?“, – იკითხა ერთ-ერთმა დეტექტივმა.

მერიმ უთხრა, რომელშიც. პოლიციელი შებრუნდა და რაღაც გადაუჩურჩულა თავის კოლეგას, რომელიც სახლიდან დაუყოვნებლივ გავიდა. ის თხუთმეტ წუთში დაბრუნდა; ხელში ბლოკნოტი ეჭირა და კიდევ ერთხელ ატყდა ჩურჩული. მერი ქვითინებდა და მის ყურს აქა-იქ ხმადაბლა წარმოოქმული ფრაზები სწვდებოდა: „...სავსებით წორმალურად იქცეოდა... ძალიან მხიარული იყო... უნდოდა ქმრისთვის გემრიელი ვახშამი მოემზადებინა... მუხუდო... ჩიზექიქი... შეუძლებელია, რომ მას...“

მალე, ფოტოგრაფი და ექიმი წავიდნენ და ორი მამაკაცი მოვიდა, რომლებმაც ცხედარი საკაცით წაიღეს. მხოლოდ ორი დეტექტივი და ორი პოლიციელი დარჩა. ისინი ქალს განსაკუთრებული თავაზიანობით ეპყრობოდნენ. ჯეკ ნუუნანმა ჰკითხა, ქალბატონს ხომ არ ერჩივნა, სადმე წასულიყო, ვთქვათ, მისი დის სახლში ან ჯეკის ცოლთან, რომელიც მასზე იზრუნებდა კიდეც და ლამესაც გაათევინებდა.

„არაო“, – უპასუხა. იმ წუთში ერთი იარდით გადაადგილებაც კი არ უნდოდა. წინააღმდეგი ხომ არ იქნებოდნენ, იქ დარჩენილიყო, სადაც ახლა იყო, სანამ თავს უკეთესად არ იგრძნობდა? თავს არც ისე კარგად გრძნობდა, მართლა ვერ იყო კარგად.

„ხომ არ ურჩევნია საწოლზე წამოწვეს?“ – ჰკითხა ჯეკ ნუუნენმა.

არა, ურჩევნია იქ დარჩეს, სადაც ახლაა, თავის სკამზე. ალბათ, ცოტა მოგვიანებით, როცა თავს უკეთ იგრძნობს.

მათაც თავი ანებეს და ისევ თა-

ვიანთ საქმეს დაუბრუნდნენ – სახლის ჩხრეკა განაგრძეს. დროდადრო რომელიმე დეტექტივი რალაცებს ეკითხებოდა. ზოგჯერ ჯეკ ნუუნანი, როცა გვერდით ჩაუვლიდა, ჰკითხავდა, თავს როგორ გრძნობდა. მისი ქმარი კეფაში მძიმე ბლაგვი იარაღის ჩარტყმით არის მოკლული, სავარაუდოდ, რკინის დიდი საგნით. დანაშაულის იარაღს ეძებენ. შეიძლება პოროტმოქმედმა ის თან წაიღო ან შეიძლება, სადმე გადააგდო, ან ადგილზე გადამალა.

„ძელი ისტორიაა, – დასძინა პოლიციელმა. – იპოვე იარაღი და დამნაშავე შენს ხელშია“.

მოგვიანებით, ერთ-ერთი დეტექტივი მერისთან მივიდა და გვერდით მიუჯდა. ისეთი რამ ხომ არ აქვთ სახლში, რაც იარაღად შეეძლოთ გამოეყენებინათ? წინააღმდეგი ხომ არ იქნება, რომ მოძებნონ ის, რაც წალებულია, მაგალითად, ქანჩის გასაღები ან მძიმე რკინის ვაზა.

„სახლში მძიმე რკინის ვაზა არას-დროს გვქონია“, – პასუხობს მერი.

„არც ქანჩის გასაღები?“

მგონი, არც ეგ, თუმცა მსგავსი რაღაცები შეიძლება გარაუში იყოს.

ჩხრეკა გაგრძელდა. მერიმ იცოდა, რომ სახლის ირგვლივ, ბაღში, სხვა პოლიციელები ტრიალებდნენ. გარეთ, ხრეშზე, მათი ფეხის ხმა ესმოდა და ზოგჯერ ფარდის ლრიჭოში მათი ფარის შუქიც გაიელვებდა. უკვე გვიანი იყო, ბუხრის თავზე საათი თითქმის ცხრას აჩვენებდა. პოლიციელები, რომლებიც ოთახებს ჩხრეკდნენ, დალლილი და ოდნავ გაღიზიანებული ჩანდნენ.

„ჯეკ, – თქვა მერიმ, როცა სერუანტმა ნუუნანმა გვერდით კიდევ ერთხელ ჩაუარა. – სასმელს ხომ ვერ დამისხამდი?“

„რა თქმა უნდა! ვისკის გულის-ხმობთ?“

„დიახ, გეთაყვა. სულ ცოტა. იქნებ ცოტა გამომაკეთოს“. ჯეკმა ჭიქა მიაწოდა.

„იქნებ შენთვისაც დაგესხა, ალბათ, საშინლად დაიღალე. გთხოვ. შენ მე ძალიან კარგად მომექეცი“. „მკაცრად გვაქვს აკრძალული, მაგრამ ერთ ყლუპს დავლევდი, ცოტა გამომაცოცხლებს“, – მიუგო ჯეკმა.

სხვა პოლიციელებიც ერთი მეორის მიყოლებით შემოვიდნენ და ისინიც დაიყოლიეს, ცოტა ვისკი მოესვათ. მერის თანდასწრებით ვისკით ხელში მდგარნი თავს ცოტა უხერხულად გრძნობდნენ. ცდილობდნენ, ქალი სიტყვებით ენუგე-შებინათ. სერუანტი ნუუნანი უცებ სამზარეულოდან გამოვიდა და თქვა:

„მისმინეთ, მისის მელოუნი, იცით თუ არა, რომ თქვენი ლუმელი ისევ ჩართულია და შიგნით ხორცია?“

„ოჟ, ლმერთო ჩემო! მართლა!“

„ხომ არ ჯობია, გამოვრთო?“

„გთხოვთ, ჯეკ, დიდი მადლობა“. როცა სერუანტი სამზარეულოდან მეორეჯერ გამოვიდა, მერიმ მას თავისი დიდი, შავი, ცრემლიანი თვალები მიაპყრო.

„ჯეკ ნუუნან“, – თქვა მერიმ. „დიახ!“

„იქნებ დამდოთ პატივი თქვენც და დანარჩენებმაც?“

„შევეცდებით, მისის მელოუნი“. „კეთილი. ყველა აქ ხართ, ძვირფა-სი პატრიკის კარგი მეგობრები, რომლებიც მისი მკვლელის დაჭერაში ასე მეხმარებიან. ალბათ, საშინლად მოგ-შივდათ, რადგან თქვენი ვახშმის დრო უკვე დიდი ხანია გასულია და ვიცი, რომ პატრიკი, ლმერთმა აცხონოს მი-სი სული, არასდროს მაპატიებდა, ჩემს სახლში ყოფნისას თქვენთვის სათანა-დო მასპინძლობა რომ არ გამენია. იქ-ნებ მიირთვათ ლუმელში რომ არის, ის ბატყანი? ცოტა ხანში უკვე მზად იქ-ნება“. „ამაზე ვერც ვიოცნებებდით“, – მიუგო სერუანტმა ნუუნანმა.

„გთხოვთ, – მუდარის ტონით მიმართა მერიმ. – გთხოვთ, მიირთვით. პირადად მე პირს ვერაფერს დავაკარებ, სანამ ის ჯერ კიდევ აქ არის, მაგრამ თქვენთვის შეიძლება. ჩემთვის პატივი იქნება, თუ მიირთმევდით. შემდეგ კი შეგიძლიათ ჩვეულებრივ განაგრძოთ თქვენი საქმე“. 79

თავიდან პოლიციელები ცოტა შეყოფმანდნენ, მაგრამ მართლაც ძალიან შიოდათ, ამიტომ, საბოლოოდ, დათანხმდნენ, რომ სამზარეულოში შესულიყვნენ და საკუთარ თავს თვითონ მომსახურებოდნენ. ქალი იქ დარჩა, სადაც იყო და „უსმენდა ისინი ერთმანეთში როგორ საუბრობდნენ გაუგებრად და დაუდევრად, რადგან პირი ხორცით ჰქონდათ გამოტენილი.

„კიდევ ხომ არ გადაიღებ, ჩარლი?“

„არა. ჯობია სულ არ შევჭამოთ“.

„მას უნდა, რომ სულ შევჭამოთ. თვითონ თქვა ასე. გააკეთე, როგორც მას უნდა“.

„კარგი მაშინ. კიდევ გადმომიღე“.

„საცოდავი პატრიკი. იმ ტიპს, როგორც ჩანს, საშინლად დიდი კეტი ჩა-

ურტყამს. ექიმმა თქვა, რომ მთელი თავის ქალა ჩამსხვრეული აქვს, თითქოს ურო ჩაარტყესო“, – თქვა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

„ამიტომაც ძნელი არ უნდა იყოს მისი პოვნა“.

„მეც ზუსტად ამას გეუბნებოდი“.

„ვისაც არ უნდა გაეკეთებინა, როგორც კი თავის საქმეს შეასრულებდა, იმ ნივთს თავიდან მალევე მოიშორებდა“.

ვიღაცამ დააბლოყინა.

„პირადად მე, ვფიქრობ, რომ ის სადღაც აქ არის, ამ ტერიტორიაზე“.

„შესაძლოა, ჩვენს ცხვირწინაც კი. შენ რას ფიქრობ, ჯეკ?“

გვერდით ოთახში მერი მელოუნიმ ჩაიხითხითა.

ინგლისურიდან თარგმნა
ზურაბ სონდულაშვილმა